

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების საღამპვირვებლო მისია

ნინასაარჩევო გარემოს, არჩევნების დღისა  
და არჩევნების შემდგომი პერიოდის  
მონიტორინგის ანგარიში

(8 ივნისი – 16 ნოემბერი, 2016)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების საჭამავირვებლო მისია

ცინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების  
დღისა და არჩევნების შეადგომი პარიოდის  
მონიტორინგის ანგარიში

(8 ივნისი - 16 ნოემბერი, 2016)



Kingdom of the Netherlands



**USAID**  
აშშ-ის სამსახურის სამსახურის სამსახური



British Embassy  
Tbilisi



**National Endowment  
for Democracy**  
*Supporting freedom around the world*

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა დიდი ბრიტანეთის სამეფოს საელჩოს, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველოსა“ და ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვეს“ (NED) დაფინანსებით. ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ირგანიზაციების შეხედულებებს.

თბილისი, 2017

ავტორები: ანა ნაცვლიშვილი  
ლელა ტალიური  
ირმა პავლიაშვილი  
რაფი თიბინიაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი  
ლელა ტალიური

კვლევის ავტორები მადლობას უხდიან საიას თანამშრომლებსა და დამკვირვებლებს საიას არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.



აინტერ და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ქ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
ვებ-გვერდი: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)  
ელ-ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge)

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადატეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული  
მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

# ს ა რ ჩ ი ვ ი

I.	წინასიტყვაობა	4
II.	სადამკვირვებლო მისივის მასშტაბი და მეთოდოლოგია	4
III.	პირითაღი მიზნები	6
IV.	პოლიტიკური კონტექსტი	13
V.	მედიაგარემო	15
VI.	საკანონმდებლო ჩარჩო	16
VII.	სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა	20
	უწყებათაშორისი კომისია	20
	საარჩევნო ადმინისტრაცია	21
	ამომრჩეველთა სიები	25
	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური	27
VIII.	წინასაარჩევნო პერიოდი	30
	სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის	30
	ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები	31
	მუქარის, ზენოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები	34
	წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები	36
	სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები	37
IX.	არჩევნების დღე	38
	პირველი ტური	38
	განმეორებითი არჩევნები	39
X.	მეორე ტური	40
	წინასაარჩევნო პერიოდი	40
	კენჭისყრის დღე	41
XI.	არჩევნების შემდგომი პერიოდი	43
XII.	გამოვლენილი ტენდენციები	50
XIII.	რეკომენდაციები	51
XIV.	დანართები	54

## I. ნინასითყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზნით, საია დაფუძნებიდან (1994 წელი) დღემდე აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში, რა დროსაც იკვლევს, წინასაარჩევნო, არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდში რამდენად თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოა საქართველოში.

საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებისას, ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისო დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. საარჩევნო პერიოდში საიას საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების გამოვლენით, არამედ, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში საჩივრების წარდგენის გზით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს საარჩევნო კანონმდებლობის თანმიმდევრული და პროგრესული განმარტების დანერგვას, დამრღვევთა წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარებასა და დარღვევების შემდგომ პრევენციას.

მიგვაჩნია, რომ არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე საზოგადოებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის მიუკერძოებელი, კომპეტენტური, დროული ინფორმაციის მიწოდება ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, იმ პოზიტიური ასპექტების გაღრმავებას, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში იყო მიღწეული.

ასოციაცია, სწამს რა მას სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პრინციპების უზენაესობა, თავის საქმიანობაში მუდმივად იცავს სრულ ნეიტრალიტეტს პოლიტიკური პროცესების მიმართ. წლების განმავლობაში, საიამ თავისი საქმიანობით დამტკიცა კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ერთგულება და სწრაფვა სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2010 წელს ხელმოწერით აღიარა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (**GNDEM**) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შემუშავებული სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია და ქცევის კოდექსი.<sup>1</sup>

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2016 წლის 8 ივნისიდან 2016 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს და მასში ყურადღება გამახვილებულია როგორც 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე, აგრეთვე, 2016 წლის 22 ოქტომბრის განმეორებით არჩევნებსა და 2016 წლის 30 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურზეც. ასევე, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 8 ივნისამდე (ანუ წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე) განვითარებული მოვლენების თაობაზე, რომელიც ორგანიზაციის შესწავლის საგანი გახდა.

საიას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა დიდი ბრიტანეთის სამეფოს საელჩოს, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველოსა“ და „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) დაფინანსებით.

## II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მათოდოლოგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვებას ახორციელებდა ცენტრალური და 8 რეგიონული ოფიციალური მეშვეობით, თბილისა და საქართველოს 9 რეგიონში – აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში და სამეგრელოში, 20-მდე<sup>2</sup> მონიტორის დახმარებით.

საიას გრძელვადიანი დამკვირვებლები სწავლობდნენ არჩევნებში ჩართული სახელმწიფო უწყებების (საარჩევნო ადმინისტრაცია, აუდიტის სამსახური, უწყებათაშორისი კომისია, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო) საქმიანობას და აკვირდებოდნენ, თუ რამდენად გამჭვირვალედ, ობიექტურად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით მუშაობდნენ და იღებდნენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი უწყებები.

საიას მონიტორები სავარაუდო დარღვევებზე ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებდნენ, მათ შორის, საჯარო დაწყესებულებიდან ინფორმაციის გამოთხვის, ასევე, მასმედიით გავრცელე-

<sup>1</sup> DECLARATION OF GLOBAL PRINCIPLES FOR NON-PARTISAN ELECTION OBSERVATION AND MONITORING BY CITIZEN ORGANIZATIONS and CODE OF CONDUCT FOR NON-PARTISAN CITIZEN ELECTION OBSERVERS AND MONITORS.

<sup>2</sup> მონიტორინგში ჩართულები იყვნენ საიას რეგიონული ოფისების თანამშრომლებიც.

ბული ინფორმაციის მონიტორინგის გზით.<sup>3</sup> ხშირად, მოქალაქეები ან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საიას მონიტორებს თავად აწოდებდნენ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ. ასოციაციის დამკავირვებლები თითოეულ შემთხვევას უშუალოდ განმცხადებლებთან და იმ პირებთან ამონმებდნენ, ვისაც შესაძლოა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა. საიას იურისტები, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ პირებს შესაბამის სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ.

**კენჭისყრის დღეს უბნებზე მივლენილი და მობილურ ჯგუფებში გადანაწილებული დამკავირვებლების მეშვეობით, საიამ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დღეს დაკავირვება თბილისისა და 9 რეგიონის 61 საარჩევნო ოლქში 500-მდე დამკავირვებლით უზრუნველყო. სადამკავირვებლო არეალის დაფარვა 100 მობილური ჯგუფით და 400-მდე სტატიკური დამკავირვებლით განხორციელდა.**

ორგანიზაციის სადამკავირვებლო გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიმდართული იყო გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ უბნებზე, ასევე, წინა არჩევნების დროს გამოკვეთილ პრობლემურ უბნებზე.<sup>4</sup> გარდა ამისა, დაკავირვება განხორციელდა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში, როგორც საიას დამკავირვებლების, ასევე, „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს“ დამკავირვებლების მეშვეობით, საიას პროგრამის<sup>5</sup> ფარგლებში – ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ-საარჩევნო უფლებათა რეალიზება.

კენჭისყრის დღეს, ადგილობრივი სადამკავირვებლო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ მედიაცენტრში საიამ 4 (მათ შორის, 1 საგანგებო) ბრიფინგი გამართა, და 5 საჯარო განცხადება გაავრცელა. ხოლო მომდევნო დღეს, 9 ოქტომბერს, კენჭისყრის დღე შეაფასა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 8 ოქტომბრის არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის დაკავირვებას 61 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქსა და 37 საოლქო საარჩევნო კომისიაში ახორციელებდა, რა დროსაც საიას დამკავირვებლები ესწრებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საჩივრების განხილვის პროცესს.

2016 წლის 22 ოქტომბერს საია პარლამენტის არჩევნების განმეორებით კენჭისყრას ორი საარჩევნო ოლქის (ზუგდიდისა და მარნეულის) 4 საარჩევნო უბანზე დააკავირდა.<sup>6</sup>

მეორე ტურის კენჭისყრის დღეს საია თბილისა და 9 რეგიონში 400-მდე დამკავირვებლით აკვირდებოდა. სტატიკური დამკავირვებლები განთავსებულნი იყვნენ საქართველოს მასშტაბით 300 საარჩევნო უბანზე. 45 მაჟორიტარულ ოლქში მოძრაობდა 30 მობილური ჯგუფი და ახორციელებდა პრობლემატურ უბნებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების მონიტორინგს.

კენჭისყრის დღეს ადგილობრივი სადამკავირვებლო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ მედიაცენტრში საიამ 4 ბრიფინგი გამართა და 4 საჯარო განცხადება გაავრცელა, მომდევნო დღეს კი, არჩევნების დღე შეაფასა და პრესკონფერენცია გამართა. საიას დამკავირვებლებმა 30 ოქტომბრის მეორე ტურების შემდგომი პერიოდის დაკავირვება 47 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქსა და 24 საოლქო საარჩევნო კომისიაში განახორციელეს. დარღვევების გამოვლენის შემთხვევებში, როგანიზაციის დამკავირვებლებმა შესაბამისი საჩივრებით საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოს მიმართეს.

სამივე არჩევნებზე, კენჭისყრის დღის განმავლობაში, საიაში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს და უურნალისტებს საარჩევნო დარღვევების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება შეეძლოთ. საჭიროების შემთხვევაში, შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირებას ადგილზე გასვლით ახდენდა შესაბამისი მობილური ჯგუფი.

არჩევნების დღეს საიას ოპერატორებს საარჩევნო-ანალიტიკურ ბაზაში შეჰქანდათ საქართველოს ყველა რეგიონში წარგზავნილი დამკავირვებლების მიერ მიღებული ინფორმაცია. ბაზა, თავის მხრივ, ახდენდა აღნიშნული ინფორმაციის ანალიზს. ასევე, არჩევნების დღეს მოქალაქეებს შეეძლოთ, დარღვევების შესახებ ინფორმაცია განეთავსებინათ [www.electionsportal.ge](http://www.electionsportal.ge)-ზე – ონლაინ ფორმის შესებით, ან გაეგზავნათ უფასო SMS – ნომერზე 90039.

არჩევნების დღეს გამოვლენილი დარღვევები, ტიპოლოგიის მიხედვით, საიამ ასახა ორგანიზაციის საარჩევნო დარღვევების ბაზაში, სადაც შესაძლებელია საიას დამკავირვებლების მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ინფორმაციის მოძიება რეგიონების მიხედვით.<sup>7</sup>

<sup>3</sup> ცენტრალური და რეგიონული პრესა, ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლები, ინტერნეტ გამოცემები.

<sup>4</sup> აღნიშნული უბნების იდენტიფიცირება მოხდა საიას დამკავირვებლების მიერ გასული პერიოდის არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სპეციალისტების რაოდენობა 2016 წლის არჩევნებზე მნიშვნელოვანად შემცირდა.

<sup>5</sup> პროგრამა ხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განხორციელებული საიას პროექტის ფარგლებში.

<sup>6</sup> ორგანიზაციის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ მაჟორიტარულ არჩევნებს, რომელიც გაიმართა №36 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №36.22.48 საარჩევნო უბანზე (ბარეულში), ასევე, №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე (ზუგდიდში). ამასთან, ზუგდიდის ოლქში გაიმართა როგორც პარლამენტის მაჟორიტარული, ისე გამგებლის არჩევნები. განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდა 14 უბანზე. აქედან 6 უბანზე კენჭისყრა ჩატარდა საიას საჩივრების დაგაყიდვების შემდეგ.

<sup>7</sup> [http://elections.gyla.ge/public\\_stats.php?lang=ge&elections\\_id=18](http://elections.gyla.ge/public_stats.php?lang=ge&elections_id=18)

### III. ძირითადი მიზანებები

#### ზოგადი შეფასება

- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, როდესაც პოლიტიკური ველი რეალურად ორპოლუსიანი იყო და ბრძოლა ორ ძალას, მმართველ გუნდსა და გაერთიანებულ ოპზიციას შორის მიმდინარეობდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პოლიტიკური სპექტრის მრავალფეროვნების პირობებში ჩატარდა. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით 25 პოლიტიკური გაერთიანება/საარჩევნო ბლოკი<sup>8</sup> და 816 მაჟორიტარი კანდიდატი დარეგისტრირდა.<sup>9</sup>
- თუმცა, მიუხედავად პოლიტიკური სპექტრის მრავალფეროვნებისა, კენჭისყრის დღეს კონცურენცია ძირითადად ორი პოლიტიკური ძალის – „ქართულ იუნიტისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – კანდიდატებს შორის წარიმართა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა მაჟორიტარულ ლექტში მეორე ტურების დროს;
- საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას არჩევნების ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ჩატარება წარმოადგენდა.<sup>10</sup> არაერთი მცდელობის მიუხედავად – როგორიც იყო, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამკაცრება, მმართველი პარტიის ინიციატივით, ე.წ. სამშვიდობო მემორანდუმის შედეგისა,<sup>11</sup> მთავრობის კამპანია „არა ძალადობას“,<sup>12</sup> პარტიების მიმართ არაერთი სამოქალაქო მონაბეჭდისა და სხვა – წინასაარჩევნო პერიოდი მხოლოდ საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული არ ყოფილა. ამ პერიოდს თან სდევდა ძალადობრივი ინციდენტები, აგრეთვე, ხშირად ისმოდა პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთბრალდებები და პიროვნული შეურაცხყოფები.
- პოლიტიკურმა პარტიებმა ვერც ამჯერად მოახერხეს პოლიტიკური დისკუსიების წარმართვა სიძულვილის ენის გამოყენებისა და მოწყვლადი ჯგუფების ინსტრუმენტალიზაციის გარეშე.<sup>13</sup>
- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო იყო მნიშვნელოვნად უკეთესი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსთან შედარებით. რაც შეეხება კენჭისყრის დღეს, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღე უკეთესი იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღესთან შედარებით, თუმცა, უფრო მეტად პრობლემურად წარიმართა, ვიდრე 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღე.

#### საკანონმდებლო ჩარჩო

- ხელისუფლებამ არ შეცვალა საარჩევნო სისტემა, რომლის მიმართ უკმაყოფილებას სამოქალაქო და პოლიტიკური სპექტრი უკვე წლებია აფიქსირებს. შესაბამისად, საპარლამენტო არჩევნები ისევ მოქმედი, შერეული (მაჟორიტარული და პროპორციული) საარჩევნო სისტემით ჩატარდა.
- საარჩევნო კოდექსში ხმის წონის თანაბრობის უზრუნველყოფი, ასევე, ლეგიტიმაციის ზრდასთან დაკავშირებული (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ბარიერის 30%-დან 50%-მდე აწევა) ცვლილებები განხორციელდა, თუმცა, აღნიშნული ცვლილებები არასაკმარისად შეფასდა უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემისა და გარემოს ჩამოსაყალიბებლად.<sup>14</sup>

<sup>8</sup> დარეგისტრირდა სულ 19 პოლიტიკური გაერთიანება და 6 საარჩევნო ბლოკი.

<sup>9</sup> 763 მაჟორიტარი კანდიდატი დასახელდა პარტიების მიერ, ხოლო 53 კანდიდატი - დამოუკიდებელი საინიციატივო ჯგუფების მიერ.

<sup>10</sup> მომხდარ დაპირისპირებას უშუალოდ შეესწრო საიას დამკირვებელი, რომელმაც აღნიშნული ინციდენტის ვიდეოებადაღებაც განახორციელა: <https://www.gyla.ge/ge/post/saia-mtavar-prokurors-moutsodebs-pirad-konrtolze-aiyvanos-korckhelis-53-e-saarchvno-ubnis-mimdebare-teritoriale-momkhdari-dzaladobrivi-faqtebis-gamodzieba>

<sup>11</sup> მემორანდუმის თანაბად, მემორანდუმზე ხელმომწერი პარტიები იღებდნენ ვალდებულებას, რომ მოახდენდნენ საკუთარი აქტივისტების დისტანცირების სხვის საარჩევნო სუბიექტების მიერ ან მის მარადასაჭრად გამართული აქციისგან, შეხვედრებისა ან სხვა შესავალის დონისმდებარებისა და მიღებდნენ ყველა ზომის, რათა არ დაემცვეთ აქტივისტების მიერ სხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ გამართული ღონისძიების ხელშემწლა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში, თავისუალი და დემოკრატიული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა ეთიკის კოდექსი დაამტკიცა, რომლის თანაბად, საარჩევნო პრიორიტეტი პილიტიკურ პარტიებს უნდა ეთქვათ სიძულვილის ენსა ან ისეთი გამოსახულების გამოყენებაზე, რომელიც იყო პროვოკაციული, ცილისმწამებული, ღირსების შემოსაველი, ქსნოფობიური, შეიცავდა მუქარას ან ადამიანს ნებისმიერი ფორმის ძალადობისკენ უბიეგებდა, სახელმწიფო ხალხისთვის, ეროვნული ფორუმი, ლეიბორისტული პარტია. თანხმობა ხელმოწერაზე განაცხადა: რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, პატრიოტთა ალიანსი და ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა.

<sup>12</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasarchivevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilya>.

<sup>13</sup> <http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-parlamenti-wevrti-davit-baqradze-sergo-ratiani-roland-axalaia-giorgi-baramidze-da-sxvebi-sul-42-deputati-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>

- საკანონმდებლო ცვლილებებს არ დაექვემდებარა ისეთი საკითხები, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტებას, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, სავალდებულო კვოტირებას, მედიარეგულაციებს და საარჩევნო დავებს შეეხება.
- საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესი არ იყო გამჭვირვალე და საზოგადოების (მათ შორის, საექსპერტო საზოგადოების) დაპალი ჩართულობით ხასიათდებოდა.<sup>15</sup>
- წინა პერიოდების არჩევნებისგან განსხვავებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შემცირებული იყო სპეციალური უბნების რაოდენობა. აღნიშნული განპირობებული იყო ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელთა ადვოკატირებაშიც საის მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის.

## წინასაარჩევნო პერიოდი

- საის მონიტორების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში საერთო ჯამში **82 დარღვევა/ტენდეცია** დაფიქსირდა. ტრადიციულად, დარღვევებს ადგილი ჰქონდა როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან.
- კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად, იმატა დარღვევების რაოდენობამ და სიმძიმემ. დარღვევებს შორის უნდა აღინიშნოს: წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლა და ძალადობა/ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები, სააგიტაციო მასალების დაზიანება, უკანონო აგიტაცია, ამომრჩევლის მოსყიდვა, სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება ან გათავისუფლების მუქარა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. იყო შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბრობდნენ უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა ჩარევაზე საარჩევნო პროცესებში.<sup>16</sup>
- არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე განვითარებულმა ძალადობრივმა ფაქტებმა დიდინებში, გორსა და თბილისში საფრთხე შეუქმნა სტაბილურ საარჩევნო გარემოს და მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა, რომლებზეც დამაჯერებელი პასუხების გაცემა სწრაფ, ეფექტურ და მიუკერძოებელ გამოძიებას და სამართლიან სასამართლო განხილვებს საჭიროებდა, თუმცა, აღნიშნული ამ დრომდე არ არის უზრუნველყოფილი.
- რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამართალდამცავთა მიერ პოლიტიკურად აქტიური პირების ჩერეკას, დაკითხვას თუ ბრალის წაყენებას, რამაც სამართალდამცავთა ქმედებების პოლიტიკური მიუკერძოებლობის მიმართ კითხვის ნიშნები გააჩინა.<sup>17</sup>
- სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ანარმოებდნენ ამომრჩეველთა პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) აღრიცხვას, თუმცა, არ განმარტავდნენ აღნიშნული მონაცემების შეგროვების მიზანს. მსგავსი ფაქტები პერსონალური მონაცემების შესახებ კანონის დარღვევას წარმოადგენდა.
- ცალკეულ შემთხვევებში ასევე დაფიქსირდა სავარაუდოდ პარტიის ოფისებში უკანონო შეღწევის, კანდიდატების საარჩევნო პლატფორმების, ბანერებისა და ოფისების დაზიანების ფაქტებიც, რასაც ძირითადად ადგილი ჰქონდა ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტებისა და მათი კანდიდატების მიმართ.
- არათანაბარი საარჩევნო გარემოს რისკებს წარმოშობდა საჯარო მოხელეების კანონდარღვევით მონაწილეობა აგიტაციაში და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები.
- გამოწვევას წარმოადგენდა, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობა აგიტაციაში ვიდეოტრანსლირების მეშვეობით, აგრეთვე, საჯარო მოსამასახურების აგიტაციაში მონაწილეობა სოციალური ქსელების გამოყენებით.
- ადგილი ჰქონდა სახელმწიფო უწყებების მიერ განეული საქმიანობის რეკლამირებას და მათ გავრცელებას როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებების, ასევე, სხვა საკომუნიკაციო საშუალებების სახით, რაც აჩენდა კითხვებს ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებისა და არჩევნების წინ ამომრჩეველთა განწყობებზე გავლენის მოხდენის მცდელობასთან დაკავშირებით.<sup>18</sup>
- პოლიტიკურმა გაერთიანებებმა საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების სახით ადმინისტრაციული რესურსისა და სავარაუდო იძულების ფაქტებზე ინფორმაცია გაავრცე-

<sup>15</sup> <https://gyla.ge/ge/post/saiam-saarchevno-cvlilebebtan-dakavshirebit-saqartvelos-parlaments-daskvna-tsarudgina>

<sup>16</sup> დარღვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ საის საინფორმაციო ბიულეტენებში: <https://gyla.ge/mod/newsletter/5>, <https://gyla.ge/mod/newsletter/6>, <https://gyla.ge/mod/newsletter/7>.

<sup>17</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>18</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

ლეს, რაც საიას მონიტორების მიერ გადამოწმების შემდეგ დადასტურდა.<sup>19</sup>

- წინა წლების არჩევნებისაგან განსხვავებით, აუდიტის სამსახურს უფრო ხშირად ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტების შესწავლის მიზნით მიმართავდნენ.
- დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სააგიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობის მისალებად საჯარო მოხელეები ძირითადად კუთვნილი შეებულებით სარგებლობდნენ.<sup>20</sup> თუმცა, რეგიონებში მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის ღონისძიებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების მობილიზების ფაქტები დაფიქსირდა, რამაც თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივად დაკვემდებარებული პირების წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვასთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა.
- საბიუჯეტო ცვლილებები, რიგ შემთხვევებში, სწორედ კამპანიის ოფიციალურად დაწყების შემდეგ განხორციელდა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული 60 დღიანი წინასაარჩევნო პერიოდის შეზღუდვის პრინციპი ბიუჯეტის ცვლილებებისა და ახალი პროგრამების ინიცირების/არსებულის ზრდის თაობაზე.
- 2016 წლის ბიუჯეტების დაგეგმვისას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ცდილობდნენ, ბიუჯეტი საარჩევნო მიზნებისთვის მოერგოთ.
- წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებამდე, ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, არაერთი ფარვული მასალა გავრცელდა, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ისინი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იყო მიმართული და მათ დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.
- ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები თითქმის არ დაფიქსირებულა. მიუხედავად თავისუფალი და კრიტიკული მედიის შენარჩუნების მიმართულებით 2015-2016 წლებში შექმნილი სერიოზული საფრთხეებისა, საპარლამენტო არჩევნების წინ მედიაგარემო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, გაცილებით თავისუფალი და პლურალისტური იყო, რაც პოლიტიკურ ძალებს შესაძლებლობას აძლევდა, ამომრჩევლისთვის ხმა თავისუფლად მიეწვდინათ.
- თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში, ისევე როგორც მანამდე, არსებობდა მედიის ძლიერი პოლარიზების აღქმა და კითხვები კონკრეტული მედიასაშუალებების პოლიტიზირებასთან დაკავშირებით.

## სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა

### საარჩევნო ადმინისტრაცია

- პოზიტიურად უნდა შეფასდეს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა გამჭვირვალობისა და საარჩევნო პროცესებში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის კუთხით. თუმცა, დაფიქსირდა პრობლემური საკითხებიც, როგორიცაა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, საარჩევნო დავების განხილვა, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია და მათთვის რიგითი ნომრის მინიჭება.
- სხვაობა დაფიქსირდა საქართველოს მოსახლეობასა და ამომრჩევლებს შორის (199 920 მოქალაქე) ცესკოსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში, რამაც გარკვეული ეჭვები გააჩინა ჩატარებული აღნერის საყოველთაობასა და ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან დაკავშირებით: ცესკოს მონაცემებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ მაჟორიტულ საარჩევნო ოლქებში 3 513 884 შეადგინა.<sup>21</sup> თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მიერ განხორციელებული საყოველთაო აღნერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 713 804 შეადგინა.<sup>22</sup>
- ცესკომ არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი დაამტკიცა.<sup>23</sup> დადგენილება დაეხმარა იმ ამომრჩევლებს, რომლებიც მოხსნეს საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციიდან, ან რომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ასევე, ვინც მისამართის მითითების გარეშე იყვნენ რეგისტრირებულნი.<sup>24</sup>

<sup>19</sup> მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად, გარკვეულმა პირებმა საიას მონიტორებთან დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია, საკუთარი ვინაობის საჯაროდ დასახელებაზე ური განაცხადეს.

<sup>20</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>21</sup> <http://cesko.ge/geo/list/show/109430-amomrchevelta-saerto-raodenoba-2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebistvis-majoritarul-saarchevno-olqebshi-2-oqtombris-mdgomareobit>

<sup>22</sup> <http://census.ge/ge/results/census>

<sup>23</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3372187>

<sup>24</sup> აღნიშნული ამომრჩევლების მონაცემები ერთიან სიაში შეიტანეს ბოლო რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტომრივი (დროებითი)

- საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს, არაერთ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა კონკურსის შედეგად შერჩეულ პირთა სიების წინასწარ შედგენას.<sup>25</sup> აგრეთვე, გამოითქვა ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიების „პროფესიული“ წევრების კვოტით პოლიტიკური მიკერძოების მქონე პირები იყვნენ შერჩეული.
- ცესკოს მოქმედებები, არსებული საკანონმდებლო ნორმების ფარგლებში განსაზღვრული მისი უფლებამოსილებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირების თვალსაზრისით, გარკვეულ კითხვებს აჩენდა, რაც ნათლად გამოიკვეთა პოლიტიკური პარტიების რევისტრაციისა და საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების მინიჭების დროს.<sup>26</sup>
- წინასაარჩევნო პერიოდში ცესკოში შესული საჩივრების აბსოლუტური უმრავლესობა დაუკმაყოფილებელი დარჩა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო კანონმდებლობის სწორი, პროგრესული განმარტება მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რითაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით იგი თავს არიდებდა საკუთარი უფლება-მოსილების სათანადოდ განხორციელებას.<sup>27</sup>

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის ყველაზე დიდი ოდენობის შემონირულება და ყველაზე მეტი ხარჯი მმართველ პარტიას – „ქართულ ოცნებას“ დაუფიქსირდა.
- 2014 წლის მსგავსად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, ამჯერადაც შეიქმნა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებისა და გამჭვირვალობის მონიტორინგის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებული დროებითი საკონსულტაციო კომისია. აღნიშნული კომისიის არსებობა ხელს უწყობს აუდიტის სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობას. კომისიის მუშაობაში საიც მონაწილეობდა.<sup>28</sup>
- წინასაარჩევნო კამპანიის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და შემდგომში სასამართლოს მხრიდან სამართალდარღვევის ფაქტების სათანადო შეფასება ვერ მოხდა.<sup>29</sup>
- არჩევნების დასრულების შემდეგ სასამართლოში გასაჩივრდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანანილებელი დაფინანსების ოდენობების თაობაზე ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება. კანონის არასწორი განმარტების პირობები, ერთ-ერთმა პარტიამ დაფინანსების სახით დამატებით 300 000 ლარი მიიღო, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, საარჩევნო ადმინისტრაციებში კომისიის წევრის ყოლის უფლება მოეპოვებინა.<sup>30</sup> აღნიშნულმა გარემოებამ დღის წესრიგში დააყენა პარტიების სახელმწიფო დაფინანსების რეგულაციების გადახედვა.

## უწყებათაშორისი კომისია

- უწყებათაშორისმა კომისიამ სამუშაო პროცესში საარჩევნო საკითხებით დაინტერესებულ პირთა ჩართვა უზრუნველყო. სხდომები ძირითადად კონსტრუქციული დიალოგის რეზიმში მიმდინარეობდა. თუმცა, კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა დისკუსიების პოლიტიზებას და პარტიების წარმომადგენელთა მიერ განხილვების ურთიერთბრალდების ტონალობაში გადაყვანას, რაც ხელს უშლიდა კომისიის ეფექტიან მუშაობას.<sup>31</sup>
- კომისიამ 14 სედომა გამართა და 4 რეკომენდაცია გამოსცა, თუმცა, დარღვევები რეკომენდაციების გამოცემის შემდგომაც დაფიქსირდა, რაც, გარკვეულწილად, განპირობებული იყო იმით, რომ კომისიას რეკომენდაციების აღსრულების მექანიზმი არ გააჩნია.<sup>32</sup>

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

<sup>25</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-tsinasaarchechno-procesebis-monitoringis-farglebshi-saubno-saarchechno-komisiebis-tsevrebis-amzhamad-mimdinare-shesarchevi-konkursebis-monitorgs-atsarmoebs>

<sup>26</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchechno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>27</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchechno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>28</sup> <http://www.sao.ge/news/752>; შეხვედრაზე ასევე განხილული იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი პროცესები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე, წარდგენილი იყო ინფორმაცია მიმდინარე მონიტორინგის შედეგებსა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ახალი ვებგვერდის მზადებასთან დაკავშირებით.

<sup>29</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinaarchechno-garemos-shefaseba>

<sup>30</sup> <https://gyla.ge/ge/post/arasmamtavrobo-organizaciebis-ceskos-tavmjdmaris-gankargulebas-ekhmaurebian>

<sup>31</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchechno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>32</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/487>; კომისიის დებულებით განისაზღვრა, რომ კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის

- საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით ინფორმაციის/განცხადებების განხილვის კუთხით, არ არსებობდა კომისიის მუშაობის აღმნერი დეტალურად გაწერილი წესები, რაც მეტ სიცხა-დეს შეიტანდა მის საქმიანობაში.

## სამართალდამცავი ორგანოები

- პოლიცია ესწრებოდა წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებს და კანონდარღვევებზე შესაბამის რეაგირებას ახდენდა. მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, იყენებდა ადმინისტრაციული წესით დაკავებას კანონდამრღვევთა მიმართ.<sup>33</sup> თუმცა, დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პოლიცია არასათანადო რაოდენობით იყო წარმოდგენილი და ძალადობის პრევენცია ვერ უზრუნველყო.
- შინაგან საქმეთა მინისტრმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 2 ბრძანება გამოსცა,<sup>34</sup> რომლებიც არჩევნების თავისუფალ, მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფას, ასევე, სამართალდარღვევების პრევენციასა და მათზე დროულ რეაგირებას ისახავდა მიზნად. ამის მიუხედავად, დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლიციამ სათანადოდ ვერ შეძლო სამართალდარღვევების პრევენცია და მათი დროული აღკვეთა. ცალკეულ შემთხვევებში, პოლიციის უმოქმედობამ და არასათანადო რეაგირებამ პროცესს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ძალადობრივი შემთხვევები განვითარდა ჯიხაშკარსა და ყიზილაჯლოში, სადაც მოხდა უბნებზე შეჭრა.
- პოლიციელთა სრული მზადყოფნა და მობილიზება დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქციაზე 5 ოქტომბერს თბილისში, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. აგრეთვე, მეორე ტურზე, კენჭისყრისა დღეს, მშვიდი და არაძალადობრივი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სამართალდამცავი ორგანოების მობილიზებული მოქმედებები წარმოადგენდა.
- თუმცა, მთელ რიგ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა შეიცავდა მუქარის, იძულების, დაშინების ან ძალადობის სხვადასხვა ფორმას და რომლებზეც საუბარი იყო როგორც მედიასაშუალებებში, ასევე, უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში, შსს-ს მიერ წარმართული გამოძიებები არაეფექტურია, რაც უარყოფითად აისახება ამ უწყების, როგორც ეფექტური და პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუტის მიმართ ნდობაზე.<sup>35</sup>

## არჩევნების დღე

### პირველი ტური

- 2016 წლის 8 ოქტომბერს ამომრჩეველს ძირითადად ჰქონდა ნების თავისუფლად გამოვლენის შესაძლებლობა. თუმცა, კვლავ დაფიქსირდა ამომრჩევლის ნებაზე არაპირდაპირი კონტროლის მცდელობები, რაც გამოიხატებოდა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების აქციისატების მიერ ამომრჩეველთა აღრიცხვაში. არაერთი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდნენ გაურკვეველი სტატუსის მქონე პირები.
- ხმის მიცემის პროცესისგან განსხვავებით, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების ეტაპი, რიგ შემთხვევებში, უხეში დარღვევების ფონზე წარიმართა, რაც გამოიხატებოდა ძალადობრივ ქმედებებში. დაფიქსირდა უბნებზე შეჭრის ცალკეული შემთხვევებიც, რამაც გავლენა მოახდინა კონკრეტულ უბნებზე არჩევნების შედეგებზე და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კენჭისყრის დღის საერთო სურათს. ამ უბნებზე არსებითი ხასიათის დარღვევების გამო, 2016 წლის 22 ოქტომბერს რამდენიმე უბანზე განმეორებითი არჩევნები ჩატარდა.
- დამკირვებლების უფლებების შეზღუდვა და, ცალკეულ შემთხვევებში, მათი უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა იყო კენჭისყრის დღეს.
- კრიტიკის საგანი გახდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კომპეტენცია არჩევნების დღეს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, განსაკუთრებით, ბალანსის გამოყვანა და შემაჯამებელი ოქმების შედგენა გაუჭირდათ.<sup>36</sup>

<sup>34</sup> მიერ უფლებამოსილების განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს შეასრულებდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე), რაც სიახლეს წარმოადგენდა.

<sup>35</sup> წესრიგის დარღვევის გამო ხელივობის საფუძველით, პოლიციამ ბათუმში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხელივობა) დააკავა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი სამშობლოს“ წევრი. სასამართლომ მას ადმინისტრაციული სახდელი – 100 ლარის ოდენობით ჯარიმა შეუფარდა.

<sup>36</sup> ბრძანება 08.09.2016 #512 და ბრძანება 19.10.2016 #584 <http://info.police.ge/images/brdzaneba>

<sup>37</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>38</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ კენჭისყრის დღის თავი.

## არჩევნების მეორე ტური

- ისევე, როგორც პირველ ტურზე, მეორე ტურზეც ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა, ნება, ძირითადად, თავისუფლად გამოეხატა.
- განსხვავებით პირველი ტურის კენჭისყრის დღისგან, მეორე ტურზე არ დაფიქსირებულა ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესის მნიშვნელოვანი ხარვეზები.
- პოზიტიურად უნდა შეფასდეს ისიც, რომ მეორე ტურის კენჭისყრის დღეს ადგილი არ ჰქონია უბნების გარე პერიმეტრზე ძალადობას ან უბნების დარბევის შემთხვევებს. თუმცა, ამის მიუხედავად, პრობლემური იყო მარკირებაგავლილ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობისა ან მონაწილეობის შცდელობის ფაქტები.<sup>37</sup> ასევე, არსებობდა ინფორმაცია ამომრჩევლის ნებაზე სავარაუდო კონტროლის თაობაზე.<sup>38</sup>

## არჩევნების შემდგომი პერიოდი

- საიას დამკვირვებლებმა ზემდგომ საარჩევნო კომისიებში საჩივრები ძირითადად ისეთ დაღვევებთან დაკავშირებით წარადგინეს, როგორიცაა: უზუსტობები საუბრო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში – დისბალანსი,<sup>39</sup> მონაცემების გადასწრება,<sup>40</sup> სავალდებულო მონაცემების შეუვსებლობა, საუბრო საარჩევნო კომისიების ბეჭდების არარსებობა, ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების საეჭვო რაოდენობა;<sup>41</sup> კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევები;<sup>42</sup> დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა; საოლქო საარჩევნო კომისიაში დოკუმენტაციის გადაცემის/დალუქვის დარღვევები; არაუფლებამოსილი პირების შექრა უბანზე; კომისიის ნევრების მიერ უფლებამოსილების არასათანადოდ განხორციელება და ნილისყრის პროცედურების დარღვევები; აგიტაცია საუბრო საარჩევნო კომისიაში და არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე;
- ზემდგომი საარჩევნო კომისიები ძირითადად უარს ამბობდნენ ისეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც უნდის შედეგების გადათვლას ან შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებული რომელიმე საეჭვო მონაცემის (მაგალითად, ბათილი ბიულეტენების) შემოწმებას უკავშირდებოდა. საჩივრები, ფაქტობრივად, მხოლოდ ქვემდგომი საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების ნაწილში კმაყოფილდებოდა;
- საარჩევნო კომისიებისა და შემდგომში სასამართლოების მიერ, ფაქტობრივად, დაუკმაყოფილებელი რჩებოდა მათთან წარდგენილი საჩივრები, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ასეთი მიდგომა მიზნად ისახავდა არა მომხდარის შესახებ სიმართლის გამორკვევას და საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ საჩივრების თავიდან არიდებას.
- შედეგად, მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, ვერც საარჩევნო ადმინისტრაციამ და ვერც სასამართლომ კანონმდებლობის სწორი, პროგრესული განმარტება ვერ უზრუნველყოვეს.<sup>43</sup>

<sup>37</sup> დაფიქსირდა მარკირებავლილი ამომრჩევლის მიერ არჩევნებში მონაწილეობის მცდელობის 70-მდე ფაქტი.

<sup>38</sup> <https://gyla.ge/post/saia-amomrchevlis-nebaze-savaraudio-kontrolis-faqts-ekhmianebe>; საუბარა სავარაუდო უკანონო მითოობის გაცემაზე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მიმართ. რაც უცლისხმობდა განსხვავებული ფორმით არჩევანის გაკეთებას მეორე ტურზე. საიამ მოუწოდა ამომრჩევლებს, ნების გამოხატვაზე იძულების ან მომავალში რაიმე ფორმით ზეწილის შემთხვევაში, მიემართათ ორგანიზაციისათვის თბილისა და რეგიონულ ოფისებში.

<sup>39</sup> შემაჯამებელ ოქმებში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის მეტობა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე.


<sup>40</sup> იმავდროულად, საუბრო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი არ იყო შესწორების ოქმები.

<sup>41</sup> იმ უბნებზე, სადაც ბათილი ბიულეტენის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (მაგალითად 40-ზე მეტი), საიამ ბათილი ბიულეტენების გადათვლა მიითხოვა.

<sup>42</sup> დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა, შემაჯამებელ ოქმზე წინასაწარ ხელმოწერების გაკეთება, წილისყრის ფუნქციის თვითწმურად გადასწილება, წილისყრის პროცედურის დარღვევა, საკონტროლო ფურცლების არასათანადოდ შევსება, მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვ.


<sup>43</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

## დარღვევები




- სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვა - 8
- უკანონო აგიტაცია - 10
- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება - 6
- სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება - 6
- სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაკავშა - 4
- ჯარიმა პოლიტიკური ნიშნით - 5
- კამპანიაში ხელშეწყობა და ძალადობა/ფიზიკური დაპირისპირება - 16
- საგიტაციო მასალების დაზიანება - 10
- პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის წესების დარღვევა - 4
- მაჟორიტარი კანდიდატის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა - 1
- ზეწოლა/მუქარა - 4
- პერსონალურ მოწაცემთა შეგროვება - 4
- პარტიების ოფიცების დარბევა/ჭურდობა - 5

საიას დამკვირვებლებმა, დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით, არაერთი განცხადება/საჩივარი წარადგინეს შესაბამის უწყებებში. სტატისტიკა, სხვადასხვა ფაქტთან დაკავშირებით, ასე გამოიყურება:



## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრებისა და შენიშვნების რაოდენობა



### IV. პოლიტიკური კონფესიი

2016 წლის არჩევნები იყო პირველი საპარლამენტო არჩევნები მას შემდეგ, რაც 2012 წელს, უკიდურესად დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდის ფონზე,<sup>44</sup> საქართველოს ისტორიაში პირველად, ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა.

ეს იყო პირველი საპარლამენტო არჩევნები საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. საგულისხმოა, რომ არჩევნების მაღალი სტანდარტებით ჩატარებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხის გადაწყვეტამდე.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით მონაწილეობის მიზნით – 25 საარჩევნო სუბიექტი,<sup>45</sup> ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მონაწილეობის მიზნით – 816 კანდიდატი დარეგისტრირდა,<sup>46</sup> რამაც წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ველი, ერთი შეხედვით, მრავალფეროვანი გახდა. თუმცა, ამის მიუხედავად, რეალურად ბრძოლა ორ ძალას – მმართველ გუნდსა და ერთ კონკრეტულ ოპოზიციურ პარტიას შორის წარიმართა, რამაც დაჩრდილა სხვა პოლიტიკური პარტიების მონაწილეობის მნიშვნელობა ამ პროცესში და პოლიტიკური ველი ისევ ოპოლუსიანი დატოვა.

პოლიტიკურ ძალებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყალგამყოფს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებული პოზიციები წარმოადგენდა: არჩევნებში მონაწილეობდნენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები, რომელთაც მკაფიოდ გაცხადებული პროდასავლური კურსი ჰქონდათ, ასევე – პარტიები და ბლოკები, რომლებიც რუსეთთან დაახლოებასა და უბლოკო სტატუსზე აკეთებდნენ აქცენტს.

არჩევნებამდე მმართველი პოლიტიკური ძალა „კოალიცია – ქართული ოცნება“ დაიშალა. ყოფილმა სახელისუფლებო პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად გადაწყვიტეს.<sup>47</sup>

2016 წლის არჩევნების ჭრილში, საგულისხმოა ის ცვლილებები, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ ველზე განხორციელდა. აღსანიშნავია შემთხვევები, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის კანდიდატები, აქტივისტები ტოვებდნენ/იცვლიდნენ პოლიტიკურ პარტიებს ან წყვეტდნენ პოლიტიკურ საქმიანობას. რიგ შემთხვევებში, აღნიშნული განპირობებული იყო შიდაპარტიული პრობლემებით, თუმცა, სხვა შემთხვევები გარკვეულ კითხვებს აჩენდა შესაძლო გარეჩარევების შესახებაც.

არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე დაფიქსირდა ფრაგმენტაცია პოლიტიკური გაერთიანებების ერთობას შორის. მაგალითად, ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა „გირჩმა“ არჩევნებამდე დატოვა საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ და არჩევნებს გამოეთიშა. აღნიშნული ტენდენცია მოგვიანებით, არჩევნების შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა, როდესაც პოლი-

<sup>44</sup> 2012-2014 საარჩევნო ციკლის შემფასებელი ანგარიშები: OSCE/ODIHR, NDI, GYLA, ISFED, TI

<sup>45</sup> დარეგისტრირდა სულ 19 პოლიტიკური გაერთიანება და 6 საარჩევნო ბლოკი.

<sup>46</sup> 763 მაჟორიტარი კანდიდატი დასახელდა პარტიების მიერ, ხოლო 53 კანდიდატი დამოუკიდებელი საინიციატივო ჯგუფების მიერ.

<sup>47</sup> <http://cesko.ge/res/docs/PartiebiReg2016GEO.pdf>

ტიკური პარტიის არაერთმა ლიდერმა საკუთარი პოლიტიკური გაერთიანება დატოვა, ან დროებით უარი განაცხადა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე.<sup>48</sup>

საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე, თანაბარი და სამართლიანი საარჩევნო გარე-მოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა 2016 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები, რომელიც მუქარის მესიჯებს შეიცავდა. საქართველოს კულ-ტურული კონტექსტის გათვალისწინებით, კადრების სკანდალი ატარებდა მნიშვნელოვან გენდერულ კონტექსტს და განსაკუთრებით საფრთხის შემცველი იყო პოლიტიკაში ქალთა აქტიური მონაწილეობის იდეის საზოგადოებაში განმტკიცებისათვის.<sup>49</sup>

გამოწვევას წარმოადგენდა, აგრეთვე, ე.წ. „ციხის კადრების“ გამოყენების მცდელობები საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების მიზნით<sup>50</sup> და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით სატელევიზიო სერიალის ტრანსლირება, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს შეეხებოდა. სერიალის ტრანსლირება დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს, რაც ამყარებს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ სერიალის მომზადება და ეთერში მისი გაშვება სწორედ საარჩევნო მიზნებს ისახავდა.

2016 წლის 22 მაისს საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე ზუგდიდის ოლქში კორცხელის №53 უბნის გარე პერიმეტრზე მომხდარი ძალადობრივი ქმედებების შემდეგ, საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად არჩევნების ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ჩატარება იქცა.<sup>51</sup> ამ ინციდენტმა ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია და იმავე დღეს სხვა საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესები ერთბაშად გადაფარა.<sup>52</sup>

ხელისუფლება ორჯერ გამოვიდა პოლიტიკურ პარტიებს შორის წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვან პრინციპებზე შეთახმების, მათ შორის, წინასაარჩევნო კამპანიის ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ჩატარების ინიციატივით, რომელსაც გარეკეული პოლიტიკური პარტიები შეუერთდნენ, თუმცა, სხვები გაემიჯნენ – მათ შორის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ხელისუფლების ზემოხსენებული ინიციატივა ცალსახად მისასალმებელი იყო, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათ მნიშვნელობას აკნინებდა წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ ინციდენტებზე, რიგ შემთხვევებში, არა-სათანადო რეაგირება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან და მმართველი პარტიის ცალკეული წარმომადგენლების საჯარო რიტორიკა.<sup>53</sup>

პოლიტიკურმა პარტიებმა ვერც ამ არჩევნებზე მოახერხეს პოლიტიკური დისკუსიების წარმართვა სიძულვილის ენის გამოყენებისა და მოწყვლადი ჯგუფების ინსტრუმენტალიზაციის გარეშე.<sup>54</sup> მიუხედავად კონკრეტული მცდელობებისა, ასევე, პარტიების მიმართ არაერთი სამოქალაქო მოწოდებისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია მშვიდ, კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართულიყო და საარჩევნო პროგრამებზე ყოფილიყო ფორუსირებული, აღნიშნულ პერიოდს თან სდევდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთბრალდებები, მთელ რიგ შემთხვევებში კი – ასევე პიროვნული შეურაცხყოფები.

ამგვარი ფონი აღრმავებდა უნდობლივას სახელმწიფო ინსტიტუტებისა და უწყებების მიმართ და ინვევდა სამართლებრივი საკითხების პოლიტიზებას.<sup>55</sup>

<sup>48</sup> პოლიტიკური ცენტრის წარმომადგენლებმა პაატა ბურჭულაძეს შანჩაუსა და პირადი მიზნებით ადგილების გაყიდვაში დასდეს ბრალი. თავის მხრივ, პაატა ბურჭულაძე „გირჩი“, „ქართულ ცენტრასთან“ ალიასში დადანაშაულა და ისინი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებულებად მოიხსენია; <http://www.ipress.ge/new/46253-paata-burchuladze-girchi-aris-bidzna-ivanishvilis-dafinansebuli> და <http://exclusivenews.ge/post/21189>

<sup>49</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinsaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>50</sup> <http://www.esshengexeba.ge/?menuid=9&id=1140&lang=1>

<sup>51</sup> მომხდარ დაპირისპირებას უშუალოდ შეესწრო საიას დამკვირვებელი, რომელმაც აღნიშნული ინციდენტის ვიდეოგადაღებაც განახორციელა; <https://www.gyla.ge/ge/post/saia-mtavar-prokurors-moutsodebs-pirad-konrtolze-aiyvanos-korckhelis-53-e-saarchvno-ubnis-mimdebare-teritoriale-momkhdari-dzaladobrivi-faqtebis-gamodzieba>

<sup>52</sup> უცნობმა პირებმა, რომლებიც ხელებზე იყვნენ შეარაღალებული, ფიზიკური ძალადობა განხორციელეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიმართ, ფიზიკური შეურაცხილების და ხელი შეუმალებების მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. დაპირისპირება დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა, ამ პერიოდის მანძილზე სახელმწიფომ ვერ შესარულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება და დაუშვა კონკრეტულ ინდივიდებზე არასათანადო მოპყრობის განხორციელება. მცირე რაოდენობის გამო, პოლიციამ მოაბლადების შეკავება ვერ მოახორხა და თავადაც დაზარალდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტის დროს ორი პოლიციელი დამავდა.

<sup>53</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinsaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>54</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinsaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>55</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinsaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

## V. მედიაგარეალი

მიუხედავად თავისუფალი და კრიტიკული მედიის შენარჩუნების თვალსაზრისით 2015-2016 წლებში შექმნილი სერიოზული საფრთხეებისა, საპარლამენტო არჩევნების წინ მედიაგარემო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, გაცილებით თავისუფალი და პლურალისტური იყო, რაც პოლიტიკური ძალებს საშუალებას აძლევდა, ამომრჩევლისათვის ხმა თავისუფლად მიეწვდინათ და მათთან ეფექტური კომუნიკაცია ჰქონდათ თითქმის ყველა სატელევიზიო არხის მეშვეობით. ტელეკომპანიები ცდილობდნენ, პარტიებისთვის თანაბარი შესაძლებლობები შექმნათ როგორც სატელევიზიო ეთერში, ისე რეკლამის განთავსების კუთხით. თუმცა, გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ პრეტენზიები უფასო სარეკლამო დროით სარგებლობასთან დაკავშირებით, რაც ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით იყო განპირობებული.<sup>56</sup>

მისასალმებელია, რომ რამდენიმე მედია საშუალებამ საზოგადოებას შესთავაზა თემატური დებატები პარტიების პროგრამების მიხედვით. თუმცა, უარყოფით შეფასებას იმსახურებს ის გარემოება, რომ, მაგალითად, 3 ოქტომბერს რიგი პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებულ თემატურ დებატებში მონაწილეობა არ მიიღეს.<sup>57</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მედიაგარემო არის მეტად პოლარიზებული, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების შედეგების გაშუქების კონტექსტში. გაღრმავდა კითხვები კონკრეტული მედიასაშუალებების პოლიტიზირებასთან დაკავშირებით. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ სხვადასხვა არხის მიერ, საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე დაყრდნობით, პოლიტიკური პარტიების რეიტინგების გამოქვეყნება.<sup>58</sup> აღსანიშნავია, რომ ტელეარხებმა მაყურებლებს განსხვავებულ კვლევებზე დაფუძნებული, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური რეიტინგების მონაცემები შესთავაზეს.<sup>59</sup>

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ანტიდასავლურად განწყობილი მედია-სამუალებები, რომლებიც, როგორც წესი, სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლთა მიმართ ქსენოფონბიური, პომოფონბიური განცხადებებითა და სიძულვილის ენის გამოყენებით გამოირჩენენ.<sup>60</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში თითქმის არ დაფიქსირებულა უურნალისტებზე ზენოლის ფაქტები.<sup>61</sup> მიუხედავად ამისა, ყურადღებას იმსახურებს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სატელევიზიო სივრცეში მომხდარი ცვლილებები. 2012 წლიდან მოყოლებული ეტაპობრივად დაიხურა 5 მაღალრეიტინგული გადაცემა. ამის მიზეზი, გადაცემის წამყვანების ინფორმაციით, მთავრობასა და მედიამფლობელებს შორის გარკვეული გარიგება იყო. ზოგ შემთხვევაში, მიზეზად ტელეკომპანიის მფლობელების პოლიტიკა დასახელდა. წინასაარჩევნო პერიოდში აქტუალური გახდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელობის სასამართლო დავა. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში არხის ტექნიკური შეფერხება არ მომხდარა, სასამართლო დავასთან დაკავშირებული გაურკვევლობა და პროცესის უკიდურესი პოლიტიზაცია უარყოფით გავლენას ახდენდა არხის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე.<sup>62</sup>

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია GDS<sup>63</sup> კვირაში ორჯერ ორსაათიან უფასო ეთერს უთმობდა ყოფილ პრემიერმინისტრს – ბიძინა ივანიშვილს, რაც არხს სხვა პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლოდ არ განუხორციელება.<sup>64</sup> ყოფილი პრემიერმინისტრი მმართველი პარტიის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა. მართალია, აღნიშნული ქმედება არ წარმომადგენდა კანონდარღვევას, თუმცა, აღიქმებოდა პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად.<sup>65</sup>

<sup>56</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>57</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>58</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>59</sup> ერთი მხრივ, კვლევებს ატარებდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ დაქირავებული კვლევითი კომპანია „GFK“, ხოლო მეორე მხრივ, ტელეკომპანია „იმედის“, „მაქსტროს“, „GDS“-ისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის დავეთით კვლევებს ატარებდა კომპანია „TNS“.

<sup>60</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>61</sup> გამოხავლის წარმომადგენდა 2016 წლის 18 აგვისტოს ქალაქ რუსთავში მომხდარი ინციდენტი. ინტერნეტგამოცემა „მედია“. ჯის „რედაქტორის დავით მჭედლიძის განცხადებით, როდესაც ის ერთ-ერთ კორპუსში კონფლიქტურ ვითარებას ამუქებდა, მას პოლიციის თანამშრომელმა ფიზიკური იძულების გზით გაუთიშა ვიდეოკამერა, არ მისცა კადრების გადაღების საშუალება და უურნალისტი ძალის გამოყენებით გააგდო რთახიანი. <https://gyla.ge/ge/post/saia-ekhmiameba-zhurnalistis-davit-mtchedlidzistvis-policiis-mier-idzulebis-gamoyenebit-profesiul-saqmianobashi-khelis-sheshlis-faqs>

<sup>62</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>63</sup> ტელეკომპანიის მფლობელი ყოფილი პრემიერმინისტრი და მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი იყო.

<sup>64</sup> ვინაიდან გადაცემა ოფიციალური წინასაარჩევნო რეკლამის სტატუსით არ გადიოდა, ეს ქმედება შესაძლოა წარმომადგენდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის შე-2 პუნქტით გათვალისწინებულ იურიდიული პირისგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით მიღებულ მომსახურებას, რაც იმავე ნორმის თანახმად, შემოწირულებად ითვლება. საამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, აუდიტის სამსახურსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის სკოითხების შესწავლისგენ მოუწოდა. 2016 წლის 14 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არასამთავრობოების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა; <https://gyla.ge/ge/post/telekompania-gds-ze-gasuli-gadacemebi>

<sup>65</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთის მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები გამოვლინდა. მაგალითად, საიას მონიტორებმა დააფიქ-სირეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის „ტყ-იბულის“ მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების წესების დარღვევის 2 ფაქტი, რაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაასა-ჩივრა.<sup>66</sup> საიას მონიტორების ინფორმაციით, სასამართლომ ორივე შემთხვევაში გაზეთს პასუხისმგე-ბლობის ზომად შენიშვნა განუსაზღვრა.

## VI. საკანონმდებლო ჩარჩო

### საარჩევნო სისტემის რეფორმა<sup>67</sup>

#### შინაარსობრივი ცვლილებები

მსჯელობა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის ცვლი-ლების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 2015 წლის დასასაცისში დაიწყო.<sup>68</sup> შედეგად, 2015 წელს მიღწეულ იქნა პრაქტიკულად უპრეცედენტო კონსენსუსი პოლიტიკურ გაერთიანებებს, ექსპერტებსა და სამო-ქალაქო ორგანიზაციებს შორის საარჩევნო სისტემის შეცვლის საკითხზე, რათა არსებული შერეუ-ლი საარჩევნო სისტემა პროპორციული საარჩევნო სისტემით შეცვლილიყო.<sup>69</sup> თუმცა, ხელისუფლე-ბამ უარი განაცხადა იმგვარი რეფორმის გატარებაზე, რომელიც არსებითად გააუმჯობესდა საარჩევნო გარემოს. საარჩევნო სისტემის ცვლილებები 2020 წლისთვის გადაიდო.<sup>70</sup> ამის მიზანად, უმთავრესად, დასახელებული იყო არჩევნებამდე დარჩენილი მცირე დრო და ამ დროში ძირეული რე-ფორმის განხორციელების სირთულე.

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი 2015 წელს გავრცელებულ ერთობლივ მიმართვაში<sup>71</sup> მხარს უჭერდა მაურიტარული სისტემის გაუქმებას და სამხარეო პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებას. შეთავაზებული წინადადება ითვალის-წინებდა 75 დეპუტატის ერთიანი პროპორციული სისტემით, ხოლო 75 დეპუტატის სამხარეო პროპორ-ციული სისტემით არჩევას. აღნიშნული ინიციატივა 2016 წელს 200 000 ამომრჩევლის საკანონმდებლო ინიციატივის სახით დარეგისტრირდა საქართველოს პარლამენტში.

იმავდროულად, პარლამენტში დარეგისტრირდა 81 დეპუტატის ინიციატივა (ე.წ ხელისუფლების ინი-ციატივა), რომელიც საპარლამენტო არჩევნების მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარებას ითვალის-წინებდა, ანუ 150 პარლამენტის წევრის არჩევა მოხდებოდა მხოლოდ პროპორციული სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

პარლამენტში დარეგისტრირდა პარლამენტარების (კუბლაშვილი, ხაჩიძე, ჯაფარიძე და მელაძე) მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივაც.<sup>72</sup>

2016 წლის არჩევნებამდე ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ მცდელობას, რომ საარჩევნო სისტემა არსე-ბულზე უკეთესი ყოფილიყო. მხედველობაში გვაქვს ე.წ. „გერმანული მოდელის“ მოდიფიცირებული ვერსია, რომლის მიღების შემთხვევაში, 2016 წლის არჩევნების წინ საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების რეალური შანსი იქმნებოდა. ცვლილება საარჩევნო სისტემას გაცილებით სამართლის გახდი-და, ვინაიდან ამომრჩეველთა ნება საპარლამენტო მანდატებში მეტი პროპორციულობით იქმნებოდა ასახული. ამასთან, სისტემის ცვლილების სხვა ინიციატივებისგან განსხვავებით, ამ მოდელის მიღებას კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა არ დასჭირდებოდა. მიუხედავად წინასწარ გაკეთებული არაერ-თო განცხადებისა, პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ მოახერხეს საკანონმდებლო ისტორიული შანსი.<sup>73</sup>

<sup>66</sup> გაზეთის ივლისის და აგვისტოს ნომრებში მედიასაშუალებამ დაარღვია საარჩევნო კანონმდებლობა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ელგუჯა გოცირიძის აგიტაციის მიზნებისთვის.

<sup>67</sup> [https://gyla.ge/ge/post/saia-saarchevo-kanonmdeblobaze-mushaobis-kutkhit-khelisuflebis-saqmianobas-afasebs#\\_ftn1](https://gyla.ge/ge/post/saia-saarchevo-kanonmdeblobaze-mushaobis-kutkhit-khelisuflebis-saqmianobas-afasebs#_ftn1)

<sup>68</sup> <https://gyla.ge/ge/post/rekomendaciebi-saarchevo-sistemastan-dakavshirebit-92>

<sup>69</sup> თუმცა, არსებობდა რამდნობები მოდელი კონკრეტულ პროპორციულ სისტემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავა, რომ საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო სისტემის თაობაზე კონსენსუსს პოლიტიკურ გაერთიანებებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს შორის სათავეში ედგა საქართველოს პრეზიდენტი, რომლის ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით მოხდა კონკრეტული ერთობლივი მიმართვის შემუშავება და წარდგენა საკანონმდებლო ორგანიზაციების სხვა დეტალებს.

<sup>70</sup> <https://gyla.ge/ge/post/arasmartavrobo-organizaciebi-saarchevo-sistemastan-dakavshirebit-qartuli-oceebis-gegmebs-ekhmaurebian-15>

<sup>71</sup> <https://gyla.ge/ge/post/mimartva-saqartvelos-parlaments-saarchevo-sistemis-reformirebis-sakikhze-08>

<sup>72</sup> ინიციატივა ითვალისწინებდა მაჟორიტარული მანდატების განაწილების ახლებულ მოდელს. რაიონები და ქალაქები ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად - 2, 3 და 4 მანდატიან ოლქებად იყოფილი. რაც შესხება დედაქალაქს, თბილისი 6 სამშენდატიან მაჟორიტარულ ოლქების უფლებამონაცვლეობის წესს და მაჟორიტარული წესით ჩასატარებელი არჩევნების სხვა დეტალებს.

<sup>73</sup> <https://gyla.ge/ge/post/politikuri-partiebi-saarchevo-sistemis-cvlibas-meti-pasukhismgeblobit-unda-moekidon> და <https://gyla.ge/ge/post/saarchevo-sistemis-reformis-mcdeloba-kvlav-tsarumateblad-dasrulda>;

2016 წლის 1 ივნისს პირველ საკანონმდებლო მისმანშენებულ მხარი ფრაქცია „რესპუბლიკელებმა“, „თავისუფალმა დემოკრატებმა“, „ეროვნულმა ფორუმმა“ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა დაუჭირა. საპარლამენტო საქმიანობის

შესაბამისად, საარჩევნო სისტემის არსებითი ცვლილების ნაცვლად, ცვლილებები განხორციელდა მხოლოდ იმ კუთხით, რომ მოხდა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით საარჩევნო ოლქების გა-თანაბრება<sup>74</sup> და მაჟორიტარული არჩევნებისთვის 50%-იანი ბარიერის დაწესება.<sup>75</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებელმა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით საარჩევნო ოლქები გაათანაბრა (ხელახლა მოხდა მათი დემარკაცია). ასევე, ცვლილება შეეხო მაჟორიტარული არჩევნებისთვის ბარიერის გაზრდას (მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისათვის ბარიერი გაიზარდა და, ნაცვლად არსებული 30%-ისა, გახდა 50%).

ხმის თანაბრობის პრინციპის უზრუნველყოფა, არაერთი წელია, ნარმოადგენდა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციის საგანს და მისი შესრულება პოზიტიურად უნდა შეფასდეს. თუმცა, საარჩევნო სისტემის კუთხით განხორციელებული ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ ეხმიანება მოქმედი საარჩევნო სისტემის პრობლემებს და კომპლექსურად ვერ უზრუნველყოფა ყველა იმ გამოზვევის აღმოფხვრას, რაც არსებულ საარჩევნო სისტემას გააჩნია. მაგალითად, არ ხდება ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად გარდასახვა მანდატებში, რაც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები არ არის საქმარისი ქვეყანაში უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემისა და გარემოს ჩამოსაყალიბებლად. აგრეთვე, სისტემის წინაშე მდგომ გამოწვევებთან შედარებით, ოლქების რედემარკაცია არასაკმარისად უნდა შეფასდეს.<sup>76</sup>

საარჩევნო სისტემის კუთხით ცვლილებების გარდა, 2016 წლის არჩევნების ჭრილში განხორციელდა აგრეთვე შემდეგი სახის ცვლილებები:

- **სამხედრო ნაწილებში სპეცუბნების შექმნის აკრძალვა<sup>77</sup>** – საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილებში სპეციალური უბნების შექმნა აიკრძალა და უფრო დეტალურად გაიხერა სამხედრო მოსამსახურეთა არჩევნებში მონანილეობის ცალკეული საკითხები. მაგალითად, განისაზღვრა ყველა იმ დაწესებულების ჩამონათვალი, სადაც გაიხსნება სპეცუბანი, როგორც საგამონაკლისო უბანი. სამხედრო მოსამსახურები ხმას სამხედრო ნაწილთან მდებარე უახლოეს საარჩევნო უბაზზე მისცემენ, რაც დადგინთად უნდა შეფასდეს. თუმცა, ხარვეზად რჩება ის, რომ არ შეცვლილა პრინციპი, რის საფუძველზეც სამხედრო მოსამსახურები მონანილეობები როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარულ არჩევნებში იმ შემთხვევაში, თუ მათი დისლოკაციის ადგილი არ ემთხვევა რეგისტრაციის ადგილს. კერძოდ: საარჩევნო კოდექსით განისაზღვრა, რომ ის სამხედრო მოსამსახურები, რომელთა დისლოკირების ადგილი არ ემთხვევა რეგისტრაციის ადგილს და დისლოკირების ადგილზე იმყოფებიან 1 წლით და შეტი ვადით, მონაწილეობას მიიღებს როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარულ არჩევნებში. საის აზრით, აღნიშნული მიდგომა არალოგიკურია, ვინაიდან ერთ ოლქში რეგისტრირებული და მუდ-

ბოიკოტირების გამო, სხდომას არ ესწრებოდა საპარლამენტო უმცირესობის („ერთიანი ნაციონალური მომრაობა“) ხუთი წევრი, შესაბამისი და, მათ მონაწილეობა არ მიუღია კენჭისტყაში და ვერ მოხერხდა კანონპროექტის გასვლისთვის საჭრი ხმების შეგროვება. კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა საპარლამენტო უმრავლესობის ორმა წევრმა. ვინაიდან კენჭისტყის წინ რეგისტრაცია კომიტეტის ცამეტმა წევრმა გაიარა, შვიდი ხმა საკმარისის იქნებოდა კანონპროექტის მისაღებად. პროექტი ინიცირებული იყო რეგულირებული პარტიის მეტ და მათვე გაითხოვეს უკან პროექტის მისაღებად არასაკმარისი ხმების მოტივით. <https://gyla.ge/ge/post/saarcheveno-sistemis-mcdeloba-klav-tsarumateblad-dasrulda>

<sup>74</sup> უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვენცეპის კომისიას შესაბამისი საარჩევნო ცვლილებები ექსპერტული დასკვნის მისაღებად მხოლოდ მათი კანონში ასახვის შემდეგ გადაუზავნა. ვენცეპის კომისიის, უუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადმინისტრაციის უფლებითა და გაცვის ოფიციური მოსახლეების თანახმად, პოზიტიურად შეფასდეს ამიტრჩევლებით და მიზევეცვით სახელშენო ლოქების გათავსებულია, რომელიც მასდღე არღვევდა ამიტრჩევლის ხმის წონას, თუმცა აღინიშნა, რომ ცვლილებები არ მოიცავდა ნათელ მეთოდს ლოქების საზღვრების გადასიჯვისთვის, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცედურას ცეკვისთვის, რათა გადაწყვეტილი ლოქების საზღვრების დადგნის საკითხი მისი კომპეტენციის ფარგლებში. მოსაზრებაში აღნიშნულია პროცესის გაუმჯობესებულიაზე, რაც მუნიციპალური ლოქების დაყოფასა და გაერთიანებას ახლად.

<sup>75</sup> აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ითვლებოდა პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებდა ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა ხმების 30 პროცენტისა.

<sup>76</sup><http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-parlamenti-wevrta-djgufi-davit-baqradze-sergo-ratiani-roland-axalaia-giorgi-barmaidze-da-sxvebi-sul-42-deputati-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>; აღსანიშნავით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა ეს საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, ნორმები, რომელიც ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მაჟორიტარული საარჩევნო ლოქების საზღვრებს, აგრეთვე, საქართველოს ცანტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას, დაადგინოს მაჟორიტარული საარჩევნო ლოქების საზღვრების მიზევეცვით გათავსებულია, რომელიც მასდღე არღვევდა ამიტრჩევლის ხმის წონას, თუმცა აღინიშნა, რომ ცვლილებები არ მოიცავდა ნათელ მეთოდს ლოქების საზღვრების გადასიჯვისთვის, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცედურას ცეკვისთვის, რათა გადაწყვეტილი ლოქების საზღვრების დადგნის საკითხი მისი კომპეტენციის ფარგლებში. მოსაზრებაში აღნიშნულია პროცესის გაუმჯობესებულიაზე, რაც მუნიციპალური ლოქების დაყოფასა და გაერთიანებას ახლად.

<sup>77</sup> <https://gyla.ge/ge/post/khelisuflieba-samkhedro-mosamsakhureebis-khmis-micemis-tsess-arcebited-ar-cvlis>  
<https://gyla.ge/ge/post/arasaamtavrobo-organizaciebi-specialur-saarcheveno-ubnebtan-dakavshirebit-tavdacvis-saministros-pozicias-ariziareben>

მივად მაცხოვრებელი პირი სულ სხვა ოლქში აირჩევს მაჟორიტარ დეპუტატს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იქ დროებით არის დისლოცირებული, თუმცა, არავითარი ორგანული ბმა ოლქთან და მის სპეციფიკასთან (პრობლემატიკასთან) არ გააჩნია. ამასთან, ეს ცვლილება კვლავ ტოვებს შესაძლებლობას, მოხდეს სამხედრო მოსამსახურეთა ხმებით მანიპულირება.<sup>78</sup>

- **მოხსნა შეზღუდვა, რომლის შედეგადაც, საქართველოს პრემიერმინისტრს აღარ მოეთხოვება, გადადგეს თანამდებობიდან პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების გამო – შესაბამისად, დღის წესრიგში აღარ დადგება მთავრობის დათხოვნისა და ახალი მთავრობის ფორმირების საჭიროება, რაც არჩევნებამდე დროის მცირე მონაკვეთში ლოგიკურიცაა.<sup>79</sup>**
- **პოლიციის მუშაკების ყოფნა კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე – ცვლილებების მიხედვით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კომისიის თავმჯდომარის თანხმობით ან თანხმობის გარეშე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განისაზღვრა სამართალდამცავი უწყებების მობილიზების შესაძლებლობა. თუმცა, ამას ახლავს გარკვეული რისკებიც, როგორიცაა, მაგალითად, კენჭისყრის შენობაში/მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომელთა ყოფნა, განსაკუთრებით, ისეთი ფართო უფლებამოსილების ფონზე, როგორიცაა – საკუთარი ინიციატივით, მათ შორის, პრევენციული მიზნით, მაშინ, როცა საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილის/მიმდებარე ტერიტორიის განმარტებას, ხოლო საარჩევნო უბნის საზღვრები პრაქტიკაში ინტერპრეტირების საგანია.**
- **საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა – სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 1621 მუხლი, რომლის თანახმადაც, დასჯადი გახდა ძალადობა ან ძალადობის მუქარა საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს. საიას აზრით, მსგავსი ბუნდოვანი შინაარსის მატარებელი ნორმა წარმოშობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და შერჩევითი პრაქტიკის დამკვიდრების მომეტებულ რისკებს.**
- **უფასო წინასაარჩევნო რეკლამით მოსარგებლე კვალიფიციურ სუბიექტთა რიცხვის ზრდა – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გაიზარდა კვალიფიციური სუბიექტების რაოდენობა, რომელთაც უფასო პოლიტიკური რეკლამით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ. აღნიშნული ცვლილებით, უფასო პოლიტიკური რეკლამით სარგებლობა შეუძლია საარჩევნო ბლოკში შემავალ ყველა პარტიის და არა – მხოლოდ საარჩევნო ბლოკის პირველ ნომერს, როგორც მანამდე იყო განსაზღვრული.<sup>80</sup>**

სხვა მიმართულებებით ცვლილებები არ განხორციელებულა. შესაბამისად, ლიად დარჩა მთელი რიგი საკითხები ისეთ პრობლემურ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა: საარჩევნო სისტემა (მაურიტარული სისტემის გაუქმება და მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღება), ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება (იმ თანამდებობის პირთა წრის დავინროება, რომლებსაც შეზღუდვად შეუძლიათ კამპანიაში მონაწილეობა), საარჩევნო აღმინისტრაციების დაკომპლექტება<sup>81</sup> (შერეული დაკომპლექტების წესიდან პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა), პოლიტიკური პარტიების დაფინანსება (ამომრჩევლის მოსყიდვის ცნების დახვენა), მედიარეგულაციები (უფასო სარეკლამო დროის განაწილებასთან დაკავშირებით), საარჩევნო დავები (ბუნდოვანი ნორმები, რომლებიც ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა) და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხელისუფლებამ ასევე არ გაიზიარა გენდერული კვოტირების ინიციატივა პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისა და არსებული გენდერული დისბალანსის აღმოსაფხვრელად, რასაც სამოქალაქო საზოგადოება მოითხოვდა.<sup>82</sup> პარლამენტმა არც დეპუტატების<sup>83</sup> მიერ წარდგენილი სავალდებულო კვოტირებისა და ფინანსური წახალისების ინიციატივა მიიღო.<sup>84</sup> ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ცვლილებების მიმართ ასეთი რეზისტენტობა, მით უფრო, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საკმაოდ დაბალია, მხოლოდ წევასებას იმსახურება. აღსანიშნავია,

<sup>78</sup> <https://gyla.ge/ge/post/khelisufleba-samkhedro-mosamsakhureebis-khmis-micemis-tsess-arsebitad-ar-cvlis>

<sup>79</sup> თუმცა, შესაბამისი რაოდენობის მინისტრების გადადგომის შემთხვევაში, მთავრობისთვის ნდობის საკითხის გამოცხადება კვლავ აქტუალური შეიძლება იყოს.

<sup>80</sup> <http://cesko.ge/res/old/other/29/29500.pdf>

<sup>81</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-moutsodebs-ceskos-shecvalos-saolqo-saarchevno-komisiis-tsevrta-shesarchevi-konkursis-chatarebis-tsesi>

<sup>82</sup> [https://gyla.ge/ge/post/qalta-politikuri-monatsileobis-samushao-jgufis-tsevri-adgilobrivi-arasamtavrobo-organizaciebis-ganckhadeba; ejb](https://gyla.ge/ge/post/qalta-politikuri-monatsileobis-samushao-jgufis-tsevri-adgilobrivi-arasamtavrobo-organizaciebis-ganckhadeba;_ejb) ინიციატივა საიამ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშემწყობი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად წარადგინა.

<sup>83</sup> ყეინიშვილის ინიციატივა.

<sup>84</sup> კობახიძის ინიციატივა.

რომ ქალი დეპუტატები 2012-2016 წლების პარლამენტში პარლამენტის სრული შემადგენლობის (150 დეპუტატის) მხოლოდ 12%-ს წარმოადგენდნენ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები განხორციელდა ფრაგმენტულად და არა სისტემურად, იმ გამოზევებისა და ხარვეზების გაუთვალისწინებლად, რომლებიც სისტემის წინაშე მრავალი წელია დგას და კვლავაც რჩება.

### პროცესის შეფასება

შინაარსობრივი ცვლილებების გარდა, მნიშვნელოვანია, მოკლედ შეფასდეს თავად პროცესი, რომელიც წინ უძლოდა ცვლილებებს და მათზე მსჯელობას. ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს ის გარემოება, რომ გასული პერიოდისგან განსხვავებით, ხელისუფლებას არ შეუქმნია პლატფორმა, ფორმატი, რომლის მეშვეობითაც, პოლიტიკური გაერთიანებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობით, საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების საკითხებზე არსებითი მსჯელობა გაიმართებოდა. მცირე გამონაცლის გარდა, ცვლილებების მომზადების პროცესი არ იყო გამჭვირვალე და საზოგადოების (მათ შორის, საექსპერტო საზოგადოების) დაბალი ჩართულობით ხასიათდებოდა.<sup>85</sup>

მაგალითად, საარჩევნო ოლქების ახლებური ფორმირება არ დაეყრდნო ნათელ და მკაფიო კრიტერიუმებს. არ იყო ახსნილი მეთოდი, თუ რას დაეფუძნა საარჩევნო ოლქების ამგვარი დაყოფა და გაერთიანება, რაც, საპოლონ ჯამში, აჩენდა კითხვებს საარჩევნო ოლქების ამ სახით ჩამოყალიბების მართებულობის შესახებ, ამასთან, ინვენდა საზოგადოების დაინტერესებას, თუ რა გახდა მიღებული გადაწყვეტილების განმსაზღვრული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცვლილებები დაიგეგმა და განხორციელდა დაბალი საზოგადოებრივი ჩართულობის პირობებში, რაც ენინააღმდეგებოდა საარჩევნო ოლქების გადასინჯვის საერთაშორისო სტანდარტს.

ჩართულობის მხრივ, გამონაცლის წარმოადგენდა სპეციალური უბნების რეგულაციების შეცვლის საკითხი, რადგან უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში ამ საკითხის მოსამზადებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით (თუმცა, მაგალითად, პოლიტიკურ გაერთიანებებს აღნიშნული ჯგუფის მუშაობასა და განხილვებში მონაწილეობა არ მიუღიათ).<sup>86</sup>

პოლიტიკურ ძალებს შორის საარჩევნო რეფორმაზე დისკუსიის განახლების და გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიღწევის ახალი შესაძლებლობები გააჩინა არჩევნების მოახლოების პარალელურად მმართველ კოალიციაში მომზდარმა ცვლილებებმა. ამიტომ საიამ, პარტიიორ ორგანიზაციებთან ერთად, პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდა, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით კვლავ დაეწყოთ კონსულტაციები. არასამთავრობო სექტორმა, თავის მხრივ, პროცესის ხელშეწყობისთვის მზაობა გამოხატა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების საპარლამენტო განხილვები საარჩევნო წლის ივლისის თვის ბოლომდე,<sup>87</sup> წინასაარჩევნო პერიოდშიც მიმდინარეობდა, საპოლონ, ცვლილებებზე კონსენსუსი ვერ შედგა.

**შესაბამისად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შენარჩუნდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა.** დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 150 წევრი შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე – 77 პროპორციული, ხოლო 73 მაჟორიტარული სისტემით – 4 წლის ვადით აირჩევა. პროპორციული წესით არჩეულად ითვლება ის პოლიტიკური პარტია, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა არაანაკლებ 5%-ს, ხოლო მაჟორიტარული წესით – ნახევარზე მეტს მიიღებს.<sup>88</sup>

**მოქმედი სისტემის ხარვეზები მოკლედ ასე შეიძლება შეჯამდეს:** საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული პარტიის მიერ მიღებული ხელისა და მის მიერ პარლამენტში მოპოვებული მანდატების პროპორციულად ასახვას, დიდია ამომრჩეველთა ხელის დაკარგვის საფრთხე.<sup>89</sup> აღსანიშნავია, რომ მოქმედმა საარჩევნო სისტემამ მმართველ პოლიტიკურ პარტიას ხელი შეუწყო, მოეპოვებინა კონსტიტუციური უმრავლესობა პარტიის მიერ ამომრჩეველთა ხმების 48,68%-ის მიღების პირობებში.

<sup>85</sup> <https://gyla.ge/ge/post/saiam-saarchevno-cvlilebebtan-dakavshirebit-saqartvelos-parlaments-daskvna-tsarudgina>

<sup>86</sup> სამუშაო ჯგუფის ფორმატში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები წარმოდგენდნენ იყო გაზიარებული. იხ. დამატებით <https://gyla.ge/ge/post/saarchevno-sistemis-reformis-mcdeloba-kvlav-tsarumateblad-dasrulda>

<sup>87</sup> მართალია, საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი ვადა და აკრძალვა საარჩევნო წელს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, თუმცა, ყურადსაღებია ვენციის კომისიის რეკომენდაცია, რომელიც სწორდე საარჩევნო წელს, არჩევნების დღემდე გარკვეული პერიოდით ადრე, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას ზღუდავს, რათ საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები თანასწორ საარჩევნო გარემოში იყენებ და კენჭისყრის დღემდე გაცილებით ადრე იცოდნენ, თუ რა წესების დაცვით გამართება საარჩევნო პროცედურები.

<sup>88</sup> 2015 წელს განხორციელებული ცვლილებით, მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით განსაზღვრული 30%-იანი ზღუბლის მატება მოხდა.

<sup>89</sup> ამ მიზანზების გამო, საარჩევნო სისტემა არაერთხელ გამხდარა როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი.

## VII. სახელმიწოდებლის საქმიანობა

### უწყებათაშორისი კომისია

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის № 140 ბრძანებით, საქართველოს პარლამენტისა და აქარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – „კომისია“) და დამტკიცდა კომისიის დებულება.<sup>90</sup>

უწყებათაშორისმა კომისიამ 2016 წლის 29 ივნისიდან 16 ნოემბრამდე, საერთო ჯამში, 14 სხდომა გამართა და 4 რეკომენდაცია გამოსცა.<sup>91</sup> თავდაპირველად კომისია 13 ნევრით დაკომპლექტდა და მისი შემადგენლობა ამგვარად განისაზღვრა: სამინისტროების წარმომადგენელი – 10, საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენელი – 1, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი – 1, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელი – 1. შემდგომ ეტაპზე, კომისიის ნევრებს დაემატა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, რაც განპირობებული იყო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით უწყებათაშორის კომისიაში შესული განცხადების სიმრავლით. შესაბამისად, 16 ნოემბერს კომისიამ საქმიანობა 15 ნევრის შემადგენლობით დაასრულა.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია 8 ივნისს დაიწყო, უწყებათაშორისი კომისია 29 ივნისს შეიქმნა და კომისიის პირველი სხდომა 2016 წლის 13 ივლისს გაიმართა. 29 ივნისიდან 13 ივლისამდე კომისია არ შეკრებილა და საარჩევნო სუბიექტებთან ცხელი ხაზისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მუშაობდა.<sup>92</sup> მართალია, ზემოაღნიშნულით საარჩევნო კოდექსის კონკრეტული მოთხოვნა არ დარღვეულა,<sup>93</sup> თუმცა, კანონის იმ ჩანაწერის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც კომისიის შექმნასა და საქმიანობის სფეროს განსაზღვრავს, მიზანშეწონილია, უწყებათაშორისი კომისია კანონის დონეზე წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებისთანავე არსებობდეს, რათა უფრო ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი საჯარო მოსამსახურების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რათა უწყებათაშორისი კომისია წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებისთანავე იქმნებოდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით ინფორმაციის/განცხადებების განხილვის კუთხით, არ არსებობს კომისიის შუშაბის აღმნერი, დეტალურად განცხოლი წესები, რაც მეტ სიცხადეს შეიტანდა მის შიდასამუშაო პროცესში. ეს საკითხი ასევე საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას.

სიახლეს წარმოადგენდა, უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივითა და მთავრობის გადაწყვეტილებით, 17 სექტემბრიდან 30 ოქტომბრამდე ძალადობის წინააღმდეგ ჩატარებული სპეციალური საინფორმაციო კამპანია – „ძალა ვწებს არჩევნებს“. ვინაიდან წინასაარჩევნო პერიოდის მეორე ნახევარში, კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად, იმატა ძალადობრივმა ფაქტებმა, უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან ამგვარი კამპანიის წამოწყება დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, შედეგობრივი კუთხით თუ შევხედავთ, სექტემბერ-ოქტომბერში ძალადობრივი ფაქტები მაინც დაფიქსირდა.<sup>94</sup> აღსანიშნავია, რომ კომისია ახორციელებდა მედიამონიტორინგს და, მათ შორის, სხვადასვა სუბიექტის მიმართვის გარეშეც, მედიაში გასულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დარღვევებზე რეაგირებას ახდენდა. პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოებაც, რომ 2016 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე კომისიამ ითხოვა, პოლიტიკური პარტიებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს წერილობით წარედგინათ წინადადებები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით.<sup>95</sup>

უწყებათაშორისმა კომისიამ უზრუნველყო საარჩევნო პროცესებით დაინტერესებულ პირთა ჩართვა კომისიის მუშაობაში. კომისიის სხდომები, ძირითადად, კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა, თუმცა, კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა დისკუსიების პოლიტიკებას და პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან განხილვების ურთიერთბრალდების ტონალობაში გადაყვანას, რაც ხელს უშლიდა კომისიის ეფექტიან მუშაბას.<sup>96</sup>

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ისინი ძირითადად მიმართული იყო არჩევნებში მონაწილე პოლიტი-

<sup>90</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3301453>

<sup>91</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/487> კომისიის დებულებით განისაზღვრა, რომ კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განსირცელების შექმნებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულებდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე), რაც სიახლეს წარმოადგენდა.

<sup>92</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

<sup>93</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანხმად, უწყებათაშორისი კომისია მორიგი საერთო არჩევნების შემთხვევაში იქმნება არაუგიანეს არჩევნების წლის 1 ივლისისა.

<sup>94</sup> იბ. წინამდებარე ანგარიშში წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელშემოსის, მაღადობის, ზექოლისა და მუქარა/დაშინების ფაქტები.

<sup>95</sup> საიმ კომისიას წარუდგინა საკუთარი წინადადებები. ამ დროისათვის კომისიის მხრიდან არ მომხდარა კომუნიკაცია ჩვენ მიერ წარდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით.

<sup>96</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinsaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

კური პარტიების, საარჩევნო სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისკენ. მაგალითად, ერთ-ერთი რეკომენდაციით, კომისიამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მოუწოდა, წინასაარჩევნო პერიოდში უზრუნველეყოთ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დაწესება და მათ შესრულებაზე კონტროლი, ხოლო კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანების ან განთავსებაში ხელშეშლის შემთხვევაში, დროულად და ეფექტიანად გაეტარებინათ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები. კომისიამ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, გაეცათ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ აქტივისტებს/წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება ან განთავსება-ში ხელშეშლა, აგრეთვე, იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიების აქტივისტებს თავი შეეკავებინათ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთების თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამორიცხული-ყო პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც სიტყვიერი, დაპირისპირება და კანდიდატებს შეფერხების გარეშე შეძლებოდათ ამომრჩეველთან ურთიერთობა.

აღნიშნულის მიუხედავად, არაერთი დარღვევა დაფიქსირდა კომისიის მიერ რეკომენდაციის გამოცემის შემდგომაც (მაგალითად, საჯარო მოხელეებთან მიმართებით), რაც თავისთავად პრობლემურია და, გარკვეულწილად, განპირობებულია იმით, რომ კომისიას არ გააჩნია რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი.

საიას უწყებათაშორის კომისიას **4 განცხადებით** მიმართა, კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის **17 ფაქტთან დაკავშირებით**. საიას განცხადებებში ყურადღება გამახვილებული იყო საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან სავარაუდო უკანონო აგიტაციის შემთხვევებსა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე. საერთო ჯამში, უწყებათაშორისი კომისია სწრაფად რეაგირებდა განცხადებაში აღნერილ ფაქტებზე კომპეტენტური ორგანოსათვის მიმართვის გზით. აგრეთვე, კომისიის სხდომებზე იმართებოდა კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესახებ ზეპირი განხილვა. ერთ შემთხვევაში, საიას მიერ საჯარო მოხელის მხრიდან აგიტაციის წესების დარღვევის თაობაზე ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე უშუალოდ შეხვდა სახელმწიფო რწმუნებულებს – გუბერნატორებს, მათ მოადგილებს და კიდევ ერთხელ მიაწოდა ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში მათ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ყველა გუბერნატორმა გამოსცა სამართლებრივი აქტი – განკარგულება, მათი მოხელეების მიმართ წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედ შეზღუდვებთან დაკავშირებით.<sup>97</sup>

## საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციამ აქტიურად დაინტენტი მზადება არჩევნებისთვის. წინასაარჩევნო პერიოდში ცესკო, გამჭვირვალობისა და საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მიზნით, ინტენსიურ სამუშაოებს აწარმოებდა და შეხვედრებს მართავდა საარჩევნო პროცესებში მონაწილე სხვადასხვა მხარესთან, მათ შორის, მედიის, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

მნიშვნელოვანი იყო ცესკოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და უკანონო აგიტაციის თაობაზე,<sup>98</sup> აგრეთვე, სამუშაო შეხვედრა არჩევნების უსაფრთხოების საკითხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელშიც შეს-ს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.<sup>99</sup>

საარჩევნო ადმინისტრაციის, უწყებათაშორისი კომისიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, შემუშავდა და ხელი მოეწერა მემორანდუმს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ერთგვაროვან განმარტებაზე.<sup>100</sup>

ცესკომ განკარგულებით განსაზღვრა ის საოლქო საარჩევნო კომისიები და მათი უფლებამოსილებები, რომლებიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის ცვლილებებიდან – მაურიტარული ოლქების დემარკაციიდან – გამომდინარე, მაურიტარული ოლქების საზღვრებში მოექცენ და ნაზილობრივ განხორციელებდნენ საარჩევნო კოდექსით დადგენილ საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას.<sup>101</sup>

30 სექტემბერს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ხელი მოაწერეს

<sup>97</sup> <http://bit.ly/2hdZakh>

<sup>98</sup> <http://www.cesko.ge/geo/list/show/108055-treningebi-adgilobrivi-tvitmmartvelobis-organota-tsarmomadgenlebistvis>

<sup>99</sup> <http://www.cesko.ge/geo/list/show/108003-samushao-shekhevredra-archevnebis-usafrtkhoebis-sakitkhebze>

<sup>100</sup> [http://www.cesko.ge/res/docs/Memorandum\\_29.07.2016.pdf](http://www.cesko.ge/res/docs/Memorandum_29.07.2016.pdf) აღსანიშნავია, რომ IFES-ი მსგავსი მემორანდუმის გაფორმებას უკვე ბოლო რძმდებით საარჩევნო ციკლია უწევს ფასილიტაციას, რაც საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

<sup>101</sup> [http://www.cesko.ge/res/docs/Memorandum\\_29.07.2016.pdf](http://www.cesko.ge/res/docs/Memorandum_29.07.2016.pdf)

ეთიკის კოდექსის<sup>102</sup> კოდექსი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა და მასში ისეთი ნორმები გაერთიანდა, როგორიცაა: კანონის პატივისცემა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი. კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიების წევრებს ვალდებულებად განესაზღვრათ საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი და თანმიმდევრული განხორციელების უზრუნველყოფა; ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება; საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა.<sup>103</sup>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის, სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველოს, არასამთავრობოთა კოალიცია სამოქალაქო განვითარებისთვის და ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო ჯგუფის ფორმატში მონაწილეობა მიიღო და შეიმუშავა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ერთობლივი ქცევის კოდექსი, რომელიც მიზნად ისახავდა 2016 წლის პარლამენტის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების ხელშეწყობას, კანონის უზენაესობის პატივისცემას და ძირითადი საარჩევნო პრინციპების განხორციელებას.<sup>104</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს არ შეჰქმნიათ პრობლემები რეგისტრაციის ან დაკვირვების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის არცერთ დონეზე.<sup>105</sup>

თუმცა, პოზიტიური შეფასების პარალელურად, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის პროცესში, რიგ შემთხვევებში, ხარვეზები გამოვლინდა. მაგალითად:

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცედურის, ასევე, პრაქტიკის პრობლემურობას.<sup>106</sup> გამოითქვა ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიების „პროფესიული“ წევრების კვოტით პოლიტიკური მიერძოების მქონე პირები იყვნენ შერჩეული, აგრეთვე, უბნების დაკომპლექტების დროს არაერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სიების წინასწარ შედგენას.<sup>107</sup> აღნიშნულმა ფაქტებმა გააჩინა კითხვები განხორციელებული კონკურსის ობიექტურობასა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა არადისკრიმინაციულად შერჩევასთან დაკავშირებით.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების განცხადებით, არსებობდა ე.წ. „წინასწარი სიები“ და საოლქო საარჩევნო კომისიები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევის დროს სწორედ ამ წინასწარ შედგენილი სიებით ხელმძღვანელობდნენ, რა დროსაც უპირატესობას მმართველი პარტიის აქტივისტებსა და მხარდაჭერებს ანიჭებდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საიამ სპეციალური განცხადება გაავრცელა.<sup>108</sup> მაგალითად, საიას მონიტორების ინფორმაციით, ქობულეთში საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მონოდებული, საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული წევრების სია და პარტიების წარმომადგენლების მიერ საიასთვის მონიტორებული ე.წ. „წინასწარი სია“, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ერთმანეთს დაემთხვა. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა კასპშიც, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს წინასწარ ჰქონდათ მონიშნული სიები. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნული სიები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს მმართველი პარტიის მიერ მსგავსი სახით დაურიგდათ. თუმცა, აღნიშნულის საპირისპიროდ, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები განმარტავდნენ, რომ მათ წინასწარ მონიშნეს ის კანდიდატები, რომლებსაც თავად მხარს დაუჭერდნენ და მონიშნები სხდომების ეფექტურად წარმართვის მიზნით გააკეთეს.<sup>109</sup>

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2016 წლის დასაწყისში საია აკვირდებოდა ცესკოს მიერ 65 საარჩევნო ოლქი 193 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსს.<sup>110</sup> საიას მიერ კონკურსის მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-ანალიზმა ცხადყო, რომ წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულება პრობლემურ ნორმებს შეიცავდა. გადაწყვეტილებები მიიღებოდა გასაუბრების გარეშე, წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რაც ვერ უზრუნველყოფდა კანდიდატის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის დონის განსაზღვრას დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პროფესიული წინით ის პირები აირჩია საოლქო

<sup>102</sup> <http://www.cesko.ge/geo/list/show/109339-etikis-kodeksi>

<sup>103</sup> აღსანიშნავია, რომ პირველად მსგავს დოკუმენტს 2010 წელს მოეწერა ხელი.

<sup>104</sup> <http://www.cesko.ge/res/docs/qceviskodeksi.pdf>

<sup>105</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>106</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>107</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-tsinasaarchevno-procesebis-monitoringis-farglebshi-saubno-saarchevno-komisiebis-tsevrebis-amzhamad-mimdinare-shesarchevi-konkursebis-monitorings-atsarmoebs>

<sup>108</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-tsinasaarchevno-procesebis-monitoringis-farglebshi-saubno-saarchevno-komisiebis-tsevrebis-amzhamad-mimdinare-shesarchevi-konkursebis-monitorings-atsarmoebs>

<sup>109</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან პრეტენზიები არსებობდა ახალციხეშიც.

<sup>110</sup> საიას დამკვირვებლები უშუალოდ აკვირდებოდნენ კენჭისყრის სხდომებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას.

საარჩევნო კომისიების წევრებად, რომლებიც წინა არჩევნებზე სხვადასხვა პარტიის მიერ იყვნენ დანიშნული კომისიის წევრებად საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში.<sup>111</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები არ წარმოადგენდა კანონის დარღვევას, მსგავსი ტენდენციის არსებობა ენინააღმდეგებოდა კანონმდებლობის მიზანს – პროფესიული ნიშნით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისას, საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტებულიყო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და აპოლიტიკური წევრებით.<sup>112</sup>

გარდა ამისა, საიამ რიგ შემთხვევებში საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში დისციპლინურ სახდელდადებულ პირთა განმეორებით არჩევის/დანიშვნის ფაქტები დააფიქსირა.<sup>113</sup> მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონმდებლობა არ კრძალავს დისციპლინურ სახდელდადებულ პირთა განმეორებით არჩევას/დანიშვნას საარჩევნო ადმინისტრაციების შემადგენლობაში და არც იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საარჩევნო კომისიებში, რომლებიც სხვა არჩევნებზე პოლიტიკური გაერთიანებების ნდობით აღჭურვილ პირებს წარმოადგენდნენ, აღნიშნული საკითხი მაინც პრობლემურია, რაც უარყოფითაც აისახება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე და, ზოგადად, მისი ნდობის ხარისხზე.

სადამევირებლო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკული შეფასება დამისახურა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრების განხილვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ცესკოში შესული საჩივრების აპსოლუტური უმრავლესობა დაუკმაყოფილებელი დარჩა. საარჩევნო დავების განხილვის დროს საარჩევნო ადმინისტრაცია ვინწოდ განმარტავდა კანონს, რაც საარჩევნო დარღვევების მიმართ არსებული შესაბამისი სანქციების არაეფექტურობას იწვევდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო კანონმდებლობის სწორი, პროგრესული განმარტება მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რითაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თავს არიდებდა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას.<sup>114</sup>

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე, კენჭისყრის დღეს, კრიტიკის საგანი გახდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კომპეტენცია. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს განსაკუთრებით პალანსის გამოყვანა და შემაჯამებელი ოქმების შედგენა გაუჭირდათ.<sup>115</sup>

## საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 25 პოლიტიკური გაერთიანება/საარჩევნო ბლოკი<sup>116</sup> და 816 მაურიტარი კანდიდატი დარეგისტრირდა.<sup>117</sup>

ცესკოს ინფორმაციით, 29 პოლიტიკურ გაერთიანებას უარი ეთქვა/გაუუქმდა რეგისტრაცია შემდეგი მიზეზების გამო: 1) პოლიტიკურმა გაერთიანებებმა პირადი განცხადებით უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე; 2) რეგისტრაციის გაუქმება მოხდა პარტიების მიერ ცესკოში მხარდამჭერთა სიების წარუდგენლობის გამო; ან 3) ცესკოში დოკუმენტაცია წარდგენილი იყო ხელმძღვანელობაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ.<sup>118</sup> ამავე ინფორმაციის თანახმად, რეგისტრაციიდან მოიხსნა 73 მაურიტარი კანდიდატი პირადი ინიციატივით.<sup>119</sup>

ცესკოს მოქმედებები, არსებული საკანონმდებლო ნორმების ფარგლებში განსაზღვრული მისი უფლებამოსილებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირების თვალსაზრისით, გარკვეულ კითხვებს აჩენდა, რაც წათლად გამოიკვეთა პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციისა და საარჩევნო

<sup>111</sup> ჩვენი ინფორმაციით, გადამოწმებული 22 საოლქო საარჩევნო კომისიის მაგალითზე, არჩეული პირებიდან 42 პირის მიმართ დადგინდა მათი პოლიტიკურ გაერთიანებებთან შემხებლობა. ყველაზე მეტი კომისიის წევრი დანიშნულა კოალიცია „ქართული ოცენებაში“ შემავალი პარტიების (ქართული ოცენება-დემოკრატიული საქართველო, რესპუბლიკელები, კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადარჩენას საქართველოს, თავისუფალი დემორატები, ეროვნული ფორუმი) მიერ. მაგალითად, 42 წევრიდან 34 წევრი (81%) დანიშნული კოალიციებიში შემავალი პარტების მიერ ჯამშურად, ხოლო 8 წევრი (19%) დანიშნულია სხვა პარტიების მიერ (ერთიანი წარიმართვული მოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ევროპელი დემოკრატები).

<sup>112</sup><https://gyla.ge/ge/post/saia-saolqo-saarchevo-komisiebis-shesarcheve-konkurss-afasebs>; ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას იმავე წლის 2015 წლის 5 აგვისტის დაფუძნებული პროფესიული კავშირის 24 მოქმედი წევრიც იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგნილ მოთხოვნებს, 24 პირიდან, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არცერთი არ იქნა არჩეული. ახალი ვადით მოხდა პროფესიული კავშირის მხოლოდ იმ ყოფლი წევრის არჩევა, რომელმაც, კონკურსამდე ცოტა ხნით ადრე, საკუთარი ინიციატივით დატოვა პროფესიული კავშირი და ამის თაობაზე ცესკოს შეატყობინა.

<sup>113</sup> თბილისი - 19, ბათუმი - 21, ქობულეთი - 11, ხელვაჩაური - 11, დუშეთი - 15, გორი - 4, ხაშური - 3, ადიგენი - 3, კასპი - 2, ასპინძა - 1, ქარელი - 30, ბორჯომი - 4, ახალციხე - 8, წყალტუბო - 18; ჭათურა - 4; სამტრედა - 12; განი - 3; ბაღდათი - 7; თერჯოლა - 9; ქუთაისი - 37; რუსთავი - 1; გარდაბანი - 9; მარნეული - 9; ბოლნისი - 12; დმანისი - 2; წალკა - 2.

<sup>114</sup><https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iurista-asociacia-tsinaarchevo-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>115</sup> დებალური ინფორმაციისთვის იხილეთ კენჭისყრის დღის თავი.

<sup>116</sup> 19 პოლიტიკური გაერთიანება და 6 საარჩევნო ბლოკი.

<sup>117</sup> მათ შორის, 53 დამოუკიდებელი მაყორიტარი კანდიდატი.

<sup>118</sup> <http://cesko.ge/res/docs/arareggeo2016.pdf>

<sup>119</sup> file:///C:/Users/Italiuri/Downloads/majoritarebi-MOXSNILI\_29SEQT\_PARLAMNETI%20(2).pdf

სუბიექტებისთვის რიგითი ნომრების მინიჭების დროს.<sup>120</sup>

მაგალითად, პოლიტიკურ გაერთიანება „ცენტრისტებს“ ცესკომ რეგისტრაცია გაუუქმა ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ცესკომი დოკუმენტაციის წარდგენის გამო.<sup>121</sup> აღსანიშნავია, რომ პარტიას ცესკოში რეგისტრაცია გავლილი პერიოდა 2016 წლის 15 ივნისს, ხოლო რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილება მიღებული იყო 16 აგვისტოს,<sup>122</sup> მხოლოდ მას შემდეგ, რაც საჯარო რეგისტრის ეროვნულმა სააგენტომ 2016 წლის 1 აგვისტოს უკანონოდ მიჩნია პარტიის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ თემურ ხაჩიშვილის არჩევის გადაწყვეტილება.<sup>123</sup> საჯარო რეგისტრმა სპეციალური განცხადება გაავრცელა და განმარტა, რომ პოლიტიკურ პარტია „ცენტრისტებს“, მარეგისტრირებულ ორგანოში დაცული ოფიციალური მონაცემებით, რომელიც საჯარო იყო ყველასთვის, არ ჰყავდა და 2006 წლიდან არ ჰყოლია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.<sup>124</sup>

2016 წლის 11 სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარემ საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმა ბლოკს „თოვაძე – მრეველები, ჩვენი სამშობლო.“ რეგისტრაციის გაუქმების მოტივად დასახელდა ბლოკის მიერ პარტიული სიის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა, რითაც დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 115-ე მუხლის მე-7 პუნქტი.<sup>125</sup> ცესკოს განცხადებით, საარჩევნო ბლოკმა „თოვაძე – მრეველები, ჩვენი სამშობლო“ 8 სექტემბერს ცესკომი წარადგინა დოკუმენტაცია და არ წარუდგენია საარჩევნო ბლოკის პარტიული სია.<sup>126</sup> ცესკოს თავმჯდომარემ ბლოკის პარტიული სია რეგისტრაციაში გაატარა 2016 წლის 16 სექტემბერს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული საქმე საარჩევნო ბლოკმა სასამართლოში გაასაჩივრა და დავა მოიგო.<sup>127</sup>

პრობლემატური იყო ცესკოს მიერ საარჩევნო სუბიექტებისთვის რიგითი ნომრის ვადაზე ადრე მინიჭების საკითხიც, რამაც საარჩევნო სუბიექტები არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა.<sup>128</sup> 2016 წლის 24 აგვისტოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლითაც საარჩევნო სუბიექტებისათვის 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართ სამივე სახის არჩევნებში (საპარლამენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის რიგგარეშე და შუალედური არჩევნებისათვის) რიგითი ნომრის მინიჭების წესი განსაზღვრა.<sup>129</sup> ცესკომ განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებდა ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთ დღეს ერთზე მეტი არჩევნები იმართებოდა და დადგენილების მიღება ამ გარემოებით იყო ახსნილი.

აღნიშნული დადგენილებით, ცესკომ წილისყრაში მონაწილეობის გარეშე რიგითი ნომრის არჩევის უფლება იმ საარჩევნო სუბიექტებსაც მიანიჭა, რომლებიც ვერ აქმაყოფილებდნენ საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<sup>130</sup> კერძოდ, აღნიშნულ სუბიექტებს წილისყრაში მონაწილეობის გარეშე მიეცათ შესაძლებლობა, სამივე სახის არჩევნებში გამოიყენებინათ ის რიგითი ნომერი, რომლითაც ისინი ბოლო საერთო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარგებლობდნენ.<sup>131</sup> ეს მიდგომა განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებდა იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც ბოლო საერთო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ბლოკის სტატუსით მონაწილეობდნენ და 2016 წლის არჩევნებში ვერ ისარგებლებდნენ აღნიშნული საარჩევნო ბლოკისთვის მინიჭებული ნომრით. ეს უკანასკნელი ვალდებული გახდნენ, მიეღოთ მონაწილეობა წილისყრაში და მხოლოდ წილისყრის შედეგად მინიჭებული რიგითი ნომრით ესარგებლათ სამივე სახის არჩევნებზე.

გარკვეულნილად, პრობლემურობით ხასიათდებოდა ქობულეთის მაჟორიტარულ საარჩევნო ოქტომბერი დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატის, ლეონიდ ჩერნოვეცკის საარჩევნო რეგისტრაციასთან

<sup>120</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>121</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-tsinasaarchevno-periodis-shefaseba-mokle-mimokhilva>

<sup>122</sup> <http://cesko.ge/res/docs/tg74.pdf>

<sup>123</sup> 2016 წლის 29 მაისს პარტიის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს თემურ ხაჩიშვილი.

<sup>124</sup> <https://napr.gov.ge/p/1454> საჯარო რეგისტრის ვებგვერდზე პარტიის თაობაზე დაცული ინფორმაცია <https://napr.gov.ge/p/477>.

<sup>125</sup> ცესკოს თავმჯდომრის განკარგულება #140/2016; აღნიშნული პუნქტის თანხმად, პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა ჩარედგინოს პარტიის/საარჩევნო ბლოკის რეგისტრციის შემდეგ, არჩევნების დღემდებულებანენ 30-ე დღისა. პარტიულ სიას თან უნდა ერთობდეს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი, საქართველოს მოქალაქეების პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქეების პასპორტის ფოტოასლი და მისი ფოტოსურათი.

<sup>126</sup> ცესკოს განცხადებით 8 სექტემბერს წარდგენილი იყო მხოლოდ განცხადება და კანდიდატთა სააღრიცხვო ბარათის თანაბრულების დოკუმენტარული მოსაპოვებლიდან შედეგების მეორე მონაწილების ფოტოასლები, ფოტოსურათები, ცნობები ნაკულობიური შემოწმების შესახებ).

<sup>127</sup> ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება #185/2016.

<sup>128</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>129</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3381145>

<sup>130</sup> ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე საუკეთესო შედეგების მქონე 3 საარჩევნო სუბიექტი.

<sup>131</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3381145>; მუხლი 1. თუ სუბიექტს არ სურდა ამ ნომრით სარგებლობა, მას ასევე შეეძლო საპარლამენტო არჩევნების რიგითი ნომრის მოსაპოვებლიდან დამოუკიდებელი მონაწილეობა და უკვე წილისყრით განსაზღვრული ნომერი გამოიყენებინა სამივე სახის არჩევნებზე.

დაკავშირებული საკითხიც.<sup>132</sup> მედიაში გასული ინტერვიუებიდან გამომდინარე, გვქონდა საფუძვლიანი ეჭვი, გვევარაუდა, რომ კანდიდატი ჩერნოვეცი ვერ ფლობდა ქართულ ენას, რითაც ირღვეოდა საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა სახელმწიფო ენის ცოდნის ვალდებულებასთან დაკავშირებით, რაც გამორიცხავდა მის რეგისტრაციას მაჟორიტარობის კანდიდატად.<sup>133</sup> აღმოჩნდა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ ისე დაარეგისტრირა ჩერნოვეცი კანდიდატად, რომ მის მიერ ქართული ენის ცოდნის საკითხის შესწავლა არ მომხდარა. იმ მოტივით, რომ არ არსებოდა სახელმწიფო ენის ცოდნის შემონმების მექანიზმი, არც ცესკომ და არც სასამართლომ საის მოთხოვნა, ჩერნოვეცისთვის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, არ დააკმაყოფილა.

საარჩევნო რეგისტრაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემური საკითხი ეხებოდა საარჩევნო ბლოკის – „თოფაქე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ ხაშურის მაჟორიტარ კანდიდატს, სიმონ ნოზაძეს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2016 წლის 15 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებამდე სულ რაღაც ერთი დღით ადრე, პოლიტიკური გაერთიანების – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – მიერ ცესკომი წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ცესკომ უპარტიო სტატუსით რეგისტრირებული კანდიდატი სიმონ ნოზაძე არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმი მოიხსენია, როგორც „პარტიული“. რეგისტრაციასთან დაკავშირებით ცესკომი დაცულ მონაცემებში ცვლილებები შევიდა მაშინ, როდესაც, არათუ გასული იყო პარტიის/ბლოკის რეგისტრაციის ვადები, არამედ არჩევნები უკვე ჩატარებული იყო. შედეგად, საარჩევნო ბლოკმა საარჩევნო კომისიაში წევრის ყოლის უფლება მოიპოვა. სხვა შემთხვევაში, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საბუთების წარდგენისათვის საარჩევნო კოდექსით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, ცესკომ დოკუმენტებს, რა თქმა უნდა, არა თუ არ მიიღებდა, არამედ არც განიხილავდა.<sup>134</sup>

## ამომრჩეველთა სიები

ცესკოს მონაცემებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში 3 513 884 შეადგინა.<sup>135</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წლის განხორციელებული საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 3 713 804-ს.<sup>136</sup> საჯარო დაწესებულებების მონაცემებს შორის არსებულმა სხვაობამ (სხვაობა საქართველოს მოსახლეობასა და ამომრჩევლებს შორის – 199 920) გარკვეული ეჭვები გააჩინა ჩატარებული აღწერის საყოველთაოობასა და ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 24 ივნისს საიამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა.<sup>137</sup> გვეცნობა, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 3 713 804 პირს, რომელთაგან 18 წლის და უფროისი ასაკის მოსახლეობის რაოდენობაა 2 887 608,<sup>138</sup> ასევე, ემიგრანტთა რაოდენობაა 88 541. თუმცა, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე არსებული 30.04.2015 წლის ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აღწერის წინასწარი შედეგებით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 729,5 ათასი კაცი შეადგინა (ბუნებრივი მატებისა და მიგრაციული სალდოს გათვალისწინებით), რომელშიც არ არის შესული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა.<sup>139</sup> აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქსტატის საბჭოს თავმჯდომარის მიერ მედიისათვის გაკეთებული განმარტების თანახმად, ის მოქალაქეები, რომლებიც ვერ მოხვდნენ საყოველთაო აღწერაში, თავად უკავშირდებოდნენ საქსტატის ცხელი ხაზის საშუალებით,<sup>140</sup> რამაც განხორციელებული აღწერის საყოველთაოობაში ეჭვები შეიტანა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის კვლავ გაგრძელდა ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტებასა და სრულყოფაზე მუშაობა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გააგრძელა პროექტი „საარჩევნო სიების სრულყოფა“, რომლის განხორციელების პერიოდშიც საპარლამენტო არჩევნებისათვის „ბაზებში გაუქმდა 488 გაორებული და 151 გაყალბებული დოკუმენტი, გასწორდა 1 399 არასწორად მიბმული/აღრიცხული

<sup>132</sup> <https://gyla.ge/index.php/ge/post/chernoveckis-saqme>

<sup>133</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აორჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა.

<sup>134</sup> <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-ceskos-tavmjdomaris-gankargulebas-ekhmaurebian>

<sup>135</sup> <http://cesko.ge/geo/list/show/109430-amomrchevelta-saerto-raodenoba-2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebistvis-majoritarul-saarchevno-olqebshi-2-oqtombris-mdgomarebit>

<sup>136</sup> <http://census.ge/ge/results/census>

<sup>137</sup> საის 2016 წლის 24 ივნისის წერილი №გ-04/314-16

<sup>138</sup> 2016 წლის 30 ივნისის №11-2136 წერილი.

<sup>139</sup> [http://census.ge/files/pdf/Population%20press\\_30%202004%20Geo\\_last.pdf](http://census.ge/files/pdf/Population%20press_30%202004%20Geo_last.pdf)

<sup>140</sup> <http://netgazeti.ge/news/40579/>

ფოტოსურათი, დარეგისტრირდა **3 654** გარდაცვალების აქტი, **1 135** პირს საფასურის გადახდის გარეშე დაუმზადდა პირადობის ელექტრონული მოწმობა, განხორციელდა საკონსულო სამსახურების მიერ გაცემული დოკუმენტების ფოტოსურათების დიგიტალიზაცია (ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა). ამ აქტივობის ფარგლებში ბაზაში აისახა **6 566** მოქალაქის ფოტო, შესწორდა **252** შეუსაბამო ჩანაწერი სქესის რეკვიზიტში.<sup>141</sup> ერთიანობაში, სააგენტოს ინფორმაციით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში **2 465 550** მონაცემი საბოლოოდ დაშუსტდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 27 ივნისს გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად,<sup>142</sup> პირადობის მოწმობის ერთობის უფასო აქციით, რომელიც 26 მაისიდან 26 ივნისამდე მიმდინარეობდა, საქართველოს **194 670**-მა მოქალაქემ ისარგებლა. აქციის შედეგად, პოტენციურ ამომრჩეველთა სიას **120 000** პიროვნების ბიომეტრიული მონაცემი დაემატა.

2016 წლის 22 ივნისს საარჩევნო კოდექსში ცვლილება განხორციელდა,<sup>143</sup> რომელიც რეგისტრაციიდან მოხსნილი და მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირების არჩევნების მონაწილეობის საკითხებს შეეხებოდა.<sup>144</sup> ცვლილებები 2016 წლის 13 ივლისიდან ამოქმედდა და 1-ლ აგვისტომდე მოქმედებდა. მოგვიანებით, 2016 წლის 10 აგვისტოს ცესკომ დადგენილება მიიღო და 2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებთან ერთად გასამართ სხვა სახის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი დაამტკიცა.<sup>145</sup> დადგენილება დაეხმარა იმ ამომრჩევლებს, რომლებიც მოხსნეს საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციიდან, ანრომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ასევე – ვინც მისამართის მითითების გარეშე იყვნენ რეგისტრირებული.<sup>146</sup> აღნიშნული კატეგორიის ამომრჩეველი ამომრჩეველთა ერთიან სახი შეიტანეს ბოლო რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მიმდინარე წლის 23 ივნისს საიამ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართა და ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებასთან დაკავშირებით არსებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა.<sup>147</sup> ირკვევა, რომ 2016 წლის 1-ლი მაისის მდგომარეობით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, საარჩევნო სიის ფორმირების მიზნით, ცესკოს მიაწოდა **3 539 949** პირის მონაცემები, რომელთაგან:<sup>148</sup>

- მისამართის გარეშე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა **30 553**-ს.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ან/და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ გადაცემული მონაცემების რაოდენობა შეადგენდა **194 550**-ს.
- სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იმ პირთა შესახებ გადაცემული რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებებად ცნო და რომლებიც, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იყვნენ მოთავსებულნი, შეადგენდა **13**-ს.

რაც შეეხება სიებთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, უნდა აღინიშნოს, რომ ცესკომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა სია 15 ივლისს მიიღო.<sup>149</sup> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან ამომრჩეველთა შესახებ განახლებული მონაცემების საფუძველზე, ცესკომ ამომრჩეველთა ერთიანი სია კიდევ ერთხელ განახლა.

ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ამომრჩევლებისათვის ახალი სერვისები შეიმუშავა. ცესკოს ვებგვერდზე ამოქმედდა სპეციალური საიტის ელექტრონული ვებლი – <http://voters.cec.gov.ge/>, რომლის საშუალებითაც, ამომრჩევლებს შესაძლებლობა მიეცათ, გადაემოწმებინათ საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემები ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

ასევე, საქართველოს მასშტაბით განთავსებულ **7 000** სწრაფი გადახდის ტერმინალისა და ანდროიდის სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის ან/და პლანშეტის საშუალებით, მომხმარებელს შე-

<sup>141</sup> <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2FIATP%20Report%202016.pdf> გვ.6

<sup>142</sup> <http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=5214>

<sup>143</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3323417#DOCUMENT:1>

<sup>144</sup> საარჩევნო კოდექსის 185<sup>12</sup> მუხლი: რეგისტრაციიდან მოხსნილი და მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული ამომრჩევლები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, თუ მიმართავდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და გავილიდნენ რეგისტრაციას 2016 წლის 31 ივნისის ჩათვლით.

<sup>145</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3372187>

<sup>146</sup> აღნიშნული ამომრჩევლების მონაცემები ერთიან სიაში შეიტანეს ბოლო რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

<sup>147</sup> საიას 2016 წლის 23 ივნისის წერილი №გ-04/313-16.

<sup>148</sup> ცესკოს 2016 წლის 27 ივნისის წერილი №01-06/1420.


<sup>149</sup> <http://cesko.ge/geo/list/show/107845-tseskom-amomrchevelta-shesakheb-ganakhlebuli-monatsemebi-miigho->

ძლი, მიეღო ინფორმაცია, თუ რომელ საარჩევნო უბანზე იყო რეგისტრირებული და რუკაზე ენახა საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობა. ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით, მოქმედ სპეციალური აქციები. ცესკოს ინფორმაციით, ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმების სერვისებით 954 543-მა ამომრჩეველმა ისარგებლა.<sup>150</sup>

კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმარებით, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტების ეფექტური ადმინისტრირება უზრუნველყო, რაც, ერთიანობაში, ამომრჩეველთა კონსტიტუციური უფლების დაცვაზე დადებითად აისახა.

### წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში, 2016 წლის ივნისი-ოქტომბრის თვეებში, საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოწირულობების ჯამში **29 212 382** ლარი შეადგინა, ხოლო წინასაარჩევნოდ განეული ხარჯების ჯამური მოცულობამ – **39 472 486** ლარი. პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის ყველაზე დიდი ოდენობის შემოწირულება – 19 005 219 ლარი – „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 4 278 541.67 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 1 063 514.50, „პატრიოტთა ალიანსი“ – 1 019 650.10 ლარი, „თავისუფალი დემოკრატები“ – 689 945 ლარი. სხვა დანარჩენი სუბიექტების მიერ მიღებული შემოწირულობის ჯამური თანხა 3 158 512 ლარით განისაზღვრა.



რაც შეეხება ხარჯებს: „ქართული ოცნება“ – 22 212 663 ლარი, „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 4 396 452.40 ლარი, „პატრიოტთა ალიანსი“ – 2 391 046 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 2 524 362 ლარი, „თავისუფალი დემოკრატები“ – 1 694 759.53 ლარი. სხვა დანარჩენი სუბიექტების საარჩევნო ხარჯების ჯამური მოცულობა 6 253 204 ლარით განისაზღვრა.

<sup>150</sup> <http://cesko.ge/res/docs/Parliament-Web.pdf>

## საარჩევნო სუბიექტების ხარჯები



2014 წლის მსგავსად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებული დროებითი საკონსულტაციო კომისია შეიქმნა,<sup>151</sup> რომელიც პოლიტიკური დაფინანსების რეგულაციების შესაძლო დარღვევის თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას იხილავდა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს რეკომენდაციებს უწევდა.<sup>152</sup> საია მონაცილეობას იღებდა სამუშაო ჯეგუფის მუშაობაში. ისევე, როგორც ადრე, კომისიის მუშაობამ ამჯერადაც მნიშვნელოვნად შეუწყონელი პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგის თაობაზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების ინფორმირებას წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურობით გამოირჩეოდა, აქვეყნებდა და სწავლობდა პოლიტიკური დაფინანსების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, ინფორმაციას როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის მხრიდან განხორციელებული დარღვევების ფაქტებზე.<sup>153</sup> საანგარიშო პერიოდში საიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სავარაუდო დარღვევის 4 ფაქტთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა. ოთხივე ფაქტი პოლიტიკური გაერთიანებების/კანდიდატების მხრიდან ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვას ეხებოდა.<sup>154</sup> თუმცა, არსებული საარჩევნო რეგულაციების გაუმართაობისა და სასამართლოს არამართებული პრაქტიკის გამო, სათანადოდ ვერ შეფასდა სამართალდარღვევის არაერთი შემთხვევა. მაგალითად, ამომრჩევლის მოსყიდვის საგანგაშო ფაქტები კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა.<sup>155</sup>

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანახმად, სავარაუდო დარღვევების თაობაზე უწყებაში შესული ინფორმაციის საფუძველზე, 3 საქმე გაიგზავნა პროექტურაში, 1 საქმეზე შედგა სამართალდარღვევის 2 ოქმი და გაიგზავნა სასამართლოში, 17 საქმე უარყოფილი იყო კომპეტენტის არარსებობის მოტივით, ხოლო 26 საქმეზე შეწყდა წარმოება დარღვევის არარსებობის გამო.

<sup>151</sup> <http://www.sao.ge/news/752>. კომისიის მანდატის წარმოადგენს პოლიტიკური დაფინანსების მარეგულირებელი წესების აღსრულების პროცესის შესახებ, მათ შორის, პოლიტიკური დაფინანსების რეგულაციების შესაძლო დარღვევის თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენა და განხილვა, ასევე, არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციის საფუძველზე, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის კონკრეტული რეკომენდაციების გაწევა.

<sup>152</sup> <http://sao.ge/financial-monitoring-service-of-political-parties/declaration/contributions>; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის ბრძანება №5755/21, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და კანონიერების მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე დროებითი საკონსულტაციო კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ.

<sup>153</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>154</sup> 1) განცხადება შეეხებოდა ინფორმაციას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრების, თევდორე კობახიძისა და რიმა ბერიძის ინიციატივით, თბილისის სკოლების პედაგოგებისთვის უფასო სამედიცინო გამოკლევების ჩატარებასთან დაკავშირებით. 2) განცხადება, ლევან ვარშალომიძის, აჭარაში „ერთანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი წომრის დაპირებას, მისი გამარჯვების შემთხვევაში 2017-დან 2020 წლამდე 40 საცხოვრებელი კორპუსისაშენებისა და ეწ „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებლად გადაცემის შესახებ. 3) ფოთში „ეროვნული ფორუმის“ მაჟორიტარი კანდიდატის მხრიდან „ფერების ფესტივალის“ ორგანიზება ამომრჩევლებისთვის. 4) გორში ირაკლი ოქრესაშვილის ფიზისის მიერ საკვების დარგება მოსახლეობისთვის.

<sup>155</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

საანგარიშო პერიოდში დავის საგანი გახდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის ბრძანება „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, რომლითაც, სხვა საკითხებთან ერთად, პოლიტიკური რეკლამის შესყიდვის წესი დარეგულირდა. პოლიტიკური პარტიების მოსაზრებით, პოლიტიკური რეკლამის შესყიდვისას საფასურის წინასწარ გადახდის წესი მნიშვნელოვნად აუარესებდა მათ მდგომარეობას და, ზოგადად, წინასაარჩევნო გარემოს.<sup>156</sup> აღნიშნულ საკითხზე პოლიტიკურმა გაერთიანებებმა სპეციალური განცხადება გაავრცელეს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დადგენილი წესის შეცვლის თხოვნით მიმართეს, ხოლო 5 აგვისტოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და რეკლამის შესყიდვასთან დაკავშირებული წესის გაუქმება მოითხოვეს.<sup>157</sup>

აღსანიშნავია, რომ ბრძანების თანახმად, არ შეცვლილა პოლიტიკური რეკლამის შესყიდვის წესი და ის ისევ წინასწარი ანგარიშსწორების წესს დაექვემდებარა, რომელიც 2012 წლიდან მოქმედებდა და გენერალური აუდიტორის ბრძანებით იყო დამტკიცებული.<sup>158</sup>

წინასაარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის დეფინიცია-სა და ამ სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული საკითხი. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც პოლიტიკურ ველზე ის პირები გააქტიურდნენ, რომელთაც რეალურად პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ, თუმცა, ამის თაობაზე საჯარო განაცხად გაკეთებული არ ჰქონდათ და არც საარჩევნო რეგისტრაცია ჰქონდათ გავლილი. მაგალითად, პატაგა ბურჭულაძემ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ისე დაიწყო, რომ პოლიტიკური მიზნები საჯაროდ გაცხადებული არ ჰქონდა და არც პარტიად იყო რეგისტრირებული. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მის აქტივობაზე პარტიებისათვის დადგენილი რეგულაციები ვერ გაავრცელა, რის გამოც მისი პოლიტიკური მოძრაობა, პარტიის ბრძანებით, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

არჩევნების დასრულების შემდეგ დავის საგანი გახდა ცესკოს თავმჯდომარის 2016 წლის 22 ნოემბრის №221/2016 განკარგულება, რომლითაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანანილებელი დაფინანსების ოდენობები განისაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ვერ გადალახა დაფინანსების მისაღებად სავალდებულო კანონით დადგენილი 3%-იანი ბარიერი და, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, დაფინანსება ვერ მოიპოვა, კანონის არასწორი განმარტების პირობებში, აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, პარტიამ დაფინანსების სახით დამატებით 300 000 ლარი მიიღო, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, საარჩევნო ადმინისტრაციებში კომისიის წევრის ყოლის უფლება მოეპოვებინა.<sup>159</sup> აღნიშნულმა შემთხვევამ დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტიდან პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციების გადახედვის საკითხი.

<sup>156</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/thavisufalidemokratebi/391503-opoziciurma-partiebma-reklamis-shesyidvis-tesis-shebakheb-generaluri-auditoris-brdzaneba-sasamarthloshi-gaasachivres.html>. პარტიების განცხადებით, ისინა ამ რეგულაციის აღქმედებამდე რეკლამის საფასურს ყოველკვირულად იხდიდნენ, ასალი წესის თანახმად კი, რეკლამის თანხის გადახდა წინასწარ და მოლიტვედათ.

<sup>157</sup> <http://www.sao.ge/news/791> სამსახურის განცხადებით, საარჩევნო რეკლამის წინასწარი შესყიდვის რეგულაცია 2012 წლიდან მოქმედებდა, ხოლო 5 მაისის ბრძანებით, მოხდა რამდენიმე მცელი ბრძანების სისტემატიზაცია, რის შემდეგაც გამარტივდა რეკლამის წინასწარი შესყიდვის პერიოდი. ერთადერთი მოთხოვნა, რაც უცვლელად რჩებოდა, ეს იყო რეკლამის თანხის წინასწარ, რეკლამის ტელეეტერით ან სხვა საშუალებით გავრცელებამდე გადახდისა და მსთან დაკავშირებული ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარდგნის ვალდებულების შენარჩუნება. სამსახურში განცხადეს, რომ მაშინ როცა თავდაპირველ რეგულაციაში მოთხოვნილი იყო მინიმუმ 1 კვირის პერიოდის წინასწარი შესყიდვა, 5 მაისის ბრძანებით, აღნიშნული ვადა აღრ დაფიქსირებულა, რაც პარტიებს შესაძლებლობას აძლევდა, შეესყიდათ 1 საათის ან თუნდაც ერთი დღის სარეკლამო მომსახურება.

<sup>158</sup> გენერალური აუდიტორის ბრძანება #2915/21 05.05.2016.

<sup>159</sup> <https://gyla.ge/ge/arasamtavrobo-organizaciebis-ceskos-tavmjdmaris-gankargulebas-ekhmaurebian>

## VIII. ნინასაარჩევნო პერიოდი

### სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის

საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის განკარგულების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს დაინიშნა.<sup>160</sup> პირველ ეტაპზე, განისაზღვრა, რომ განკარგულება ძალაში შევიდოდა 2016 წლის 8 აგვისტოდან.<sup>161</sup> აღნიშნულმა, კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, ნინასაარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღის ხელოვნურად გადავადების რისკი გააჩინა, ვინაიდან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ნინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე<sup>162</sup> და პრეზიდენტი არ განსაზღვრავს ამგვარი აქტის ძალაში შესვლის თარიღს. შესაბამისად, პრეზიდენტის განკარგულების ის ჩანაწერი, რომელიც აქტის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრავდა 8 აგვისტოს, ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კანონმდებლობას.<sup>163</sup> საბოლოოდ, პრეზიდენტის აქტის კონტრასიგნაცია პრემიერმინისტრმა 8 ივნისს განახორციელა და, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დღიდან დაიწყო ნინასაარჩევნო კამპანია.

ნინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა. თუმცა, ნინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად გამოცხადების – ანუ 8 ივნისის – შემდგომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილობრივ დონეზე განხორციელებულმა საბიუჯეტო ცვლილებებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული 60 დღიანი შეზღუდვის პრინციპი, რაც, ზოგადად, აღნიშნულ პერიოდში ახალი სოციალური ხასიათის პროგრამების/შედავათების შემოღვას გულისხმობას.

ნინასაარჩევნო კამპანია ადმინისტრაციული რესურსების მასობრივი გამოყენების სიმცირით ხასიათდებოდა.<sup>164</sup> შესაბამისად, მას არ მიუღწევია ისეთი მასშტაბებისთვის, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საარჩევნო გარემოზე. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა როგორც ადამიანური, ისე მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებას კამპანიის მიზნებისათვის, საარჩევნო კოდექსის დარღვევით.<sup>165</sup>

მმართველი პარტია ცდილობდა, არასამუშაო დღეებში გაემართა ნინასაარჩევნო კამპანიის საჯარო შეხვედრები. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ სააგიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობის მისალებად საჯარო მოხელეები, ძირითადად, კუთვნილი შვეზულებით სარგებლობდნენ.<sup>166</sup> თუმცა, რეგიონებში, მმართველი პარტია მაჟორიტარი კანდიდატების ნარდგენის ღონისძიებებზე, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების მობილიზების ფაქტები დაფიქსირდა, რაც აჩენდა კითხვებს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების ნინასაარჩევნო აგიტაციაში სავარაუდო ჩართვის თაობაზე.

ნინასაარჩევნო პერიოდში საიამ დააფიქსირა ნინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის 12 ფაქტი, აგრეთვე, საჯარო მოსამასურებების მხრიდან სამუშაო საათების განმავლობაში სოციალური ქსელების, ხშირად Facebook-ის, მეშვეობით აგიტაციის 15-მდე ფაქტი, ასევე, უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ნინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის რამდენიმე შემთხვევა.<sup>167</sup> ნინასაარჩევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო უწყებების მიერ განეული საქმიანობის რეკლამირებას და მათ გავრცელებას როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებების, ისე სხვა საკომუნიკაციო საშუალებების სახით, რაც აჩენდა კითხვებს ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებისა და არჩევნების წინ ამომრჩევლების განწყობებზე გავლენის მოხდენის მცდელობასთან დაკავშირებით.

ნინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებამ სოციალური ხასიათის პროექტი „ცხოვრება გრძელდება“ დააანონსა.<sup>168</sup> მსგავსი პროექტების ნინასაარჩევნოდ განხორციელება, შესაძლოა, უშუალოდ არ ენიანადმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს, თუმცა, თავისი არსით, ნარმადგენდა საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას საარჩევნო მიზნებისათვის და არათანაბარ პირობებს ქმნიდა პოლიტიკური პარტიებისათვის. ნინასაარჩევნოდ მსგავსი სახის ინიციატივები სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარს აფერმკრთალებს, რითაც ირღვევა ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტით განსაზღვრული პრინციპები, რომლის თანახმად, „აუცილებელია სახელმწიფოსა

<sup>160</sup> <https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/Documents/LegalActs?p=10380&i=1>

<sup>161</sup> <https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/News?p=10202&i=1>

<sup>162</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>163</sup> <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iurista-asociacia-archevnebis-danishvnis-taobaze-presidentis-gadatsyvetilebas-ekhmianeba>

<sup>164</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>165</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>166</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>167</sup> სენებულ ფაქტებთან დაკავშირებით, საიმართველები წარადგინა როგორც საარჩევნო ადმინისტრაციები, ასევე სამართლოში. აღსანიშნვით, რომ თრივე ამ საკითხის რეგულირების მიმართულებით კანონმდებლობა გაუმჯობესებას საჭიროებს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართებში.

<sup>168</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>169</sup> ინიციატივა ითვალისწინებდა საპენსიო ასაკის პირთა დასაქმებას.

და პოლიტიკური პარტიის მკაფიო გამიჯვნა, პარტია არ უნდა იყოს აღრეული სახელმწიფოსთან.”<sup>170</sup>

2016 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა სოციალური შეღაბათები მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები და დასაქმებული პირებისათვის, კერძოდ: საპენსიო ასაქს მიღწეულთათვის, სოციალური პაკეტით მოსარგებლები პირებისათვის, სამედიცინო პერსონალისათვის, პედაგოგებისათვის. სოციალური შეღაბათების ამოქმედების სამართლებრივი საფუძველი გახდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც, თავის მხრივ, 2015 წლის ზაფხულში იყო მიღებული. მართლია, კანონი არჩევნებამდე 1 წლის ადრე მიიღეს, თუმცა, გარკვეული კატეგორიის პირებისათვის მთელი რიგი სოციალური შეღაბათების ამოქმედებამ, რაც წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა, გარკვეული კითხვები გააჩინა საბიუჯეტო რესურსების საარჩევნო მიზნებისათვის გამოყენების თაობაზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის ბიუჯეტების დაგეგმვისას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ცდილობდნენ, ბიუჯეტი საარჩევნო მიზნებისათვის მოერგოთ. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ადგილობრივ ბიუჯეტებში ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც არ ახლდა სათანადო დასაბუთება. ასევე, საარჩევნო წლის (2016 წლის) ადგილობრივი ბიუჯეტების პრიორიტეტები და ამ პრიორიტეტებზე თანხების გადანაწილება საკმაოდ განსხვავდებოდა არასაარჩევნო წლის (2015 წლის) ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და მათზე გადანაწილებული თანხებისაგან. მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა სწორედ არჩევნების წინა პერიოდში იწყებოდა. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები აჩენდა ეჭვს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ზემოთ დასახელებული პროგრამებისათვის თანხების მატება მოსახლეობის კმაყოფილების ზრდას ემსახურებოდა, რაც საბოლოო ჯამში არჩევნებზე მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ზრდას უზრუნველყოფდა. საიამ სასამართლოში გაასაჩივრა 2016 წლის 27 სექტემბერს ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები ხარჯის ნაწილში ბიუჯეტის 2 250 000 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით, რაც, ჩვენი მოსაზრებით, ენინააღმდეგებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესს და წარმოადგენდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. სასამართლოში მოვითხოვთ ხარჯების შეჩერება, თუმცა, სასამართლო საარჩელი არ დააკმაყოფილა.<sup>171</sup>

ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდოდ გამოყენების ფაქტებთან დაკავშირებით, საია პერიოდულად მიმართავდა როგორც უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციას. უწყებათაშორისმა კომისიამ სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები შეისწავლა და კონკრეტული რეკომენდაციები გამოსცა, თუმცა, ამ შემთხვევაში პრობლემას რეკომენდაციების აღსრულება წარმოადგენდა.

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციას, მისი მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირება არ იყო ადეკვატური. საიას მიერ წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციებმა ან შეწყვიტეს ადმინისტრაციული სამართლდარღვევის საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის საფუძვლით, ან მიზანშეუწონლად მიიჩნიეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმების შედეგენა. აღსანიშნავია ისიც, რომ არც სასამართლოებმა მოახდინეს შემდგომში ადეკვატური რეაგირება. მსგავსად საარჩევნო კომისიებისა, არც სასამართლოებმა დააკმაყოფილეს საიას მოთხოვნებიდა ძალაში დატოვეს საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებები წარმოების შეწყვეტაზე. შედეგად, ვერც საარჩევნო ადმინისტრაციამ და ვერც სასამართლომ ვერ უზრუნველყოვეს კანონმდებლობის სწორო, პროგრესული განმარტება მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რითაც შექმნეს შთაბეჭდილება, რომ თავს არიდებდნებ მნიშვნელოვან საკითხებზე თავიაზთი უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას.<sup>172</sup>

### ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები

წინა წლებთან შედარებით, უფრო ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის თაობაზე, რაც პარტიებისა თუ კანდიდატების ან მათი თანაგუნდებების მხრიდან ამომრჩევლისათვის ფასეულობების გადაცემას, გადაცემის დაპირებას ან მომსახურების განევას გულისხმობდა. საიას მონიტორების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვის 9 ფაქტი დაფიქსირდა.

მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლთა მხრიდან, რა დროსაც, ჩვენი მოსაზრებით, ირღვეოდა არა მარტო საარჩევნო კოდექსის, არამედ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25<sup>2</sup>-ე მუხლის მოთხოვნებიც, რომლის თანახმადაც, პარტიას ეკრძალება კანდიდატის,

<sup>170</sup> ეუთოს 1990 წლის კოპენპაგენის დოკუმენტის 5.4 პარაგრაფი.

<sup>171</sup> <https://gyla.ge/ge/post/sabijeto-cvlikebebi-atcharashi>

<sup>172</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

ნარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქი-სათვის უსასყიდლოდ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ან გავრცელება, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ცალკეულ შემთხვევებში, ასევე, შესაძლოა ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული მოსყიდვის ნიშნებსაც.

ზემოხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით, საიამ განცხადებით მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება ითხოვა. აღნიშნული ინფორმაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა და სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირებისათვის სასამართლოს მიმართა. სამწუხაორდ, სასამართლოს მიერ ამ სახის სამართალდარღვევების წინააღმდეგ არაეფექტური ზომები გატარდა, რაც მეტწილად განპირობებული იყო არსებული საარჩევნო რეგულაციების გაუმართაობითა და სასამართლოს არასათანადო პრაქტიკით.<sup>173</sup>

**წინასაარჩევნო პერიოდში საიას მონიტორების მიერ დაფიქსირდა ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის შემდეგი ფაქტები:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თევდორე კობახიძის ინიციატივა ვაკის სკოლების პედაგოგებისათვის უფასო დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარების თაობაზე<sup>174</sup> და საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის, რიმა ბერაძის ინიციატივა საჯარო სკოლების 200-მდე პედაგოგისათვის უფასო სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების შესახებ.<sup>175</sup> თბილისის საკრებულოს ინფორმაციით, აღნიშნული აქციების ორგანიზაციორი აგრეთვე იყო ა(ა)იპ „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლი“,<sup>176</sup> რომელიც, ამავე ინფორმაციით, გეგმავდა სხვადასხვა აქციის ჩატარებას დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში. საიას მიმართვის საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფაქტი შეფასდა, როგორც აკრძალული შემოწირულობა და შედგა 2 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი რიმა ბერაძის და ა(ა)იპ „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ წინააღმდეგ, თითოეულის მიმართ – 4000 ლარის ოდენობის ჯარიმის შეფარდების თაობაზე“.<sup>177</sup> თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა სახელმწიფო აუდიტის პოზიცია და 2016 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საქმეზე შეწყდა წარმოება. რაც შეეხება თეოდ კობახიძესთან დაკავშირებულ სავარაუდო მოსყიდვის ფაქტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ამ შემთხვევაში დარღვევა არ დაადგინა.
- ქ. ბათუმში, ბენზეს დასახლებაში, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, ლევან ვარშალომიძის დაპირება ახალი კორპუსის მშენებლობის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით ამომრჩევლებთან წერილობით ხელშეკრულებების დადება.<sup>178</sup> საკითხის შესწავლისა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მიზნით, საიამ განცხადებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.<sup>179</sup> იმ არგუმენტით, რომ საქმე სცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქმე გადაუგზავნა პროკურატურას, რომელმაც დაინტერესება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup>-ე მუხლით.<sup>180</sup> თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ამ დრომდე გამოძიება კონკრეტულ შედეგებამდე არ მისულა.
- 2016 წლის 13 სექტემბერს, გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის - ირაკლი ოქრუაშვილის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების მიერ გორში, შინდისის გზა-ტკეცილზე მდებარე №11, №13 და №15 კორპუსების მაცხოვრებლებისათვის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტის გადაცემა.<sup>181</sup> აღნიშნულის თაობაზე, საიამ განცხადებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას.<sup>182</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საქმესთან დაკავშირებით გამოიკითხენ კონკრეტული პირები: ირაკლი ოქრუაშვილი, მამუკა ნოზაძე და დასახლებაში მცხოვრები 6 პირი, <sup>183</sup> თუმცა, მოსყიდვის ფაქტი არ დადასტურდა. სა

<sup>173</sup> <https://gyla.ge/index.php/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>174</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/383596-thebo-kobakhidzis-iniciativith-vakis-skolebis-pedagogeb-ufaso-diagnostikuri-kvlevebi-chautardebat.html?ar=A>

<sup>175</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/386481-rima-beradzis-iniciativith-sajaro-skolebis-200-mde-pedagogeb-ufaso-samedicino-gamokvleva-chautarda.html?ar=A>

<sup>176</sup> [https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get\\_output\\_by\\_id&scandoc\\_id=542140&app\\_id=619384](https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=542140&app_id=619384)

<sup>177</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

<sup>178</sup> <http://ajaratv.ge/news/ge/3198-khelshekruleba-korpusebis.html>

<sup>179</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/389023-levan-varshalomidzem-bathumelebthan-akhali-korpusebis-msheneblobis-dapirebis-khelshekruleba-gaafoma.html>

<sup>180</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

<sup>181</sup> <https://gyla.ge/ge/post/amomrchevlis-savaraod-mosyidvis-faqtebi>

<sup>182</sup> საიას 21 სექტემბრის განცხადება №გ-01/294-16

<sup>183</sup> <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2FIATF%20Report%202016.pdf>

მაგიეროდ, გამოვლინდა ამომრჩევლის მოსყიდვის სხვა შემთხვევა. კერძოდ, უწყების ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილი ამომრჩეველთან შეხვედრისას მათ დაპირდა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რისთვისაც, მუნიციპალური სახსრების მოზიდვასთან ერთად, გაიღებდა საკუთარ ფინანსურ სახსრებსაც, კერძოდ – 3,963.56 ლარს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა.

- 2016 წლის 18 სეტემბერს პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ოთარ ხარჩილავას დაფინანსებით და ამავე პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთის ინიციატივით, ქალაქ ფოთში „ფერების ფესტივალის“ ჩატარება.<sup>184</sup> ასევე, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ხარჯით, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – ოთარ ხარჩილავას ახალგაზრდული ფრთის მიერ 17-დან 30 წლამდე ფოთელი ახალგაზრდების სხვადასხვა სახის გასართობ ღონისძიებებზე (ექსკურსია, კარაოკე, ფოტოსესია და სხვა) მინვევა.<sup>185</sup> ორივე ფაქტთან დაკავშირებით, საიამ განცხადებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათამორის კომისიას.<sup>186</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ინფორმაციის დაზუსტების თხოვნით, ნერილი გაეგზავნა „ეროვნულ ფორუმის.“ პარტიამ აღნიშნულ ღონისძიებასთან კავშირი უარყო. საქმეზე მიმდინარეობს წარმოება.<sup>187</sup>
- მთაწმინდის დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მიერ სოციალური ქსელის – facebook-ის მეშვეობით, ამომრჩევლისათვის სავარაუდოდ უკანონობა დაპირების მიცემა. კერძოდ, სალომე ზურაბიშვილმა 6 ოქტომბერს 20:00 საათზე ამომრჩეველი facebook გვერდის მეშვეობით საარჩევნო ღონისძიებაზე მინვია და ამისათვის მათ უფასო მგზავრობა შესთავაზა – ფუნიკულიორზე მატარებლით ასვლა.<sup>188</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საქმე გადაეგზავნა პროკურატურას.
- 5 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქციაზე დასწრების მიზნით, მოქალაქეთა სავარაუდო მოსყიდვა. საუბარია ინფორმაციაზე, რომლის თანახმად, აქციაში მონაწილეობის სანაცვლოდ, პარტიამ კონკრეტულ პირებს 20, 30 და 50 ლარი გადაუხადა.<sup>189</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს მიმართვის საფუძველზე, დაიწყო წარმოება, თუმცა, ვერ შეძლო გავრცელებულ ვიდეომასალებში დაფიქსირებული პირების იდენტიფიცირება და, ინფორმაციის წარმოდგენის თხოვნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.
- საშუალები, სავარაუდო „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის ვალერი გელაშვილის მიერ მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირების დაინტერესება ხელფასების მომატებით.<sup>190</sup> საიას ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საკითხი, თუმცა, დარღვევა არ დაადგინა.

აღნიშნული ფაქტების გარდა, გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ ინფორმაციაზე, რომელიც წინა-საარჩევნო პერიოდში ვრცელდებოდა და მოქალაქეების მხრიდან კანონის დარღვევის ნიშნებს შეიცავდა. მოქმედი კანონმდებლობით, დასჯადი არა მხოლოდ ამომრჩევლისათვის საარჩევნო მიზნით გარკვეული სიკეთის გადაცემა, არამედ ამომრჩევლის მიერ ამ სიკეთის მიღებაც. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც საქმე შეიძლება სოციალურად დაუცველ ადამიანებს და მათი მხრიდან ამ სარგებლის მიღებას ეხებოდეს. ერთი მხრივ, ამომრჩეველთა ცხოვრების შეჭირვებული პირობების და, მეორე მხრივ, საზოგადოების დაბალი სამართლებრივი ცნობიერების პირობებში, ვფიქრობთ, რომ სიკეთის მიღება ამომრჩევლისათვის დასჯად ქმედებას არ უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, საია კვლავ უწევს რეკომენდაციას ისეთ ცვლილებებს, რომელიც, ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევაში, ამომრჩეველს სისხლისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს.

<sup>184</sup> <http://room.ge/?p=701>; ფერადი ფხვნილები გაიცემოდა უფასოდ და ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი მსურველისთვის. ღონისძიების ორგანიზატორებს ეცვათ სააგიტაციო მასურები. ღონისძიებაში მონაწილეობდა თავად კანდიდატი.

<sup>185</sup> <http://room.ge/?p=713>

<sup>186</sup> საიას 21 სექტემბრის განცხადება №გ-01/294-16.

<sup>187</sup> <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2FIATF%20Report%202016.pdf>

<sup>188</sup> ღონისძიების სახელწოდება – „სალომე ზურაბიშვილის მთაწმინდის საარჩევნო დასკვნითი საღამო“. „ჩვენს შემაჯამებელ საღამოზე ფუნიკულიორზე მატარებლით (ტრამვათ) ასვლა 19:00 საათიდან 22:00 საათამდე უფასო იქნება, ვინაიდან გმასპინძლობთ მე!“

<sup>189</sup> კერძოდ, საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ში გავრცელა ვიდეო, რომელშიც ნაჩვენები იყვნენ აქციაზე მყოფი პირები. ისინი აცხადებდნენ, რომ აქციაზე ფულის გადახდის სანაცვლოდ ჩამოიყანეს. კონკრეტული პირები ასახელებენ, რომ მათ აქციაში მონაწილეობის სანაცვლოდ, პარტიამ გადაუხადა 20, 30 და 50 ლარი.

<sup>190</sup> <http://1tv.ge/ge/news/view/139539.html>; შეხვედრის აუდიოჩანჩერი მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებთან, რა დროსაც კანდიდატი მეორე ტურის წინ ხაშურის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებს დახმარებას პეირდებოდა, მათ შორის, ხელფასების მომატების სახით, სანაცვლოდ კი, ითხოვდა, რომ მათ და მათ ახლობლებს მისი კანდიდატურისთვის მხარი დაფიქრათ.

## მუქარის, ზენოლისა და ფიზიკური ანგარიშს სწორების ფაქტები

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას დაფიქსირდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, პოლიტიკური მოტივით პარტიების აქტივისტებზე ზენოლისა თუ მუქარის არაერთი შემთხვევა. მსგავსი ქმედებები, ძირითადად, არჩევნებამდე 2 თვით ადრე დაიწყო, ხოლო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე განხორციელებულმა ძალადობრივმა ფაქტებმა დიდინებში, გორსა და თბილისში<sup>191</sup> სერიოზული ზიანი მიაყენა სტაბილურ საარჩევნო გარემოს და მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა.<sup>192</sup>

წინასაარჩევნო პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაციები ძალადობრივ ქმედებებში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირების შესაძლო მონაწილეობის თაობაზე.<sup>193</sup> იყო შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიები წევრები საუბრობდნენ საარჩევნო პროცესებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა ჩარევაზე.<sup>194</sup> პარტიების აქტივისტების განცხადებით, ზენოლები ძირითადად სოციალური დახმარებების მოხსნისა თუ სამსახურის დაკარგვის მუქარაში გამოიხატებოდა.<sup>195</sup> რამდენიმე შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სამართალდამცავთა მიერ პოლიტიკურად აქტიური პირების ჩხრეკას, დაკითხვას ან ბრალის წაყენებას, რამაც სამართალდამცავთა ქმედებების პოლიტიკური მიუკრძოებლობის მიმართ კითხვის ნიშნები გააჩინა.<sup>196</sup>

არჩევნების პროცესზე ასევე ნეგატიური გავლენა იქნია პოლიტიკური პარტიების ლიდერთა შესახებ ინტერნეტით გავრცელებულმა ფარულმა ვიდეო და აუდიო ჩანაწერებმა, რომლებიც ეტაპობრივად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ვებგვერდის საშუალებით და მუქარის მესიჯებს შეიცავდა. ჩანაწერების გავრცელების დრო და შინაარსი მიუთითებდა ჩანაწერების მეშვეობით პოლიტიკური პროცესების და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის მცდელობებზე, რაც შეუთავსებელია დემოკრატიული მმართველობის პრინციპებთან და არაერთხელ გამხდარა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის საგანი. ზოგიერთი ჩანაწერის მინაარსი, ავთენტურობის პირობით, ასევე არ იყო თავსებადი დემოკრატიულ ღირებულებებსა და მართლწესრიგთან და ინვევდა საზოგადოების მკვეთრად უარყოფით განყობებს.<sup>197</sup>

სახელმწიფოს საგამოძიებო ორგანოებმა ვერცერთ შემთხვევაში ვერ დაასრულეს გამოძიება წარმატებულად და ვერ მოხერხდა ამ ჩანაწერების ავტორის ან/და გამავრცელებლის პასუხისმგებაში მიცემა.<sup>198</sup>

არჩევნებამდე თითქმის ერთი კვირით ადრე, შსს-მ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან და მთავარ პროკურატურასთან ერთად, ოპერატორი ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ოდენობით საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მარაგის აღმოჩენის შესახებ განაცხადა.<sup>199</sup> შინაგან საქმეთა მინისტრმა გამორიცხა ამ ფაქტის რაიმე სახით კავშირი წინასაარჩევნო პერიოდთან,<sup>200</sup> ხოლო პრემიერმინ-

<sup>191</sup> ძალადობრივი აქტები, მათ შორის, ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის ავტომანქანის აფეთქება; ოპოზიციური პარტიის ძალის მასიურიტარობის კანდიდატზე ცეცხლსასროლი იარღით თავდასხმა; მმართველი პოლიტიკური პარტიის აქტივისტების მიმართ ფიზიკური ანგარიშწორება. ყველა ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და ორ შემთხვევაში კონკრეტულ პირებს ბრალიც წაეყინათ.

<sup>192</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinaaaarchechno-garemos-shefaseba>

<sup>193</sup> მაგალითად, ახალგიხში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟაორიტარი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის დროს განხორციელდა ძალადობა ენტ-ს აქტივისტ. ნ. ბ. ზე, რომლის განცხადებითაც, ურაველის გზაზე სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა აკავი მაჭუტატებები და მისას თანმხელება პორებმა მას ფიზიკური და სიტყვები შეურაცხყოფა მაყენეს. <http://rustavi2.com/ka/news/60059>. ასევე, ბორჯომში ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მაყენა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოს წევრმა ბესიკ ფოფხამე, თანმხელე პირებთან – ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის არასამერწარმე (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლებთან ერთად.

<sup>194</sup> მაგალითად, ბორჯომში ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა ისაუბრა იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები სისტემატურ თვალთვალსა და მიუურადებას ახორციელებს მასზე. დარღვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ საის სინფორმაციო ბიულეტენებში: <https://gyla.ge/mod/newsletter/5>, <https://gyla.ge/ge/mod/newsletter/6>.

<sup>195</sup> საის მონიტორებთან საუბრისას, ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქებმა დადასტურეს ინფორმაცია სოციალური დახმარების შესაძლო მოხსნის თაობაზე. ასევე, საის მონიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანამად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თავიანთ დაქვემდებარებულ პირებს დაავალეს 2016 წლის 8 ივნის ბორჯომშის საპარლამენტო არჩევნებზე 10-10 მხარდამჭერი ამომრჩევლის მიყვანა, ხოლო მანამდე კი - ამ ადამიანების პირადობის მოწმობების ასლების მიტანა. აღნიშვნული დაგლუბა, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა შეიცვადა მუქარასაც.

<sup>196</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinaaaarchechno-garemos-shefaseba>

<sup>197</sup> ერთ-ერთ ჩანაწერთან დაკავშირებით, რომელზეც სავარაუდო რუსთავი 2-ის მენეჯერის ნიკა გვარამასასა და პოლიტიკური მოძრაობა „სახელმწიფო ხალხის იუსტიციის“ ლიდერის პატრი ბურჯულების საუბრის ფაქტი, ჩანაწერში მონაწილე პირებმა არ უარყვეს საუბრის ფაქტი, თუმცა, აღნიშვნება, რომ სატელეფონო ჩანაწერი დამონტაჟებული იყო. მათ არ გამორიცხეს, რომ სატელეფონო საუბრის ჩაწერა და გამოქვეყნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მომხდარიყო. გამოძიება პირადი მიმოწმის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგარი ხერხით შეცვალების საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე დაიწყო; <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/397170-qrusthavi-2q-is-informaciith-nika-gvaramia-da-paata-burtkuladze-dakithkhvaze-daiabares.html?ar=A>

<sup>198</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinaaaarchechno-garemos-shefaseba>

<sup>199</sup> <http://www.ipress.ge/new/46479-shshs-samartaldamcvelebm-sabrdzolo-masalisa-da-ceckhlalsroli-iaraghis-marags-miakvlies>

<sup>200</sup> <http://www.tabula.ge/ge/verbatim/112625-shs-ministri-iaraggi-sxvadasxva-dros-vipovet-gasasajaroeblad-situacia-axla-momtsifda>

ისტრმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ დემოკრატიულ არჩევნებს ჩაატარებდა და, რეალური მცდელობების მიუხედავად, ყველანაირი დესტაბილიზაცია გამორიცხული იქნებოდა.<sup>201</sup> გამოძიება დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა „თავისუფალი ზონის“ 10 წევრი დაკითხვაზე დაიბარა.<sup>202</sup>

კენჭისყრის დღემდე რამდენიმე დღით ადრე, 2016 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 26 მაისის საქმეზე ახალი ვიდეომასალა გამოქვეყნა და მის საფუძველზე კიდევ რამ-დენიმე მაღალჩინოსანს წაუყენა ბრალი.<sup>203</sup>

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ახალი ვიდეომასალის გამოქვეყნებამ გააჩინა კითხვები იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო ორგანოს ქმედება პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ, როგორც პროკურატურა განმარტავდა, ვიდეოკადრები შემთხვევის დამეს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოპერატორის მიერ იყო გადაღებული, თუმცა, გამოძიებისთვის სიახლეს წარმოადგენდა.<sup>204</sup> შესაბამისად, კითხვები გაჩნდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობდა გამოძიება და რატომ არ იყო (თუ არ იყო) ეს მასალა პროკურატურისთვის მანამდე ხელმისაწვდომი.<sup>205</sup> ამასთან, საზოგადოებისთვის არ იყო ახსნილი, თუ რა კრიტერიუმებით იძიებდა პროკურატურა საქმეებს და რის მიხედვით ანიჭებდა მათ უპირატესობას, რაც, თავის მხრივ, შეამცირებდა განცდას, რომ პროცესები პოლიტიკურად მოტივირებული იყო.

წინასაარჩევნო პერიოდში საიას მონიტორებმა სავარაუდოდ მუქარისა და ზენოლის 10-მდე ფაქტი დააფიქსირეს, რომლებიც ძირითადად ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტების კანდიდატებისა და მათი მხარდაჭერების მიმართ განხორციელდა. გამოვლინდა ასევე 1 შემთხვევა, როდესაც ფიზიკური დაპირისპირების შედეგად მმართველი პარტიის აქტივისტები დაზარალდნენ.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, საიას შესაბამის უწყებებს მიმართა და მათი შესწავლა, ასევე, ამ ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება მოითხოვა. გარდა ამისა, წინასაარჩევნო პერიოდში საიამ არაერთი საჯარო განცხადება გაავრცელა ინდივიდუალურ თუ კოალიციურ რეჟიმში და კომპეტენტური ორგანოებისგან, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოებისგან დროული, მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება და სამართლიანი სასამართლო განხილვა მოითხოვა. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, საიას ადვოკატები კონკრეტული დაზარალებული პირების უფლებებს იცავდნენ და მათ ინტერესებს გამოძიებისა და სასამართლოს წინაშეც წარმოადგენდნენ. მთელ რიგ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა შეიცავდა მუქარის, იძულების, დაშინების ან ძალადობის სხვადასხვა ფორმას და რომლებზეც საუბარი იყო როგორც მედიასაშუალებებში, ასევე უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში, შსს-ს მიერ წარმართული გამოძიებების ეფექტურობა კითხვის ნიშნებს შეიცავდა, რაც უარყოფითად აისახება ამ უწყების, როგორც ეფექტური და პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუტის სანდოობაზე.<sup>206</sup>

აღსანიშნავია კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც საიასთვის წინასაარჩევნო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან გახდა ცნობილი. კერძოდ, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ანარმოებდნენ ამომრჩეველთა პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) აღრიცხვას, თუმცა, არ განმარტავდნენ აღნიშნული მონაცემების შეგროვების მიზანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მათ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და დევნილი მოქალაქეები.<sup>207</sup> აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საიამ განცხადება გაავრცელა და განმარტა, რომ სახელი, გვარი და პირადი ნომერი პირის პერსონალურ ინფორმაციას წარმოადგენდა და მისი დამუშავება დასაშვები იყო, თუ არსებობდა მონაცემთა სუბიექტის თანხმობა. ამასთან, პერსონალური მონაცემების შეგროვება წარმოადგენდა ამომრჩევლის ნებაზე არაპირდაპირი ზემოქმედების განხორციელების საფრთხის შემცველ ტენდენციას. საიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მყისიერად გამოხმაურა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტო-

<sup>201</sup> <http://www.ipress.ge/new/46501-premieri-realuri-mcodelobebis-miukhedavad-saqartveloshi-destabilizacia-gamorickhulia>

<sup>202</sup> ზაზა ხაზალია, ვანო აფციაური, თორნიკე დარბაისელი, მარიამ ბაშარული, ნინო ქაცარავა, ვაჟა მორგოშია, ნიკოლოზ ჭურაძე, დავით გოგოხია, ზურაბ ბერიაშვილი და კობა ხაბაზი; <http://www.ipress.ge/new/46756-susma-tavisufali-zonis-10-tsevri-dakikhvaze-daibara>

<sup>203</sup> საქართველოს პროკურატურამ 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დარბევისა და მასობრივი დაკავების ფაქტზე ბრალდებულად ცნო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი დავით ახალაია, მისი მოადგილე ვასილ ლილუაშვილი, ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი რევაზ შიუკაშვილი და მეორე მთავარი სამმართველოს უფროსი ლევა ქარდავა.

<sup>204</sup> პროკურატურის განცხადებით, კადრებში ასახული იყო, თუ როგორ გასცემს დანაშაულებრივ ბრძანებას 2011 წლის 26 მაისს დავით ახალაია, რომელიც ითხოვს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ყველა მომიტინგის დაკავებას და, სანაცვლოდ, მის თანამშრომლებს პეირდება მაღალ პრემიებს.

<sup>205</sup> <http://netgazeti.ge/news/142435>

<sup>206</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>207</sup> <https://gyla.ge/ge/post/tsinasaarchevnod-gamokvetili-darghvvebebi-da-tendenciebi>

რი, რომელმაც მოქალაქეებს მათი უფლებები განუმარტა და აუხსნა, რომ არ იყვნენ ვალდებული, ინფორმაცია მათი თანხმობის გარეშე ვინმესთვის გადაეცათ და რომ ამგვარი ქმედების განხორციელების იძულება კანონსაწინააღმდეგო იყო.<sup>208</sup>

## ნინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები

საიას მონიტორები აქციების ჩატარებასა და სააგიტაციო მასალების გავრცელებაში ხელშეშლის 12 ფაქტი დააფიქსირებს.<sup>209</sup> ცალკეულ შემთხვევებში, გამოვლინდა ასევე სავარაუდოდ პარტიის ოფისებში უკანონო შეღწევის, კანდიდატების საარჩევნო პლაკატების, ბაზერებისა და ოფისების დაზიანების შემთხვევებიც, რომელებსაც, ძირითადად, ადგილი ჰქონდა ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტებისა და მათი კანდიდატების მიმართ.<sup>210</sup> დაფიქსირდა, ასევე, კონტრაქციების ფაქტებიც.

საიას მონიტორები უშუალოდ ესწრებოდნენ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს. ასევე, ახორციელებდნენ მედიით გავრცელებული ინფორმაციის შესწავლასა და გადამოწმებას. საანგარიშმ პერიოდში ორგანიზაციამ არაერთი განცხადება გაავრცელა, რომლებითაც დაგმო კამპანიაში ხელშეშლისა და ძალადობის ფაქტები, ხოლო პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდ და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში წარმართვისაკენ მოუწოდა.<sup>211</sup> ასევე, საიამ განცხადებებით მიმართ უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის და მსგავს ფაქტებზე რეაგირება მოითხოვა. თავის მხრივ, უწყებათაშორისმა კომისიამ არაერთი რეკომენდაცია გამოისცა და პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს კონკურენტი პოლიტიკური პარტიის ან მათი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული პოლიტიკური პოლიტიკური ნიადაგზე სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირების რისკები.<sup>212</sup>

წინასაარჩევნო კამპანიის განხორციელებაში ხელშეშლის ფაქტები ძირითადად დააფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი კანდიდატების მიმართ. გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები და მათი მხარდამჭერები აქციებს პარტიის ოფისებთან მართავდნენ და მოითხოვდნენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის აკრძალვასა და მისი წარმომადგენლების დასჯას ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი კანონდარღვევების გამო.<sup>213</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განმარტებით, რიც შემთხვევებში, მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრების ჩატარებას „ქართული ოცნების“ აქტივისტები და მხარდამჭერები ცდილობდნენ.<sup>214</sup>

აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის ფაქტებმა იმატა. მმართველმა პარტიამ – „ქართულმა ოცნებამ“ – მშვიდობიან გარემოში არჩევნების ჩატარებისა და ძალადობის პრევენციის მიზნით, მემორანდუმის ტექსტი შეიმუშავა და 2016 წლის 23 სექტემბერს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ გაერთიანებებს მასზე ხელმოწერა შესთავაზა. მემორანდუმზე ხელმომწერი პარტიები ვალდებულებას იღებდნენ, რომ უზრუნველყოფნენ საკუთარი აქტივისტების დისტანციებას სხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ ან მის მხარდასაჭერად გამართული აქციისგან, შეხვედრებისა ან სხვა მსგავსი სახის ღონისძიებისგან და არ დაუშვებდნენ აქტივისტების მხრიდან სხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ გამართული ღონისძიების ხელშეშლას. პოლიტიკური პარტიების გარკვეულმა ნაწილმა მემორანდუმი მოიწონა და მის ხელმოწერაზე თანხმობა განაცხადა, ნაწილმა კი, სკეპტიკურად შეაფასა მმართველი პარტიის ინიციატივა და ხელმოწერაზე უარი თქვა.<sup>215</sup>

რაც შეეხება უსაფრთხოებას, პოლიცია ესწრებოდა წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებს და კანონდარღვევებზე რეაგირებასაც ახდენდა. მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, იყენებდა ადმინისტრაციული წესით დაკავებას კანონდამრღვევთა მიმართ.<sup>216</sup> პოლიციელთა სრული მზადყოფნა და მობილიზება დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქციაზე 5 ოქტომბერს თბილისში, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

<sup>208</sup> <https://personaldata.ge/ge/personalur-monatsemta-datsvis-inspektori-tsinsaarchechnod-mosakhleobas-afrtkhilebs/665>

<sup>209</sup> <https://gyla.ge/ge/post/khelsheshla-tsinsaarchechno-kampaniis-gankhorcielebashi-da-dzaladobis-faqtebi>

<sup>210</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში - ზუგდიდში და „ეროვნული ფორუმის“ რაიონულ ღოისში - თბილისში. ჩვენი ინფორმაციით, გამოიძება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის საფუძველზე დაწყო, რაც სხვისა ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

<sup>211</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-tsinsaarchechno-kampaniashi-agitaciashi-savaraudo-khelsheshlisa-da-dzaladobis-faqtebs-ekhmaureba>

<sup>212</sup> <https://gyla.ge/ge/post/sazogadoebrivi-organizaciebi-politikuri-partiebis-mier-kontraqciebisgan-tavis-shekavebis-sakitkhs-ekhmaurebian>

<sup>213</sup> აქციებს, ძირითადად, პოლიტიკური გერმანიაში, „შვეიცარიაში“ და მისი მხარდამჭერები მართავდნენ.

<sup>214</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლელთა განმარტებით, ზუგდიდში მოსახლეობასთან სანდრა რულოვსის წინასაარჩევნო შეხვედრის ჩატარას ბეჭა თოდეუ - „ქართული ოცნების“ აქტივისტი და მხარდამჭერები - ბერდას კუკავა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი), თენგო აბულაძე, გიორგი ჭითანავა, ლევან დავითაძე და ვაჟა ღურეშვილი ცდილობდნენ.

<sup>215</sup> რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, პატრიოტთა ალიანსი და ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა.

<sup>216</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პატრა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის, ეროვნული ფორუმი, ლეიბორისტული პარტია.

<sup>217</sup> პოლიციამ ბათუმში, წესრიგის დარღვევის გამო, ხულიგნობის საფუძველით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) დააკავა პოლიტიკური გერმანება „ჩვენი სამშობლოს“ წერი. სასამართლომ მას ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 100 ლარის ოდენობით შეუფარდა.

ალსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 2 ბრძანება გამოსცა,<sup>218</sup> რომლებიც არჩევნების თავისუფალ, მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფას, ასევე, სამართალდარღვევების პრევენციასა და მათზე დროულ რეაგირებას ისახავდა მიზნად. ამის მიუხედავად, კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლიციამ სათანადო ვერ შეძლო სამართალდარღვევების პრევენცია და მათი დროული აღკვეთა, რისი მაგალითიც იყო მარნეულსა და ზუგდიდში განვითარებული მოვლენები.

## სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების ცალკეულ შემთხვევებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან.<sup>219</sup> საის მონიტორებისთვის ცნობილი გახდა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების 21-მდე ფაქტის შესახებ. საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ, ძირითადად, გათავისუფლების საფუძველი იყო შიდა აუდიტის დასკვნები, გათავისუფლებულ პირთა მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო, თუმცა, თავად ეს პირები მათ გათავისუფლებას პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას უკავშირებდნენ.<sup>220</sup>

სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებიდან განსაკუთრებით საინტერესო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ მიმდინარე მოვლენები.

2016 წლის ნოემბრში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ატესტაცია და მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, სამსახურიდან გათავისუფლდნენ ინგირის, ჩხოუშის, კოკის, შამგონას, დავითიანის, ყულიშეკარისა და აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები, ასევე, ერთგნეთის ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტი. გათავისუფლებულმა 8 პირმა სამართლებრივი დახმარებისთვის საის მომართა.<sup>221</sup> მათი განმარტებით, კომისიის გადაწყვეტილებას არაფერი ჰქონდა საერთო კანონიერება-სა და ობიექტურობასთან. ისინი აცხადებდნენ, რომ სამსახურიდან ატესტაციის პროცესზე ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგების მოტივით გათავისუფლეს, თუმცა, რეალურად, მათ გათავისუფლებას საფუძვლად პოლიტიკური მოტივი ედო, ვინაიდან მშართველმა პარტიამ – „ქართული მცნებამ“ და მის მიერ ნარდებილმა მაურიტარმა კანდიდატებმა ერგებში, დავითიანში, ყულიშეკარში, ინგირში, ჩხოუში და შამგონაში საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური წააგეს. ისინი განმარტავდნენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მათზე ხორციელდებოდა ზენოლა „ქართული მცნების“ წარმომადგენლების მხრიდან. არაერთხელ მოსთხოვეს ამომრჩეველთა მობილიზება და „ქართული მცნების“ მხარდასაჭერ კამპანიაში აქტიური ჩართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ. აღნიშნული პირების განცხადებით, მათ არ აღასრულეს „ქართული მცნების“ წარმომადგენლების უკანონო ბრძანებები პირველ ტურზე, რის შედეგადაც ისინი სამსახურიდან გათავისუფლეს.

საის ასევე მიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგების ადგილობრივი შემოსავლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კახა კვარაცხელიამ. საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მის მიერ ნაჩვენები შედეგი მიიჩნია არადამაკმაყოფილებლად, კვალიფიკაცია კი – დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამოდ, რის შემდეგაც, 2016 წლის დეკემბერში, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლეს. კახა კვარაცხელიას განცხადებით, მისი გათავისუფლება წარმომადგენდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ამ თანამდებობაზე გამგეობის ხელმძღვანელები მმართველ პოლიტიკურ პარტიისთან ასოცირებულ პიროვნებას მოიაზრებდნენ.

აღსანიშნავია, რომ საიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომებზე დასწრება მოითხოვა, თუმცა, უარი უკანონოდ მიიღო. საიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის უკანონო გადაწყვეტილებები სასამართლოში გაასაჩივრა. ორგანიზაცია გათავისუფლებულ პირთა ინტერესებს სასამართლოში იცავს.

<sup>218</sup> ბრძანება 08.09.2016 #512 და ბრძანება 19.10.2016 #584; <http://info.police.ge/images/pdf/brdzaneba>

<sup>219</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinsaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>220</sup> <https://gyla.ge/ge/post/savaraudod-politikuri-nishniti-samsakhuridan-gatavisuflebis-faqtebi>

<sup>221</sup> გამგებლის წარმომადგენლებმა – ემზარ გულორდაგამ, გურამ ჯიჯელავამ, თენგიზ ჯიჭინაიამ, გოჩა შენგელიამ, მიხეილ ქვარაიამ, ვახტანგ კუტალიამ, ალიოშა ალანიამ და სპეციალისტმა – ფრიდონ ბულიამ.

## IX. არჩევნების დღე

### პირველი ტური

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დღეს საია თბილისისა და 9 რეგიონის 61 საარჩევნო ოლქში 500-მდე დამკავირვებლით აკვირდებოდა.

ხმის მიცემის პროცესი, შეიძლება ითქვას, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა, რიგ უბნებზე დაფიქსირდა არსებითი ხასიათის დარღვევები. ხმის მიცემის პროცესისგან განსხვავებით, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების ეტაპი, არაერთ შემთხვევაში, ძირითადად უბნის გარე პერიმეტრზე, უხეში დარღვევების ფონზე ნარიმართა, რაც გამოიხატებოდა ძალადობრივ ქმედებები. დაფიქსირდა უბნებზე ქერქის ფაქტებიც. აღნიშნულმა გავლენა მოახდინა კონკრეტულ უბნებზე არჩევნების შედეგებზე და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კენჭისყრის დღის საერთო სურათს.

ამომრჩეველს, ძირითადად, ჰქონდა ნების თავისუფლად გამოვლენის შესაძლებლობა, თუმცა, კვლავ გაგრძელდა ამომრჩევლის ნებაზე არაპირდაპირი კონტროლის მცდელობები, რაც გამოიხატებოდა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების აქტივისტების მიერ ამომრჩეველთა აღრიცხვაში. აღსანიშნავია, რომ არაერთი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდნენ გაურკვეველი სტატუსის მქონე პირები. ხმის მიცემის პროცესისგან განსხვავებით, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების ეტაპი, რიგ შემთხვევებში, უხეში დარღვევების ფონზე წარიმართა, საიას დამკავირვებლების მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ ცალკეულ საარჩევნო უბნებზე ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ქმედებებს, ფიზიკურ და სიტყვიერ დაპირისპირებას საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერებსა და აქტივისტებს შორის, საარჩევნო უბნებისა და დოკუმენტაციის დაზიანებას, ზეწოლას დამკავირვებლებზე, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის სადამკავირვებლო ორგანიზაციის 2 წარმომადგენლის ფიზიკურ შეურაცხყოფას.

მაგალითად, საარჩევნო უბნის დაბრევა მოხდა ზუგდიდის №108 უბანზე, სადაც საფრთხე შეექმნა უბანზე მყოფ პირებს, მათ შორის, საიას დამკავირვებლებს. ზუგდიდის №79 უბანზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საერთაშორისო სადამკავირვებლო ორგანიზაციის – ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის 2 წარმომადგენლელს, რომლებიც ცდილობდნენ, ინციდენტი ტელეფონით გადაელოთ.

განსაკუთრებით უხეში დარღვევები დაფიქსირდა მარნეულის №48 უბანზე, სადაც ჩაიშალა ხმის მიცემა, ადგილი ჰქონდა ძალადობას, საარჩევნო უბნის შუშების ქვებით ჩამსხვრევას და დამკავირვებლთა დამინებას. ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა.

ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი ასევე ქუთაისის №90 უბნის გარე პერიტრზე.

ვრცელდებოდა არაერთი ინფორმაცია უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დაძაბულობებისა და დაპირისპირებების შესახებ.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყო პოლიცია შესაძლო დარღვევების პრევენციის მიზნით, ძირითადად, თბილისა და სხვა დიდ ქალაქებში. თუმცა, ჯიხაშვარის და მარნეულის მაგალითზე ნათელი გახდა, რომ პოლიცია არ იყო სათანადო რაოდენობით წარმოდგენილი იქ, სადაც რეალური საფრთხე შეექმნა კენჭისყრის შენობაში და მის გარეთ მყოფი პირების უსაფრთხოებას. მარნეულში ასევე დაფიქსირდა პოლიციის მხრიდან არასათანადო რეაგირების შემთხვევა, როდესაც საიას დამკავირვებელს ხელს უმლიდნენ მთანმინდის 24-ე უბანზე შესვლაში.

ცესკომ პირველადი შედეგები მხოლოდ ღამის 01:40 საათისთვის გამოაცხადა, თუმცა, არ განუხორციელებია კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც საუბრობ საარჩევნო კომისიებიდან შემოსული შემაჯამებელი ოქმების დაუყოვნებლივ ატვირთვას გულისხმობს (საარჩევნო კოდექსის 76.8 მუხლი).

აღსანიშნავია, რომ საიას ჩარევის შემდეგ, სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის უშუალო მითითების შედეგად, ყურნალისტებს მიეცათ ფოტოვიდეოგადაღების უფლება გამონაკლის შემთხვევაში საპატიმრო დაწესებულებაში შექმნილ უბანზე ქუთაისის სასჯელალსრულების დაწესებულებაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინა პერიოდების არჩევნებისგან განსხვავებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შემცირებული იყო სპეციალური უბნების რაოდენობა, რაც განაპირობა ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელთა ადვოკატირებაშიც საიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. თუმცა, ამის მიუხედავად, არჩევნებზე კიდევ ერთხელ გამოვლინდა მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს სისტემურ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს, მათ შორის: საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომისაზე ქმედებების წესის კუთხით რეფორმის გატარების აუცილებლობა, <sup>222</sup> საარჩევნო კომისიის წევრების კვალიფიკაციის დონის ამა-

<sup>222</sup> რაც შერეული წესით საარჩევნო კომისიების დაკომისაზე ქმედებების წარმოდგენით და წარტიების მიერ დანიშნული, პროფესიული წესით საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევას გულისხმობს.

ღლება, საუბრო და საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციების წევრების შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების გადახედვა-დახვენა, უბნის მიმდებარე ტერიტორიის ცნების განსაზღვრა და სხვა.

კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნებზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების არასათანადო ქცევის არაერთი ფაქტი დააფიქსირეს. სადამკვირვებლო ორგანიზაციების წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ეთიკის ნორმების დარღვევას და არასათანადო ქცევას, რაც ფაქტობრივად სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარჩევაში გამოიხატებოდა. საიამ მოუწოდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარჩევაში გამოიხატებოდა კანონის მიზნებული უფლება, პრეტენზიები გამოეტქვა საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობასთან დაკავშირებით და, თავის შერიც, საარჩევნო ადმინისტრაციის ჰქონდა ვალდებულება, განეხილა დამკვირვებლის შენიშვნები და პრეტენზიები, თუმცა, ეს დამკვირვებელს არ აძლევდა იმის უფლებას, რომ ჩარჩევლიყო საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში და ასეთი ჩარჩევით გავლენა მოახდინა მის საქმიანობაზე.

კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლებმა 154 საჩივარი დაწერეს და 123 შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში.

კენჭისყრის დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ისეთი დარღვევები, როგორიცაა:

- წილისყრის პროცედურების დარღვევები პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული წევრების მხრიდან, როდესაც ისინი სავარაუდოდ მიზანმიმართულად უარს აცხადებდნენ, გაჰყოლოდნენ გადასატან ყუთს (მთაბმინდის №20, №16 და №26 უბნები, ჩუღურეთის №14 და №32 უბნები, დიდუბის №38, ნაძალადევის №51, თელავის №2, №1, №10, №12, №7, №4 უბნები);
- რამდენიმე სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლის არასათანადო ქცევა საარჩევნო უბნებზე, საარჩევნო კომისიების საქმიანობის მართვის მცდელობა (ნაძალადევის №26, დიდუბის №11).
- ფიზიკური ანგარიშსნორების 1 ფაქტი – საარჩევნო სუბიექტის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“) 2 წარმომადგენლის ფიზიკური ანგარიშსნორების ფაქტი საბურთალოს №48 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- საიას დამკვირვებლების მისამართით სიტყვიერი შეურაცხყოფა/მუქარა (თელავის №45 უბანზე);
- საჩივრის დარეგისტრირებაზე უარის თქმა (ზუგდიდის №93 უბანი);
- ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტი (სენაკის №10 უბანი);
- არაუფლებამოსილ პირთა ყოფნის ფაქტი უბნის გარე პერიმეტრზე (სამგორის, ნაძალადევის, დიდუბის, თელავის და ლაგოდეხის უბნებზე);
- შემაჯამებელ ოქმზე ნინასნარ ხელმოწერების გაკეთება (დიდუბის №14 უბანი);
- ამომრჩევლის მონაცემების მოგროვება მისი თანხმობის გარეშე (ნაძალადევის №18);
- წილისყრის ფუნქციის თვითნებურად გადანაწილება (ჩუღურეთის №39);
- ყუთის გახსნის საკონტროლო ფურცლების არშედარება (გორის №101 უბანი).

### განმეორებითი არჩევნები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების განმეორებით კენჭისყრას ორი საარჩევნო ოლქის (ზუგდიდისა და მარნეულის) ოთხ საარჩევნო უბანზე დააკვირდა: №36.22.48 საარჩევნო უბანზე (მარნეულში), ასევე, №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე (ზუგდიდში). ამასთან, ზუგდიდის ოლქში გაიმართა როგორც პარლამენტის მაურიტარული, ისე გამგებლის არჩევნები.

განმეორებით არჩევნებზე კენჭისყრის პროცესი, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებულნი იყვნენ შსს-ს წარმომადგენლები. 8 ოქტომბრის გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული ზომების გატარება პრევენციული მიზნით გორივრული იყო.

როგორც მარნეულში, ასევე ზუგდიდის საარჩევნო უბნებზე იმყოფებოდნენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, რომელებიც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს მუშაობაში ეხმარებოდნენ, აძლევდნენ მითითებებს და ცდილობდნენ, საარჩევნო პროცედურები კანონის მოთხოვნების დაცვით წარმართულიყო. ასევე, ადგილზე იმყოფებოდნენ პარტიების ლიდერები, რათა შემდგომ გართულებებს ადგილი არ ჰქონდა.

2016 წლის 8 ოქტომბრის კენჭისყრის დღისგან განსხვავებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საარჩევნო უბანზე დანიშნულმა კომისიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გადასატანი ყუთის გამყოლი კომისიის წევრის ფუნქციის გამოსავლენად ჩატარებულ წილისყრაში, ასევე, წილისყრით ამ ფუნქციის გამოვლენისას, გაჰყვნენ გადასატან ყუთებს.

კენჭისყრის დღის განმავლობაში დაფიქსირდა ისეთი დარღვევები, როგორიცაა:

- სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტი დამკვირვებლებს შორის (ზუგდიდის №108 უბანი);
- არაუფლებამოსილ პირთა ყოფნა უპნის გარე პერიმეტრზე (ზუგდიდის №79 და №108 უბანები);
- ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა (ზუგდიდის №38 უბანი);
- აღნიშნულ დარღვევებზე საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს და 3 შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში მარნეულის საარჩევნო უბანზე.

## X. მეორე ტური

### ნინასაარჩევნო პერიოდი

მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე ვრცელდებოდა ინფორმაცია თანამდებობის პირთა მხრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული თანამშრომლების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ზენოლის თაობაზე, რათა მათ კენჭისყრის დღეს არჩევნი განსხვავებული ფორმით გაეკეთებინათ. აგრეთვე, ამავე პერიოდში აქტუალური გახდა სახელმწიფო და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან არასათანადო რეაგირების საკითხი არჩევნების პირველ ტურზე დაფიქსირებულ დარღვევებთან მიმართებით, მათ შორის, დამკვირვებელთა მიმართ განხორციელებული ზენოლის ფაქტებთან დაკავშირებით.

ვინაიდან 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე 50 მაჟორიტარულ ოლქში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად საუკეთესო კანდიდატები ვერ გამოვლინდნენ,<sup>223</sup> ცესკომ 2016 წლის 30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტური დანიშნა. მეორე ტურში მონაწილეობის მიღების უფლება ორ კანდიდატს მიენიჭა, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ პირველ ტურში გამარჯვებულმა ორმა კანდიდატმა უარი განცხადა მეორე ტურში მონაწილეობაზე. საუბარია ოპოზიციური პარტიების კანდიდატებზე: გორში – ირაკლი ალასანია „თავისუფალი დემოკრატები“ და ზუგდიდში – სანდრა რულოვსი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.“ ცესკოს განმარტებით, საარჩევნო კანონმდებლობა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა, ვინაიდან, არჩევნებში მონაწილეობის სურვილის არქონის მიუხედავად, ორივე კანდიდატი მეორე ტურში საარჩევნო ბიულეტენში მითითებული იქნებოდა.<sup>224</sup>

არჩევნების მეორე ტურის ნინასაარჩევნო პერიოდში ახალციხეში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი ხელშეშლასა და ზენოლაზე საუბრობდა, რომელშიც, მისი განცხადებით, სამცხე-ჯავახეთის გუბერნაციონური მონაწილეობდა.<sup>225</sup>

ნინასაარჩევნო პერიოდში საიას მონიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილის-სა და რეგიონებში საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს, მათ შორის, საბავშვო ბალის აღმზრდელებს, სკოლების პედაგოგებსა და საჯარო მოხელეებს სავარაუდოდ მიცემული ჰქონდათ მითითება ხელმძღვანელი პირებისგან, რომ 30 ოქტომბერს კენჭისყრის დღეს მათ არჩევანი განსხვავებული ფორმით გაეკეთებინათ.<sup>226</sup> აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, საიამ განცხადება გააკეთა და განმარტა, რომ ამომრჩევლისთვის რაიმე მითითების მიცემა, განსხვავებული ფორმით დაეფიქსირებინათ თავიანთი არჩევანი ბიულეტენზე და მოეხდინა ამ ფაქტის ფორმოგადაღება, იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა.<sup>227</sup> პირებს, რომლებიც შეიძლება დაქვემდებარებოდნენ რაიმე სახის ზენოლას, საიამ სამართლებრივი დახმარება შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურმა გაერთიანება „ქართულმა ოცნებამ“ უარყო მსგავსი მითითების გაცემა.

ნინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგის საგანი გახდა სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების რე-

<sup>223</sup> პირველ ტურში 50 მაჟორიტარულ ოლქში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში ვერცერთმა კანდიდატმა არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლის 50%-ზე მეტის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

<sup>224</sup> აღსანიშნავია, რომ საიამ და რადენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით ცესკოსგან განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირეს. კერძოდ, ჩვენი მოსაზრებით, სურვილის არარსებობის პირობებში, კანდიდატებს უფლება უნდა ჰქონოდათ, აღარ მიეღოთ მონაწილეობა მეორე ტურში. ამ გარემოების მხედველობაში მიღების ფონზე, მეორე ტურში მონაწილეობა უნდა მიეღოთ პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 სხვა კანდიდატს (მეორე და მესამე ადგილებზე გასულებს).

<sup>225</sup> დეტალური ინფორმაცია იხ. მუქარისა და ფიზიკური ანგარიშსწორების თავში.

<sup>226</sup> იხ. დეტალური ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თავში.

<sup>227</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-amomrchevlis-nebaze-savaraudo-kontrolis-faqts-ekhmianeba>; საიამ მოუწოდა ამომრჩეველს, რომ თუკი მომვალში ადგილი ექნებოდა იძულებას ან სხვა ნებისმიერი ფორმით ზეწილას მათი ნების გამოხატვაზე, მიემართათ ორგანიზაციისთვის თბილისსა და რეგიონულ ოფისებში.

აგირება პირველ ტურზე მომხდარ დარღვევებზე, განსაკუთრებით, ზუგდიდისა (№108 და №79) და მარნეულის (№48) საარჩევნო უბნებზე მომხდარ დარღვევებზე რეაგირების კუთხით,<sup>228</sup> ასევე, დამკვირვებლების მიმართ პირველ ტურზე დაფიქსირებული ზეწოლისა და ძალადობის ფაქტებზე, როდესაც დამკვირვებლებს ხელს უშლიდნენ მათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში.

ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა პრესკონფერენცია გამართეს და 8 ოქტომბერს არჩევნების მიმდინარებისას დამკვირვებელთა ხელშეშლისა და მათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე რეაგირება მოითხოვეს.<sup>229</sup>

საუბარია დაუდგენელი პირების მიერ ზუგდიდის №79 საარჩევნო უბნის დარბევის დროს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის – „ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის“ წარმომადგენლების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე, რომლებიც ცდილობდნენ, ტელეფონით გადაეღოთ ინციდენტი.<sup>230</sup> ზუგდიდის №79 და №108 უბნებზე პოლიციამ ვერ განახორციელა სათანა-დო რეაგირება და დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზება მხოლოდ მოგვიანებით მოხდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები ზუგდიდის №108 და მთავმინდის №24 საარჩევნო უბნებზე. ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების დროს უბნის დარბევისას, ზუგდიდის №108 უბანზე საფრთხე შეექმნა უბანზე მყოფ პირებს, მათ შორის, საიას დამკვირვებელს. საიას დამკვირვებელს ხელი შეუშალეს მთავმინდის №24 უბანზეც, როდესაც მას შიგნით არ უშვებდნენ და უბნის კომისიის წევრები, ასევე, უბნის გარე პერიმეტრზე შყოფი დაუდგენელი სტაციუსის მქონე პირები აიძულებდნენ, დაეტოვებინა უბნის მიმდებარე ტერიტორია. მიუხედავად იმისა, რომ საიას დამკვირვებელმა პოლიცია გამოიძახა, ადგილზე მისული სამართალდამკველები, იმის ნაცვლად, რომ დამკვირვებელი დაეცვათ, შეეცადნენ, მისთვის ხელი შეეშალათ და უბნის გარე პერიმეტრიდან გამოიყვანათ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი მარნეულის №35 საარჩევნო ოლქში, ქემალის №37 საარჩევნო უბანზე. დამკვირვებლის განცხადებით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და თავმჯდომარის მოადგილემ მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.<sup>231</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე დაინყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე,<sup>232</sup> დაიკითხენებ მოწმები და ჩატარდა სხეულზე არსებული დაზიანებების ექსპერტიზა, გამოძიებამ დამკვირვებელს არ მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი. საქმე შეწყდა, ხოლო ცესკომ ქემალის №37 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიმართ პასუხისმგებლობა არ დაადგინა, ვინაიდან საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა.

პირველ ტურსა და განმეორებით არჩევნებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და პრობლემების საფუძველზე, საიამ რეკომენდაციით მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას, საარჩევნო სუბიექტებს, სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასამართლო ხელისუფლებას და, მეორე ტურის უფრო მაღალი ხარისხით და უკეთეს გარემოში ჩატარების მიზნით, აუცილებელი და გონივრული ზომების გატარებისკენ მოუწოდა.

## კენჭისყრის დღე

პირველი ტურისგან განსხვავებით, კენჭისყრის დღე უკეთესად ორგანიზებული და ადმინისტრირებული იყო. ძირითადი ხარვეზები გამოვლინდა მარკირებასთან დაკავშირებით. ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია ამომრჩევლის ნებაზე სავარაუდო კონტროლის განხორციელების შესახებ.

50 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, სადაც მეორე ტური გაიმართა, 49 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატები მონაცილებდნენ, ხოლო 44 მაჟორიტარულ ოლქში ერთ-მანეთს „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები დაუბირისპირდნენ.

მეორე ტურის კენჭისყრის დღეს საია თბილისა და 9 რეგიონში 400-მდე დამკვირვებლის მეშვეობით აკვირდებოდა. სტატიკური დამკვირვებლები განთავსებულნი იყვნენ საქართველოს მასშტაბით 300

<sup>228</sup> გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დააკავეს მარნეულის ინციდენტში სავარაუდო მონაწილე 6 პირი, რომელთაც სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა, ხოლო ზუგდიდში 2 საარჩევნო უბანზე (#108 და #79) მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით მხოლოდ 2 პირი იყო დაკავებული. მათ შორის, ერთ პირს - პატიმრობა და მეორეს - გირაო შეუფარდა სასამართლომ.

<sup>229</sup> საია, ადამიანის უფლებათა ცენტრი, საზოგადოებრივი დამცველი, „მრავალეროვანი საქართველო“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი.

<sup>230</sup> დამკვირვებელთა ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავს.

<sup>231</sup> ინციდენტი გადაიღო საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებელმა, სადაც ჩანს, თუ როგორ უყვირის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე საამედ გაჯიევი ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს და უხეშად ხელითაც ეხება.

<sup>232</sup> კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

საარჩევნო უბანზე. 45 მაჟორიტარულ ოლქში მოძრაობდნენ მობილური ჯგუფები.

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამომრჩეველმა ნება ძირითადად თავისუფლად გამოხატა.

პირველი ტურის კენჭისყრის დღისგან განსხვავებით, მეორე ტურზე არ დაფიქსირებულა ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესის მნიშვნელოვანი ხარვეზები (მაგალითად, შემაჯამებელი ოქმების შევსების პროცედურის დარღვევები). თუმცა, ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ პირველი ტურის მსგავსად, მეორე ტურზე კვლავ გაგრძელდა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც უბნის მიმდებარე პერიმეტრზე მობილიზებულნი იყვნენ კანდიდატების კოორდინატორები და აქტივისტები და აღრიცხავდნენ უბანზე მისულ ამომრჩეველს, ცალკეულ შემთხვევებში – მათ მიერ დაფიქსირებულ არჩევანსაც, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც ირიბი კონტროლი/კონტროლის მცდელობა ამომრჩევლის ნებაზე.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ არჩევნების პირველი ტურისგან განსხვავებით, მეორე ტურის კენჭისყრის დღეს ძალადობას უპნების გარე პერიმეტრზე ან უბნების დარბევის შემთხვევებს, ადგილი არ ჰქონია. მშვიდი და არაძალადობრივი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სამართალდამცავი ორგანოების მობილიზებული მოქმედებები. ასევე უნდა ალინიშნოს საარჩევნო სუბიექტების წვლილიც დაძაბულობისა და ძალადობრივი ინციდენტების პრევენციის კუთხით. თუმცა, ამის მიუხედავად, პრობლემური იყო მარკირებაგავლილ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის ან მონაწილეობის მცდელობის ფაქტები,<sup>233</sup> ასევე, ინფორმაცია ამომრჩევლის ნებაზე სავარაუდო კონტროლის თაობაზე.<sup>234</sup>

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ცალკეულმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა გაავრცელეს ინფორმაცია საბიუჯეტო დანესტებულებებში დასაქმებული პირების სავარაუდო იძულების შესახებ, რაც საიას მონიტორების მიერ გადამონმებების შემდეგ დადასტურდა.<sup>235</sup> კერძოდ, საიას მონიტორების ინფორმაციით, თბილისა და რეგიონებში საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების თანამშრომლებს ზემდგომი თანამდებობის პირები მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას ავალდებულებდნენ, ასევე, ავალებდნენ ე.წ. „მხარდაჭერი პირების სიის“ შედგენას.<sup>236</sup> აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულებს, ასევე პოტენციურ „მხარდაჭერებს“ მეორე ტურზე კენჭისყრის დღეს არჩევანი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ უნდა გაეკეთებინათ, ხოლო აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი საჯარო დაწესებულებების შესაბამის თანამდებობის პირებთან უნდა წარედგინათ. საიას მონიტორების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, მეორე ტურებზე საჯარო სამსახურებსა თუ საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ ა(ა)პებში დასაქმებულ პირებსა და პოტენციურ „მხარდაჭერებს“ არჩევანი განსხვავებული ფორმით (მაგალითად, ოთხეუთხედის ან სამუჟუთხედის) ფორმით უნდა დაეფიქსირებინათ. საიამ აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განცხადებები გაავრცელა და ასეთი ფაქტების სავარაუდო არსებობის პრაქტიკა დაგმო.<sup>237</sup> აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურმა გაერთიანება „ქართულმა ოცნებამ“ განცხადება გაავრცელა და ამ სახის მოვლენებთან შემსხებლობა გამორიცხავს.<sup>238</sup>

საიას დამკვირვებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესს. იმ უბნებზე, სადაც 30 ოქტომბერს საიას დამკვირვებლები იყვნენ წარმოდგენილნი (300-მდე უბანი), განსხვავებული ფორმით არჩევანის გაკეთების 80-მდე შემთხვევა დაფიქსირდა (ოთხეუთხედი ან სამუჟუთხედი ფორმით შევსება), ასევე, გამოვლინდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის 40-მდე შემთხვევა.<sup>239</sup> აღნიშნული შესაძლოა აჩენდეს კითხვებს, ცალკეულ შემთხვევებში, ამომრჩევლის ნების კონტროლისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თაობაზე.

განსხვავებული ფორმით არჩევანის გაკეთების 3 შემთხვევა დაფიქსირდა ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ (სამგორის ალქში №92, №97, №108 უბნებზე), ხოლო დანარჩენი შემთხვევებში – „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.<sup>240</sup>

<sup>233</sup> დაფიქსირდა მარკირებაგავლილი ამომრჩევლის მიერ არჩევნებში მონაწილეობის 5 და მონაწილეობის მცდელობის 70-მდე ფაქტი.

<sup>234</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-amomrchevlis-nebaze-savaraudo-kontrolis-faqts-ekhmianebe>; საუბარია სავარაუდო დუკანონ მთითების გაცემაზე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მიმართ, რაც გულისხმობდა განსხვავებული ფორმით არჩევანის გაკეთების შეტყობინებულ ტურზე. საიამ მუქობები ამომრჩევების, რომ თუუ მომავალში ადგილი ექნებოდა იძულებას ან სხვა ნებისმიერი ფორმით ზეტყობინების მათ ნების გამოხატვაზე, მიერათათ ორგანიზაციისთვის თბილისა და რეგიონულ ფილტრში.

<sup>235</sup> მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად გარკვეულად პირებმა საიას მონიტორებთან დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია, საკუთარი ვინაობის საჯაროდ დასახელებაზე უარი განაცხადეს.

<sup>236</sup> მაგალითად, სამეგრელოსა და კახეთიში.

<sup>237</sup> <https://gyla.ge/ge/post/tsinasaarchevnod-gamokvetili-darghvevebi-da-tendenciebi>

<sup>238</sup> <https://gyla.ge/ge/post/2016-tslis-8-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba>

<sup>239</sup> ზუგდიდის 72-ე უბანზე - 30-ზე მეტ კონვერტში და ზუგდიდის 65.67.80 უბანზე - 8 კონვერტში მოთავსებული იყო ამომრჩევლის ბარათ; გლდანის 20.10.23 უბაზე 2 ცალ ბიულეტენზე იყო ამომრჩეველის ხელმიწერა.

<sup>240</sup> სამგორის #97 უბანი (5 ბიულეტენი), სამგორის #92 უბანი (2 ბიულეტენი), სამგორის #53 უბანი (3 ბიულეტენი), სამგორის #37 უბანი (10 ბიულეტენი), სამგორის #38 უბანი (4 ბიულეტენი), სამგორის #58 უბანი (1 ბიულეტენი), სამგორის #101 უბანი (2 ბიულეტენი), ისნის #53 უბანი (4 ბიულეტენი), ისნის #77 უბანი (1 ბიულეტენი), გლდანის #20.10.07 უბანი (4 ბიულეტენი), გლდანის #20.10.08 უბანი (6 ბიულეტენი), დიდუბაზე #14 უბანი (2 ბიულეტენი), გლდანის #20.10.23 (16 ბიულეტენი), ნაბალადვევის #49 უბანი (1 ბიულეტენი), რუსთავის #37 უბანი (8 ბიულეტენი), ზუგდიდის #72 უბანი (1 ბიულეტენი).

ალსანიშნავია, რომ დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა კვლავ აქტუალური პრობლემა იყო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღესაც. მაგალითად, თელავის №13 უბანზე აგრესიულად ექცეოდნენ საიას დამკვირვებელს, რომელსაც არ მისცეს შესაძლებლობა, გასცნობოდა ჩანაწერთა წიგნში შეტანილ მონაცემებს. საუბრო კომისიის წევრებმა უბნიდან გამოაძევეს საიას დამკვირვებელი იმ არგუმენტით, რომ ის „ზედმეტად აქტიურობდა.“ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არ დააკეთობილა საიას საჩივარი კომისიის წევრების მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე, მათი მხრიდან დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვის ფაქტთან დაკავშირებით.<sup>241</sup> გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომისიის თავმჯდომარე მხოლოდ საუბრო საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს დაეყრდნო და არ გაიზიარა საიას მტკიცებულებები, მათ შორის, ვიდეოჩანანერო, საიდანაც ირკვეოდა, რომ რეალურად ადგილი ჰქონდა კომისიის წევრების მხრიდან საიას დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვას.

საიას დამკვირვებლებმა დაწერეს 75 საჩივარი და 59 შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში. მათ შორის, ადგილი ჰქონდა ისეთ დარღვევებს, როგორიცაა:

- დამკვირვებელთა მიმართ მუქარისა და ხელშეშლის/უფლებების შეზღუდვის ფაქტები (5 ფაქტი);
- მარკირებაგავლილი ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემის (5 ფაქტი) და ხმის მიცემის მცდელობის შემთხვევები (70-მდე ფაქტი);
- ბიულეტენთან ერთად სარეგისტრაციო ბარათის კონვერტში მოთავსების 40-მდე ფაქტი (მაგალითად, ზუგდიდის 72-ე უბანზე 30-ზე მეტ კონვერტში და ზუგდიდის №65.67.80 უბანზე 8 ამომრჩევლის ბარათი კონვერტებში იყო მოთავსებული და ამომრჩევლის იდენტიფიცირებას შესაძლებელს ხდიდა. აგრეთვე გლდანის №20.10.23 უბანზე 2 ცალ ბიულეტენზე იყო ამომრჩევლის ხელმოწერა);
- ფიზიკური შეურაცხებულის 1 ფაქტი (გორში);
- მედიის წარმომადგენლებისთვის ხელის შეშლის 1 ფაქტი (ბათუმში);
- გადასატან ყუთთან დაკავშირებული პრობლემები (2 ფაქტი);
- დამკვირვებელთა სამკერდე ნიშნების მონაცემების სიზუსტის პრობლემები.

## XI. პრევენცის შემდგომი პრიორიტეტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია **8 იქტომბრის არჩევნების** დღის შემდგომი პერიოდის დაკვირვებას **61** მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქსა და **37** საოლქო საარჩევნო კომისიაში ახორციელებდა. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საია შესაბამისი საჩივრებით საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოს მიმართავდა.

**საარჩევნო დავების საარჩევნო ადმინისტრაციებსა და სასამართლოებში განხილვისას, გამოვლინდა საარჩევნო კანონმდებლობის ჩანაწერების ბუნდოვანება და ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათი,** რაც მისი განმარტებისას ორმაგი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების რისკებს ქმნის.

საჩივრების წარდგენის დროს მთელი რიგ უბნებზე საიამ კენჭისყრის შედეგების გადათვლა,<sup>242</sup> ასევე, ცალკეულ უბნებზე კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა, ვინაიდან აღნიშნულ უბნებზე, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონმდებლობის უხევებრივი გავლენა მოეხდინა კენჭისყრის შედეგებზე.<sup>243</sup> საჩივრების წარდგენის დროს საიამ ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამართალდარღვევის ჩამდენი საარჩევნო კომისიის წევრებისთვის პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხებზე, როგორც დარღვევათა შემდგომი პრევენციის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებაზე.


8 იქტომბრის შემდგომ საიას დამკვირვებლების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში წარდგენილი საჩივრების/სარჩელების სტატისტიკა ასე გამოიყურება:

<sup>241</sup> თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განვარულება 15.11.2016. 02/108.

<sup>242</sup> მაგალითად, კრწანისში, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიამ 4 უბანზე ამომრჩეველთა ხელმოწერები, ხოლო 3 უბანზე კენჭისყრის შედეგები გადათვალი.

<sup>243</sup> ზუგდიდის #38, მარნეულის #48, გორის #101, საბურთალოს #32.

## 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საიას დამკვირვებლების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე წარდგენილი საჩივრები/სარჩელები



აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის საჩივრები ძირითადად ისეთ ფაქტებს შეეხმოდა, როგორიცაა:

- უზუსტობები საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში: დისბალანსი,<sup>244</sup> მონაცემების გადასწორება,<sup>245</sup> სავალდებულო მონაცემების შეუცვებლობა, საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდების არარსებობა, ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების საეჭვო რაოდენობა;<sup>246</sup>
- კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევები;<sup>247</sup>
- დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში დოკუმენტაციის გადაცემასთან/დალუქვასთან დაკავშირებული დარღვევები;
- არაუფლებამოსილი პირების შექრა უბანზე;
- კომისიის წევრების მიერ უფლებამოსილების არასათანადოდ განხორციელება და წილისყრის პროცედურების დარღვევები;
- აგიტაცია საუბნო საარჩევნო კომისიაში და არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე.

პირველი ტურის დროს საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრებიდან, სულ **443** ფაქტთან დაკავშირებით, **4 შემთხვევაში** მოთხოვნილი იყო კენჭისყრის შედეგების ბათილობა, **108 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილობა და კენჭისყრის შედეგების გადათვლა, **417 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობა, **4 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.<sup>248</sup>

<sup>244</sup> შემაჯამებელ ოქმებში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის მეტობა არჩევნებში მონაწილე ამორჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე.

<sup>245</sup> იმავდროულად, საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგენილი არ იყო შესწორების ოქმები.


<sup>246</sup> იმ უბნებზე, სადაც ბათილი ბიულეტენის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (მაგალითად, 40-ზე მეტი), საიამ ბათილი ბიულეტენების გადათვლა მოითხოვა.

<sup>247</sup> დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა, შემაჯამებელ ოქმზე წინასწარ ხელმოწერების გაკეთება, წილისყრის თვითწებურად გადანაწილება, წილისყრის პროცედურის დარღვევა, საკონტროლო ფურცლების არასათანადოდ შევსება, მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.


<sup>248</sup> ხშირ შემთხვევაში, საიას დამკვირვებლები ერთ საჩივრში აფიქსირებდნენ რამდენიმე მოთხოვნას, ამიტომ მოთხოვნების რაოდენობა აღემატება საჩივრების რაოდენობას.

საიას დამკვირვებლების მიერ **443 დარღვევასთან** დაკავშირებით წარდგენილი საჩივრებიდან, **219** მოთხოვნა სრულად და **146** მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი **39** მოთხოვნიდან **2** სრულად და **2** ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოებში წარდგენილი **27** მოთხოვნიდან არცერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.


**2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე  
საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრები  
და დაყენებული მოთხოვნები**



**2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე  
რაიონულ/საქალაქო სასამართლოში წარდგენილი  
სარჩელები და დაყენებული მოთხოვნები  
ჯამში: 39**



2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე  
თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში  
წარდგენილი საჩივრები და დაყენებული მოთხოვნები  
ჯამში: 27



### მოთხოვნების დაკმაყოფილების სტატისტიკა პირველი ტური

■ სრულად დაკმაყოფილდა

■ ხაწილობრივ დაკმაყოფილდა


■ არ დაკმაყოფილდა



რაც შეეხება მეორე ტურს, საიას დამკვირვებლებმა **30** ოქტომბრის მეორე ტურების შემდგომი პერიოდის დაკვირვება **47** მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქსა და **24** საოლქო საარჩევნო კომისიაში განახორციელეს. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ორგანიზაციის დამკვირვებლებმა შესაბამისი საჩივრებით საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოს მიმართეს.

## 2016 წლის 30 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საიას დამკვირვებლების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე წარდგენილი საჩივრები/სარჩელები

- საოლქო საარჩევნო კომისიაში - 79
- საქალაქო/რაიონულ სასამართლოში - 3
- აპელაციაში - 3




მეორე ტურის დროს საოლქო საარჩევნო კომისიებში **79** დარღვევასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრებიდან: **1 შემთხვევაში** მოთხოვნილი იყო გადასატანი ყუთის შედეგების ბათილობა, **2 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, **3 შემთხვევაში** – კენჭისყრის შედეგების გადათვლა, **77 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობა, **1 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.<sup>249</sup>


შედეგად, მეორე ტურის დროს საოლქო საარჩევნო კომისიებში **79 დარღვევასთან დაკავშირებით** წარდგენილი საჩივრებიდან: **35** მოთხოვნა სრულად და **2** მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი **3** მოთხოვნიდან არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო საპელაციო სასამართლოებში წარდგენილი **3** მოთხოვნიდან მხოლოდ 1 მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

<sup>249</sup> სმირ შემთხვევაში, საიას დამკვირვებლები ერთ საჩივარში აფიქსირებდნენ რამდენიმე მოთხოვნას, ამიტომ მოთხოვნების რაოდენობა აღემატება საჩივრების რაოდენობას.


**2016 წლის 30 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე  
საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრები  
და დაყენებული მოთხოვნები**




**2016 წლის 30 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე  
რაიონულ/საქალაქო სასამართლოში წარდგენილი  
სარჩელები და დაყენებული მოთხოვნები  
ჯამში: 3**



2016 წლის 30 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე  
თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში  
წარდგენილი საჩივრები და დაყენებული მოთხოვნები  
ჯამში: 3



### მოთხოვნების დაკმაყოფილების სტატისტიკა მეორე ტური



## XII. გამოვლენილი ტენდენციები

### საუბრო საარჩევნო კომისიები:

- საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიკაციის პრობლემა – კენჭისყრის დღეს, მთელ რიგ შემთხვევებში, საუბრო კომისიის წევრების კვალიფიკაციის დაბალი დონე და საქმისადმი არა-პროფესიული მიდგომა გამოვლინდა;
- ბალანსის გამოყვანის პრობლემა – საუბრო საარჩევნო კომისიის წევრებს ყველაზე მეტად კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსება და ბალანსის გამოყვანა გაუჭირდათ.

### საოლქო საარჩევნო კომისიები:

- საჩივრების დაუკმაყოფილებლობის ტენდენცია – მიუხედავად დარღვევის ხასიათისა, მთელ რიგ შემთხვევებში, საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად არ აკმაყოფილებდა საჩივრებს და ხშირად მხოლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას უფარდებდა კომისიის წევრებს. საარჩევნო კომისიები, საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად, ეყრდნობოდნენ მოსაზრებას, რომ „დარღვევა არ წარმოადგენდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და დარღვევას არ მოუხდენია გაფლენია ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე, კენჭისყრის დღისა და არჩევნების შედეგებზე.“ ამასთან, მიუხედავად დარღვევის ხასიათისა, საოლქო საარჩევნო კომისიები უპირატესობას დისციპლინური პასუხისმგებლობის მსუბუქი ზომების გამოყენებას ანიჭებდნენ და კანონით გათვალისწინებულ უფრო ადეკვატურ ლონისძიებებს არ მიმართავდნენ. მიუხედავად არსებული დარღვევების შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებისა, მსგავს ფაქტებს განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა საუბრო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და კენჭისყრის შედეგების გადათვლის მოთხოვნის ნაწილში.
- პროაქტიულად საჩივრების განხილვის მცირე შემთხვევები – საოლქო კომისიები იშვიათ შემთხვევაში იჩინდნენ ინიციატივას, დაინტერესებულ პირთა საჩივრის არსებობის გარეშეც, პროაქტიულად შეესწავლათ შესაძლო დარღვევები და მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება.
- საარჩევნო კანონმდებლობის ვიწროდ განმარტების ტენდენცია – საოლქო საარჩევნო კომისიები ვიწროდ განმარტავდნენ საარჩევნო კანონმდებლობის ცალკეულ მუხლებს, რათა მაქსიმალურად თავიდან აერიდებინათ საჩივრები. მაგალითად, საოლქო საარჩევნო კომისია არ აკმაყოფილებდა საჩივრებს, რომლებიც შეეხებოდა შემაჯამებელი ოქმებისა თუ მისი ცალკეული მონაცემების სისწორის დადგენას იმ არგუმენტით, რომ მსგავსი ტიპის საჩივრები არ დაწერილა უბნებზე ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების ეტაპზე. აღნიშნულმა გარემოებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების პროცედურის არსებობა.
- ახსნა-განმარტების არასწორი პრაქტიკა – გამოიკვეთა ტენდენცია, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა საუბრო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან მათი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას ან ბრალეულ შეუსრულებლობას, საუბრო საარჩევნო კომისიის წევრები წერდნენ ახსნა-განმარტებებს. ამას ისინი აკეთებდნენ ხშირად საოლქო საარჩევნო კომისიების მითითებით, რითაც ცდილობდნენ, გაემართლებინათ დარღვევები, მათ შორის, უხეში გადაცდომებიც, როგორიცაა, მაგალითად, დისბალანსი საუბრო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებში. საოლქო საარჩევნო კომისიები უდავო და ზოგჯერ ერთადერთ მტკიცებულებად სწორედ ამ ახსნა-განმარტებებს მიიჩნევდნენ. მიგვაჩნია, რომ ახსნა-განმარტების მასობრივად შედგენით ადგილი აქვს ერთგვარი მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას, რაც პრობლემურია არა მხოლოდ პროცესის სამართლიანობის, არამედ, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობისა და იმიჯისათვის.
- ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები – საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით არ ატარებდნენ ადმინისტრაციულ წარმოებას. მაგალითად, არ იპარებდნენ საჩივრის ავტორებს საჩივრის განხილვაზე (ისნის ოლქი), არ ადგენდნენ ოქმებს სხდომის მიმდინარეობისას (კრნანისის ოლქი), არ ასაბუთებდნენ მიღებულ განკარგულებებს (მაგალითად, ვაკის, საბურთალოს, ქუთაისის, სამგორის, ისნის, ჩუღურეთის, ახმეტის ოლქები). საოლქო საარჩევნო კომისიები, ცალკეული შემთხვევების გარდა, არ იყვნენ მოწოდებული, დეტალურად შეესწავლათ საიას მიერ წარდგენილი საჩივრები, განეხორციელებინათ საქმისათვის მზიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა და მტკიცებულებათა ჯეროვანი შესწავლა/შეფასება.

### ცენტრალური საარჩევნო კომისია:

- 8 ოქტომბერს ცესკომ ვერ უზრუნველყო უბნებიდან შემოსული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლების დაუყოვნებლივ განთავსება ცესკოს ვებგვერდზე, რითაც დაირღვა საარჩევნო კოდექსის 76-ე ბუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების მოთხოვნები. მსგავს ფაქტს

ადგილი აღარ ჰქონია 30 ოქტომბერს, მეორე ტურის კენჭისყრის დღეს, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

### **სასამართლოები:**

- **საარჩევნო კანონმდებლობის ვიწრო განმარტება** – გამოვლინდა მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც სასამართლოები, საარჩევნო ადმინისტრაციის მსგავსად, **ძალიან ვიწროდ განმარტავდნენ** საარჩევნო კანონმდებლობის ჩანაწერებს, რაც, ფაქტობრივად, მათთან წარდგენილი საჩივრების დაუკმაყოფილებლად დატოვების საფუძველი ხდებოდა. **რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ასეთი მიღომა ძიზნად ისახავდა არა საქმეზე მართლმსაჯულების დადგენას, არამედ საჩივრების თავიდან არიდებას.**

მაგალითად, სასამართლოს განმარტებით, უხეშ დარღვევას არ წარმოადგენდა შემდეგი შემთხვევები: 1) როდესაც საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათოლი ბიულეტენების ჯამი ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას აჭარბებდა, რაც ოქმების დისპალანსს იწვევდა (ზუგდიდი); 2) შემაჯამებელი ოქმები იყო გადასწორებული, უბინდან წალებული ოქმი არ ემთხვეოდა ოლქიდან მოპოვებულ ოქმს, ასევე, ერთმანეთს არ ემთხვეოდა ჩანაწერთა წიგნებში არსებული და შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემები (თბილისი); 3) სასამართლომ საარჩევნო კომისიის დისკრეციად მიიჩნია საუბრო კომისიის წევრების მიმართ დისკიპლინური სანქციის გამოყენების საკითხი (თბილისი); 4) სასამართლოს აზრით, შემაჯამებელი ოქმის მონაცემთან, მაგალითად, ბათოლი ბიულეტენების რაოდენობასთან დაკავშირებით, საჩივარი უბანზე უნდა დაწერილიყო, ვინაიდან „...ოქმის მოპოვების შემდეგ საჩივრის დაწერა უსასრულოდ გააჭიანურებდა განხილვის პროცედურას“ (თბილისი); 5) სასამართლოს მოსაზრებით, საჩივარი საკონტროლო ფურცელთან დაკავშირებით უნდა დაწერილიყო „დარღვევის შემჩნევისთანავე“ და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინვე ინდივიდუალურად გადაწყვეტილიყო (გურჯანი).

- **საჩივრების დაუკმაყოფილებლობის ტენდენცია** – მთელ რიგ შემთხვევებში, სასამართლოები არ აკმაყოფილებდნენ საჩივრებს, მათ შორის, უხეში დარღვევის არსებობისას. არგუმენტაცია, რომელსაც სასამართლოები ეყრდნობოდნენ, მდგომარეობდა იმაში, რომ, მათი მოსაზრებით, „დარღვევა არ წარმოადგენდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას დადარღვევას არ მოუწდენია გავლენა ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე, კენჭისყრის დღისა და არჩევნების შედეგებზე.“

### **XIII. რეკომენდაციები**

გამოვეთილი პრობლემებიდან და დაფიქსირებული დარღვევებიდან გამოდინარე, წარმოგიდენთ რეკომენდაციებს, რომლებიც, ჩვენი მოსაზრებით, დაეხმარება საარჩევნო პროცესებში ჩართულ პირებს მიღწევების განმტკიცებასა და იმ დარღვევების აღმოფხვრაში, რომლებიც 2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ახასიათებდა.

### **საკანონმდებლო ჩარჩო**

- მიგარინია, რომ საარჩევნო სისტემა საჭიროებს ცვლილებას საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ამ მოცემულობაში მნიშვნელოვანია ისეთი საარჩევნო სისტემის შემოღება, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს ამომრჩევლის ნების პროპორციულად ასახვას არჩევით ორგანოებში. საპარლამენტო არჩევნებისათვის საია ადვოკატირებას უზევს პროპორციულ საარჩევნო სისტემას, რომელიც არსებულ შერეულ მოდელთან შედარებით, უკეთ უზრუნველყოფს ამ პრინციპის განხორციელებას და მანდატების პროპორციულად გადანაწილებას მიღებული ხმების შესაბამისად.
- საარჩევნო პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ნებისმიერი სახის რესურსზე. ამიტომ მიგვაჩინია, რომ უნდა გადაიხედოს წინა-საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციაში/კამპანიაში მონაწილეობის წესები. უნდა მოხდეს წინა-საარჩევნო კამპანიის/აგიტაციის ცნების დაზუსტება, აგრეთვე, იმ თანამდებობის პირთა წრის დავინოვება, რომლებსაც შეუზღუდვად შეუძლიათ მონაწილეობის მიღება წინასაარჩევნო კამპანიაში (შეზღუდვების გარეშე კამპანიაში მონაწილეობა უნდა შეეძლოთ მხოლოდ არჩევით თანამდებობაზე მყოფ პირებს. ასევე, მონაწილეობის ცნება უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სოციალური ქსელით აგიტაციის აკრძალვა. გარდა ამისა, უნდა შეიზღუდოს ისეთი იურიდიული პრის აგიტაციაში მონაწილეობა, რომელიც ეწვეა ქველმოქმედებას საარჩევნო მიზნებით, თუმცა, ქველმოქმედი ორგანიზაციის ოფიციალური სტატუსი არ ვაჩინია). წინასაარჩევნო პერიოდში ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების კუთხით აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საარჩევნო კოდექსთან და სხვა.

- საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების კუთხით უნდა გატარდეს რეფორმა.<sup>250</sup> (რაც გულისხმობს შერეული დაკომპლექტების წესიდან პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას,<sup>251</sup> საუბნო და საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციების წევრების შერჩევის კრიტიკულებისა და პროცედურების გადახედვა-დახვეწას);
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსება (პოლიტიკური გაერთიანებების საბიუჯეტო დაფინანსების წესის გადახედვა, რომელიც მოიცავს დაფინანსების ფორმულის ცვლილებას (მაგ-ალითად, H კომპონენტის ამოღებას), რეგულაციების შესაძლო მანიპულაციის გამოსარიცხად, საარჩევნო ბლოკებისა და პოლიტიკური გაერთიანებების ერთნაირ უფლებრივ მდგომარეობაში ჩაყენებას სხვადასხვა სახის ბენეფიტის (მაგალითად, სარეკლამო დრო, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრი და სხვა) გადანაწილებისას. მნიშვნელოვანია ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევაში, ამომრჩევლის გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან).
- საჭიროა მედიარეგულაციების დაწესება არჩევნების მეორე ტურზეც, რათა ცხადი და განტვრეტადი გახდეს მეორე ტურზე მედიის მიერ საარჩევნო პროცესების გაშუქების წესები.
- მიგვაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს საარჩევნო დავების მომწესრიგებელი ნორმები, რათა გამორიცხოს ნებისმიერი სახის ბუნდოვანი ჩანაწერები კანონში, რაც ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას შეიძლება იძლეოდეს. მნიშვნელოვანია, რომ გადაიხედოს (გაიზარდოს) გასაჩივრების ვადები, ასევე, უფრო მოქნილი გახდეს კანონმდებლობა მოსარჩელე პირთა წრის მიმართ.
- უნდა მოხდეს ქალთა მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკაში და, ამ მიზნით, დროებით, სავალდებულო კვოტირების მექანიზმის შემოღება, რომელიც ითვალისწინებს პროპორციულ სიაში ყოველ მეორე კანდიდატად განსხვავებული სქესის წარმომადგენლის ყოლას.
- ცვლილებები უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. უნდა დაზუსტდეს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლი. შესაძლებელი უნდა იყოს გამოძიების არდანყების შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება, აგრეთვე, დისკრიმინაციული მოტივი უნდა გახდეს არა მხოლოდ სასჯელის დამძიმების, არამედ კვალიფიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმიც.
- საარჩევნო კოდექსში უნდა განისაზღვროს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორია, რათა გამოირიცხოს საარჩევნო აგიტაცია და შესაძლო ინციდენტები საარჩევნო უბანთან ახლოს.

## უწყებათაშორისი კომისია

- საარჩევნო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება და კანონით განისაზღვროს უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ოფიციალურად დაწყება წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებისთანავე. მოქმედი კანონმდებლობით, უწყებათაშორისი კომისია საქმიანობას იწყებს 1 ივლისიდან, რაც გამორიცხავს მისი საქმიანობის ოფიციალურად დაწყებას იმ შემთხვევაში, თუ წინასაარჩევნო კამპანია 1 ივლისამდე დაიწყო.
- უნდა მოხდეს უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის წესების, მათ შორის, კომისიის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვისა და მასზე რეაგირების წესების დეტალურად განერა, რაც გაზრდის კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას და განხილვების დროს დისკუსიების პოლიტიზების რისკებს გამორიცხავს.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

- საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესის ჩატარების გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კენჭისყრის პროცედურების გამარტივება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დახერგვა უბებზე, მათ შორის, ხმის მიცემა ელექტრონული წესით.
- საარჩევნო რეფორმის ფარგლებში უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდნობის შემცირება, ასევე, მათთვის სერტიფიცირების ვალდებულების შემოღება. სერტიფიცირების შედეგების მიხედვით, უნდა ხდებოდეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევა.
- ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს უნდა გაეზარდოთ შრომის ანაზღაურება.

<sup>250</sup> რაც შერეული წესით საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წაცვლად (წაწილი პროფესიული ნიშნით და წაწილი პარტიების მიერ დანიშნული), პროფესიული წესით საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევას გულისხმობს.

<sup>251</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-moutsodebs-ceskos-shecvalos-saolqo-saarchevno-komisiis-tsevrta-shesarchevi-konkursis-chatarebis-tsisi>

- უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების უნარების განმტკიცება.
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების გაუმჯობესების მიზნით, უნდა მოხდეს ოქმების შევსების ერთგვაროვანი წესის შემოღება.
- საარჩევნო კომისიის წევრებმა ადმინისტრაციული წარმოება კანონის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განახორციელონ, საჩივარში ასახული დარღვევები დეტალურად უნდა შეისწავლონ, მტკიცებულებები ჯეროვნად გამოიკვლიონ და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა დაასაბუთონ. პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის სიმძიმე, ხოლო შემაჯამებელი ოქმები ცესკოს ვებგვერდზე დაუყოვნებლივ უნდა აიტვირთოს.
- საარჩევნო ადმინისტრაციებმა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესი იმგვარად უნდა წარმართონ, რომ გამოირიცხოს კითხვები საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ უფლება-მოსილების სათანადოდ განხორციელებასთან დაკავშირებით.

## **სასამართლო**

- მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო დავების განხილვისას სასამართლოს მიერ ხდებოდეს კანონის მართებული განმარტება და გამოყენება.
- საარჩევნო დავების კუთხით მუდმივად უნდა ხდებოდეს მოსამართლეთა გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.
- სასურველია, შემუშავდეს საარჩევნო დავების განხილვის ერთიანი მოდული, რომელიც დაეხმარება მოსამართლეებს, უკეთ გაერკვნენ საარჩევნო კანონმდებლობის სპეციფიკაში.

## **სახელმწიფო აუდიტის სამსახური**

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დროულად უნდა განახორციელოს წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევის ფაქტების შესწავლა და შეფასება.

## **სამართლდამცავი ორგანოები**

- სამართლდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიცვან საარჩევნო პროცესში მონაწილე პირები ძალადობისა და ნებისმიერი უკანონო ზემოქმედებისგან, ასევე, უნდა უზრუნველყონ საარჩევნო გარემოს უსაფრთხოება.
- სამართლდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტები დროულად, სრულყოფილად და ობიექტურად იყოს გამოძიებული.

## **საარჩევნო სუბიექტები**

- საარჩევნო სუბიექტებმა და მათმა მხარდამჭერებმა თავი უნდა შეიკავონ დაპირისპირებისა და ძალადობისაგან, ასევე, ისეთი განცხადებებისა და მოქმედებებისგან, რომლებიც წაახალ-ისებს ან შეინყნარებს ამგვარ ძალადობას.
- ამომრჩევლის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტებმა უარი უნდა თქვან ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე.

## **სადამკვირვებლო ორგანიზაციები**

- სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ დამკვირვებელთა მხრიდან კანონის შესაბამისი და ეთიკური ქცევა, რაც გამორიცხავს კანონშეუსაბამო საქციელს და ჩარევას საარჩევნო კომისიის საქმიანობაში.

## სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის

### • სოციალური ხასიათის ინიციატივები

#### პრემიერმინისტრის ინიციატივა – „ცხოვრება გრძელდება“

2016 წლის 8 აგვისტოს საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ახალი სოციალური პროგრამის დაწყების თაობაზე განაცხადა. მისი თქმით, „ქართული ოცნება“ მუშაობდა ახალ პროგრამაზე, რომელიც სპეციალურად პენსიონერებზე იყო გათვლილი და რომელზეც მუშაობდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო.<sup>252</sup>

საიამ პროგრამის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა ორივე სამინისტროსგან.<sup>253</sup> შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ ინფორმაცია იმ არგუმენტით არ მოგვაწოდა, რომ პროგრამა ჯერ კიდევ ადრეული დამუშავების პროცესში იყო.<sup>254</sup> ფინანსთა სამინისტრომ კი ინფორმაციის მისაღებად პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსკენ“ გადაგვამისამართა.<sup>255</sup>

### • ადმინისტრაციული რესურსის საგარაუდო საარჩევნო მიზნით გამოყენება, SMS შეტყობინებები

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, 2016 წლის სექტემბერში, თბილისისა და საქართველოს რეგიონების მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით დაეგზავნა სმს შეტყობინებები, რომელთა საშუალებითაც მათ მიაწოდეს ინფორმაცია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულების შესახებ.

საიამ მუნიციპალიტეტებიდან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია, რომლიდანაც ჩოხატაურისა და გორის მუნიციპალიტეტების მაგალითზე ირკვევა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს ბიუჯეტში არ ჰქონდათ წინასწარ განსაზღვრული თანხები სმს მომსახურების დასაფინანსებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით მაინც განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ იანვარში ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების ცვლილება იმ მიზნით, რომ მომხდარიყო სმს სერვისის ლირებულების დაფარვა.<sup>256</sup> ზემოთ აღნიშნული გარემოება აჩენს კითხვებს ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებისა და არჩევნების წინ ამომრჩევლების განწყობაზე გავლენის მოხდენის მცდელობასთან დაკავშირებით.

### • ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების სხვა ფაქტები

საიასთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე, 8 ოქტომბრამდე, საბავშვო ბალის აღმზრდელებს, სკოლის პედაგოგებსა და საჯარო მოხელეებს მიეცათ მითითება, რომ არჩევანი მმართველი პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ გაეკეთებინათ. იმავდროულად, კენჭისყრის უბანში მისვლისას და მათ მიერ არჩევანის გაკეთებისას ბიულეტენში თავიანთი არჩევანი განსხვავებული ფორმით, კერძოდ, ოთხუთხედი ან სამკუთხედი ფორმით უნდა დაეფიქსირებინათ. პარალელურად კი განხეხორციელებინათ მათ მიერ დაფიქსირებული არჩევანის ფოტოგადაღება.<sup>257</sup> საიამ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განცხადება გაავრცელა და საარჩევნო სუბიექტებსა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს მოუწოდა, არ დაემუვათ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ალქმული იქნებოდა, როგორც კონტროლი ამომრჩევლის წეპაზე. ასევე მოუწოდა ამომრჩევლებსაც, რომ არჩევანის დაფიქსირებისას ნება თავისუფლად გამოეხატათ და არ დაერლვიათ საარჩევნო კანონმდებლობა კაბინაში ფოტო და ვიდეო გადაღების წარმოებით. ზენოლის შემთხვევაში კი მიემართათ საიასთვის თბილისასა და რეგიონულ ოფისებში.<sup>258</sup> აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართულმა ოცნებამ“ უარყო შეგავსი მითითების გაცემა.

მსგავსი ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ მოგვიანებით საიასთვის ცნობილი გახდა საბიუჯეტო

<sup>252</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/politika/391695-qarthuli-ocneba-pensionerebis-dasaqmebis-programaze-qckhovreba-grdzeldebaqmushaobs.html?ar=A>

<sup>253</sup> საიას 18 აგვისტოს განცხადება №ვ-04/361-16 და საიას 18 აგვისტოს განცხადება №ვ-04/360-16.

<sup>254</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს 2016 წლის 2 სექტემბრის კორესპონდენცია №01/66963

<sup>255</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის 5 სექტემბრის კორესპონდენცია №14/83837

<sup>256</sup> <https://gyla.ge/ge/post/administraciuli-resursis-gamoyeneba>

<sup>257</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-amomrchevlis-nebaze-savaraudo-kontrolis-faqts-ekhmianebla>

<sup>258</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-amomrchevlis-nebaze-savaraudo-kontrolis-faqts-ekhmianebla>

ორგანიზაციაში დასაქმებულ ცალკეულ პირთან განმეორებითი კომუნიკაციის შესახებ იმის თაობაზე, რომ მეორე ტურის კენჭისყრის დღეს – 30 ოქტომბერს მათ განსხვავებული ფორმით არჩევანი არ გაეკეთებინათ. აღსანიშნავია, რომ ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების დროს იმ უბნებზე, რომლებზეც საიას დამკირვებლები იყვნენ წარმოდგენილი, დაფიქსირდა განსხვავებული ფორმით გაკეთებული არჩევანი მმართველი პარტიის კანდიდატის მხარდასაჭრად, თუმცა მცირე მასშტაბით.<sup>259</sup> უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ განსხვავებული ფორმით არჩევანის გაკეთების შემთხვევები დაფიქსირდა „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდაც.<sup>260</sup>

#### • საჯარო მოხელეების უკანონო მონაწილეობა აგიტაციაში

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების მხრიდან აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. თუმცა წარსული გამოცდილებისგან განსხვავებით ახალ გამოწვევას წარმოადგენდა აგიტაცია სოციალური ქსელების (ძირითადად - Facebook) საშუალებით.

ვინაიდან საარჩევნო კანონმდებლობა აგიტაციად მიიჩნევს ნებისმიერ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის საარჩევნო სუბიექტის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშვნებს, მათ შორის, საარჩევნო მასალების გავრცელებას,<sup>261</sup> შესაბამისად, სააგიტაციო მოქმედებად უნდა იყოს მიჩნეული საჯარო მოხელეების მხრიდან სოციალური ქსელის საშუალებით კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო ინფორმაციის გამოქვეყნება/ გასაჯაროება. ამასთან ერთად, საჭიროა, სოციალური მედიის საშუალებით სწორად იყოს აღქმული აგიტაციის განხორციელების არსი, ვინაიდან დღევანდელ რეალობაში მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოების ფართო მასებსა და ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე.

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინტერნეტსივრცისა და სოციალური ქსელების სააგიტაციო მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არსებობს ცალკე საკანონმდებლო რეგულაციები. თავის მხრივ, საარჩევნო ადმინისტრაციაც არ ცდილობს არსებულ საკანონმდებლო ნორმათა პროგრესულ განმარტებას. შედეგად, სოციალური მედიის სივრცეში იმატებს აგიტაციის წესების დარღვევის რისკი, რაც უარყოფითად აისახება წინასაარჩევნო კამპანიის კანონის მოთხოვნათა დაცვით წარმართვაზე.

#### • ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტებში

##### თბილისი

წინასაარჩევნო პერიოდში, 24 ივნისს, თბილისის ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შედეგად სოციალური პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხები გაიზარდა. წინასაარჩევნო პერიოდში მოცემული პროგრამებისათვის თანხის გაზრდა ბადებს ეჭვს, რომ ცვლილებების განხორციელებით ადგილობრივი ხელისუფლება შეეცადა, 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთ პროგრამებზე გადაენანილებინა, რომელთა განხორციელებაც მოსახლეობაში კმაყოფილებას, საბოლოო ჯამში კი, არჩევნებზე მათი მხარდამჭერების რიცხვის ზრდას გამოიწვევდა.

24 ივნისს განხორციელებული ცვლილებები ძირითადად შეეხო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და აღდგენას, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას, ექსპლოატაციასა და ავარიული შენობების გამაგრებას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფასა და განათლებას. კერძოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და აღდგენისათვის ბოლო ცვლილებებით გამოიყო 118 662 900 ლარი, ხოლო ბიუჯეტის თავდაპირველი რედაქციით აღნიშნული პრიორიტეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 103 300 000 ლარს. ბიუჯეტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აპრილის თვის ცვლილებებით აღნიშნული თანხა გაიზარდა 1 012 176 ლარით, ხოლო უკანასკნელი ცვლილებებით – 7 115 300 ლარით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პრიორიტეტს დაემატა რამდენიმე ქვეპროგრამა, მეტროსადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა, ასევე, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება, რისთვისაც გამოიყო 7 000 000 ლარი. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას, ექსპლოატაციასა და ავარიული შენობების გამაგრებას, 2016 წლის აპრილის თვის ცვლილებებით გამოყოფილი იყო 181 457 100 ლარი, ხოლო 24 ივნისის ცვლილებებით აღნიშნული მაჩვენებელი 2 585 000 ლარით გაიზარდა. 1 050 000 ლარით გაიზარდა პროგრამა: „2015 წლის 13 და 14 ივნისის ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიტის

<sup>259</sup> 30 ოქტომბერს, მეორე ტურის დროს, იმ უბნებზე, სადაც საიას დამკირვებლები იყვნენ წარმოდგენილნი (300-მდე უბანი), ჩეკ მიერ დაფიქსირდა განსხვავებული ფორმით არჩევნის გაკეთების (თოხუთხედით ან სამკუთხედით შეტანი) 80-მდე შემთხვევა, სევერ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის 40-მდე შემთხვევა (ზუგდიდის 72-ე უბანზე - 30-ზე მეტ კონკრეტულში და ზუგდიდის 65.67.80 უბანზე - 8 კონკრეტში მოთავსებული იყო ამომრჩევლის ბარათი; გლდანის 20.10.23 - 2 ბიულეტენზე იყო ამომრჩევლის ხელმოწერა).

<sup>260</sup> მაგალითად, 3 შემთხვევა სამგორის ოლქში - #92, #97, #108 უბნებზე.

<sup>261</sup> საჯაროების საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის ჰ1) პუნქტი.

სალიკვიდაციო ღონისძიებები”, ასევე, 300 000 ლარით გაიზარდა პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის განვითარების ხელშეწყობას. ბოლო ცვლილებებით, კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის დამატებულია 685 000 ლარი.

აპრილის თვის ცვლილებებთან შედარებით ივნისის თვეში განხორციელებული ცვლილებებით, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი თანხა გაზრდილია 5.2%-ით. სოციალური დაცვის პროგრამა გაზრდილია 10 602 200 ლარით. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისთვის სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მინიჭებას, კერძოდ, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფულადი თუ სხვა სახის დახმარების განვითარებას.

24 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით 2 714 500 ლარით არის გაზრდილი განათლების პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხები. აღნიშნული თანხის 88,4% ემატება სკოლამდელი განათლების სისტემის მართვასა და განვითარებას.

ყველა ცვლილების გათვალისწინებით თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა საერთო ჯამში 808 226 000 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით 10%-ით ნაკლებია, თუმცა, აპრილის თვის ცვლილებებთან შედარებით, აღნიშნული თანხა გაზრდილია 18 042 500 ლარით.

## აჭარა – ბათუმი

2016 წლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, შემოსავლების ნაწილში 2015 წელს განსაზღვრული იყო 112169.8 ლარი, ხოლო 2016 წელს გათვალისწინებულია 135192.3 ლარი. აქედან გამომდინარე, შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტი გაზრდილია 23022.5 ლარით. შემოსავლების ასეთი ზრდა ახსნილია გაზრდილი გადასახადებითა და გრანტებით. კერძოდ, 2015 წლის გეგმის მიხედვით გადასახადები შეადგენდა 18350.0 ლარს, ხოლო 2016 წელს – 35000.0 ლარს. გრანტები 2015 წელს შეადგენდა 63756.3 ლარს, ხოლო 2016 წელს – 69642.3 ლარს. ხარჯების ნაწილში ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 1233.2 ლარით გაზრდილია. კერძოდ, 2015 წელს განსაზღვრული იყო 80013.7 ლარით, ხოლო 2016 წელს განსაზღვრულია 81246.9 ლარით დადგენილების მიხედვით ხარჯების აღნიშნული ზრდა გამოწვეულია შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, პროცენტის, გრანტების, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯების ზრდის გამო. აღსანიშნავია, რომ სუბსიდიები წინა წელთან შედარებით შემცირებულია, კერძოდ, 2015 წელს სუბსიდიების ნაწილში გათვალისწინებული იყო 16495.3 ლარი, ხოლო მიმდინარე წლისთვის გათვალისწინებულია 9147.2 ლარი.

სოციალურ საკითხებთან მიმართებაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაზრდილია ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, სოციალური დაცვა. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ნაწილში 2015 წელს განსაზღვრული იყო 40993.2 ლარი, ხოლო მიმდინარე წელს – 42819.4 ლარი; საბინაო-კომუნალური მეურნეობის კომპონენტში წინა წელს განსაზღვრული იყო – 26453.4 ლარი, მიმდინარე წელს კი – 30007.5 ლარი; ჯანმრთელობის დაცვის კომპონენტში წინა წელს განსაზღვრული იყო – 2816.4 ლარი, მიმდინარე წელს – 2988.6 ლარი; სოციალური დაცვის კომპონენტში წინა წელს განსაზღვრული იყო 5331.6 ლარი, მიმდინარე წელს – 7442.9 ლარი.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, 2016 წლის 7 ივნისს, ბათუმის საკრებულოში რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ქალაქ ბათუმის 2016 წლის ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, რომლითაც 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები, ცალკეული პროგრამების/ქეპროგრამების მიხედვით, ჯამში 1 570 000 ლარით გაიზარდა. გაზრდილი თანხები, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გადანაწილდა.

2016 წლის 27 სექტემბერს თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2016 წლის ბიუჯეტში შეიტანა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 2 250 000 (ორი მილიონ ორას ორმოცდათი) ლარით, რასაც პარალელურად მოჰყვა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, 2016 წლის ბიუჯეტის არსებული გეგმა შემოსავლების ნაწილში 141 968 000 ლარის ნაცვლად წარმოდგენილი ცვლილების თანახმად გახდა 144 219 800 ლარი, ხოლო გადასახდელების ნაწილში საბიუჯეტო ხარჯი განისაზღვრა 88 231 400 ლარით, ანუ ცვლილებამდე არსებული მონაცემები გაიზარდა 1 361 300 ლარით. შესაბამისად, განისაზღვრა, რომ ბათუმის ბიუჯეტიდან დაფინანსდებოდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები ქალაქის მასშტაბით. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები ხარჯის ნაწილში ენინაალმდეგებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესად დაწარმოადგენდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. საიამ ბათუმის ბიუჯეტის 2 250 000 ლარით გაზრდა სასამართლოში გაასაჩივრა და ხარჯების შეჩერება მოითხოვა, თუმცა სასამართლომ საარჩელი არ დაკმაყოფილა.<sup>262</sup>

<sup>262</sup> <https://gyla.ge/ge/post/sabijeto-cvlilebebi-atcharashi>

## კახეთი – გურჯაანი

**გურჯაანი** – წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე 2 დღით ადრე გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამებს ეხებოდა. ამ ცვლილებებით განისაზღვრა, რომ გურჯაანის რაიონში მცხოვრები 20 აპიტურიენტი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგს აჩვენებდა, მუნიციპალიტეტის გამგეობისგან საჩუქრად 500 ლარს მიიღებდა. ასევე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა დახმარებოდა ობოლ და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში: თითოეულ სტუდენტს 500 ლარიანი საგარანტიო ბარათი გადაეცემოდა. ცვლილებით გათვალისწინებული იყო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გადასახადის თახადაფინანსებაც სოციალურად დაუცველი და ობოლი სტუდენტებისთვის, რომელთა ოჯახი სიღატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ერთიან ბაზაში იყო დარეგისტრირებული. გამგეობის გადაწყვეტილებით ყოველთვიურად 60-დან 150 ლარამდე დახმარებას მიიღებდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებიც. სოციალური პროექტების განსახორციელებლად გურჯაანის თვითმმართველობამ ჯამში 1 249 000 ლარი გამოყო.

## შიდა ქართლი – ხაშური, კასპი და ქარელი

ადგილობრივმა ხელისუფლებამ 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებად დაასახელა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, შენახვა და მოვლა; გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ქუჩაში ფეხით მოსარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნების მოწყობა; კომუნალური ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი კორპუსების, გარე განათების მოწყობის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. არასაარჩევნო 2015 წლის ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებს კი წარმოადგენდა თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხები, სტიქიური მოვლენები, უბედური შემთხვევები, საგანგებო სიტუაციები და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 45 ინფრასტრუქტურული პროექტიდან განსახორციელებელი პროექტების ნახევარზე მეტი სწორედ არჩევნების წინა პერიოდში იწყებოდა. აქედან დასრულებული იყო 7, მიმდინარე კი – 15, გამოცხადებული იყო ტენდერი 8 ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ხოლო დაგეგმილი იყო 15 პროექტის განხორციელება. ანალოგიური მდგომარეობა იყო კასპის მუნიციპალიტეტშიც. კასპის მუნიციპალიტეტს სულ 21 ინფრასტრუქტურული პროექტი ჰქონდა – 10 დასრულებული, ხოლო 11 – მიმდინარე. ქარელის მუნიციპალიტეტს ჯამში 37 ინფრასტრუქტურული პროექტი ჰქონდა, საიდანაც დასრულებული იყო 16, მიმდინარე – 15, ხოლო დაგეგმილი – 6.

## ქვემო ქართლი – რუსთავი

ბიუჯეტის საარჩევნო წელზე მორგების ნათელი დადასტურებაა იმ ფინანსების ანალიზი, რომელთა განაწილებაც ერთსა და იმავე პროექტებზე განხორციელდა 2015<sup>263</sup> და 2016<sup>264</sup> წელს. მაგალითად: რუსთავის 2016 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისთვის გათვალისწინებულია 14.950.2 ლარი, იმავე პროგრამაზე 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 9.653.1 ლარი; საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის 2016 წელს გათვალისწინებულია 2.391.6 ლარი, 2015 წელს კი – 638.4 ლარი; გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისთვის 2016 წელს გათვალისწინებულია 2.279.4 ლარი, ხოლო 2015 წელს გათვალისწინებული იყო 518.4 ლარი; ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის 2016 წელს გათვალისწინებულია 2.856.7 ლარი, 2015 წელს კი გათვალისწინებული იყო 790.6 ლარი; სკვერების, ეზოების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაციისთვის 2016 წელს გათვალისწინებულია 2.001.7 ლარი, ხოლო 2015 წელს გათვალისწინებული იყო – 203.3 ლარი; სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის 2016 წელს გათვალისწინებულია 3.375.3 ლარი, 2015 წელს კი გათვალისწინებული იყო 1.947.3 ლარი.

ქვემო ქართლის რეგიონში რუსთავის გარდა (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრინეული) ადგილობრივ ხელისუფლებას პრიორიტეტების ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუხორციელებია, თუმცა, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების დაფინანსება მნიშვნელოვანი და აღიარდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არცერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ დადგენილებაში არ არის დასაბუთება, თუ რით არის განპირობებული წინა წელთან შედარებით სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ზრდა 2016 წლის ბიუჯეტში.<sup>265</sup>

<sup>263</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2658457>

<sup>264</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3120706>

<sup>265</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657135>

- სოციალური ქსელის მეშვეობით საჯარო მოხელეთა წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის ფაქტები
  - 2016 წლის 1, 4 და 5 ივნისს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულისა და გუბერნატორის მოადგილე გიორგი ჭილვარია სოციალური ქსელის (Facebook) საშუალებით სამუშაო საათების განმავლობაში, სავარაუდოდ, წინასაარჩევნო აგიტაციას ეწეოდა. კერძოდ, მან სოციალურ ქსელში განათავსა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერი ინფორმაცია.<sup>266</sup>
  - 2016 წლის 16, 18 და 19 აგვისტოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციონ და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლევან გოგელაშვილი სამუშაო დროის განმავლობაში სოციალური ქსელის (Facebook) საშუალებით ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას. კერძოდ, მან განათავსა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერი ინფორმაცია.
  - 2016 წლის 25 აგვისტოს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მოსულიშვილმა სოციალური ქსელის (Facebook) საშუალებით, პირად გვერდზე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის – დავით სონღულაშვილის სააგიტაციო გვერდიდან („დავით სონღულაშვილი გურჯაანის მაჟორიტარად“) მოსახლეობასთან შეხვედრის ამსახველი ფოტო გააზიარა.<sup>267</sup>
  - 2016 წლის 20 და 21 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს Facebook-გვერდის საშუალებით გავრცელდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერი სააგიტაციო ინფორმაცია.
  - 2016 წლის 19 სექტემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ბელა შათირიშვილმა შუა ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში სამუშაო საათების განმავლობაში მონაწილეობა მიიღო წინასაარჩევნო აგიტაციაში.
  - 2016 წლის 8 აგვისტოს სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატის უფროსმა სპეციალისტმა ირინე ნათენაძემ და ამავე გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ირმა მერაბიძევილმა სამუშაო საათების განმავლობაში Facebook-გვერდის საშუალებით განახორციელეს წინასაარჩევნო აგიტაცია. ორივე მათგანმა სოციალურ ქსელში პირადი Facebook-გვერდის მეშვეობით გააზიარა საქართველოს პრემიერმინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვიდეო, ხოლო ირმა მერაბიძევილმა – გიორგი კვირიკაშვილის ალბომი. ორივე შემთხვევა ეხებოდა პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენას სამცხე-ჯავახეთში.
  - 2016 წლის 17 აგვისტოს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა მერი გოგოლაურმა სამუშაო საათებში პირადი Facebook-გვერდის მეშვეობით გააზიარა მედიაკავშირი „ობიექტივის“ გადაცემა „სამცხე-ჯავახეთის საათი“, რომელშიც უურნალისტს სტუმრად ჰყავდა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი ახალციხესა და ადიგენის ოლქში. განთავსებულ გადაცემას თან ერთვოდა სტატუსი „ბატონო გიორგი, წარმატებები, მემაყებით“.
  - 2016 წლის 17 აგვისტოს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარმა სპეციალისტმა ნანა მესხმა სამუშაო საათებში პირად Facebook-გვერდზე განათავსა მედიაკავშირ „ობიექტივის“ გადაცემა „სამცხე-ჯავახეთის საათი“, რომელშიც უურნალისტს სტუმრად ჰყავდა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი ახალციხესა და ადიგენის ოლქში. განთავსებულ გადაცემას თან ერთვოდა სტატუსი „ბატონო გიორგი, წარმატებები, მემაყებით“.
  - 2016 წლის 23 აგვისტოს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ინგა დიაკონოვამ სამუშაო საათებში ახალციხესა და ადიგენის ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის ალბომი – „მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენა ადიგენში“ – facebook-ზე გააზიარა.<sup>268</sup>

<sup>266</sup> [https://www.facebook.com/giorgi.tchighvaria?pnref=friends.search&\\_\\_mref=message\\_bubble](https://www.facebook.com/giorgi.tchighvaria?pnref=friends.search&__mref=message_bubble)

<sup>267</sup> <http://www.speqtri.ge/sazogadoeba/article/24927-daarghvia-thu-ara-saarchevno-kodeqsi-gurjaanis-policiis-ufrosis-movaleobis-shemsrulebelma>

<sup>268</sup> <https://www.facebook.com/MraGovGe/>

<sup>269</sup> „საქართველოს პრემიერმინისტრმა და პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული-საქართველოს“ თავმჯდომარები გიორგი კვირიკაშვილმა ადიგენის მოსახლეობას „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – გიორგი კოპაძე წარუდგინა და მათ მხარდაჭერისკენ მოუწოდა“.

- **სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენებისა და წინასაარჩევნო კამპანიაში უკანონოდ მონაბილეობის ფაქტები**
  - 2016 წლის 16 აგვისტოს ქარელში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა ფეხბურთის ტურნირი, რომელშიც მონაბილეობა გამგეობის თანამშრომლებმა, ასევე „ქართული ოცნებისა“ და „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებმა მიიღეს. საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს ქარელის გამგებელმა ზაზა გულაძევილმა ფულადი პრიზები გადასცა.<sup>270</sup>
  - 2016 წლის 6 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში ჩატარდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თემურ ხუბულურის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.<sup>271</sup> პირველ და მეორე ადგილზე გასულ პირებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ. აგრეთვე ჭიდაობის ტურნირი ჩატარდა ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტებში. მათ შორის, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ძლევივეგარში ანალოგიური სახის ტურნირი მიეძღვნა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს სამგორის № 13 ოლქში – შოთა ხაბარელს.<sup>272</sup>
  - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ა(ა)იპ „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ წინასაარჩევნო აგიტაციაში სავარაუდო უკანონოდ მონაბილეობის ფაქტთან დაკავშირებით. საუბარია აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაღალი თანამდებობის პირების – „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის რიმა ბერაძისა და ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელის თედო კობახიძის ინიციატივით ქალაქ თბილისის საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქციის ორგანიზებასა და ჩატარებაზე.
  - 2016 წლის 9 ივნისს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თევდორე კობახიძის ინიციატივით, ვაკის სკოლების პედაგოგებს უფასო დიაგნოსტიკური კვლევები ჩაუტარდებოდათ.<sup>273</sup>
  - მოგვიანებით, მიმდინარე წლის 30 ივნისს, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „რიმა ბერაძის ინიციატივით საჯარო სკოლების 200-მდე პედაგოგს უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა“.<sup>274</sup> აღნიშნული ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდსა<sup>275</sup> და ფეისბუქ გვერდზე<sup>276</sup> განთავსდა და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერშიც გამუქდა.<sup>277</sup> აქციაში სკოლების 200-მდე თანამშრომელმა მიიღო მონაბილეობა. როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ რამინა ბერაძემ განაცხადა, პედაგოგების სამედიცინო დახმარება სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდებოდა და გამოკვლევებს 22 სპეციალობის პროფესიონალი ექიმი ჩატარებდა. აქცია მომავალშიც გაგრძელდებოდა და მასში ბაგა-ბაღების პედაგოგებიც ჩატარებოდნენ.
  - იმ არაუმენტით, რომ „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავალი“ სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე არ იყო საქველმოქმედო ორგანიზაციად რეგისტრირებული, ცესკოს თავმჯდომარემ შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ა(ა)იპ „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავალის“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არასებობის საფუძვლით.<sup>278</sup>
  - 2016 წლის 16 ივნისს ქალაქ რუსთავში დაგეგმილი იყო „ერთიანი წაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა.<sup>279</sup> მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენას უამინდობა დაემთხვევა. „წაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა მისულ მხარდამჭერებს მოუწოდეს, რომ წვემისაგან თავი შეეფარებინათ რუსთავის იუსტიციის სახლისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის. მიუხედავად იმი-

<sup>270</sup> <https://gyla.ge/ge/post/amomrchevlis-savaraudo-mosyidvis-faqtebi-batumshi>

<sup>271</sup> <http://www.qartli.ge/ge/akhalia-ambebi/article/3395-tcidaobisfulikhelisuflebiskandidatebskhmardeba>

<sup>272</sup> <https://gyla.ge/ge/post/amomrchevlis-mosyidvis-savaraudo-faqti>

<sup>273</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/383596-theleo-kobakhidzis-initiativith-vakis-skolebis-pedagogebis-ufaso-diagnostikuri-kvlevebi-chautardebath.html?ar=A>

<sup>274</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/386481-rima-beradzis-initiativith-sajaro-skolebis-200-mde-pedagoggs-ufaso-samedicino-gamokvleva-chautarda.html?ar=A>

<sup>275</sup> [http://www.tbsakrebul.gov.ge/index.php?m=255&news\\_id=2198](http://www.tbsakrebul.gov.ge/index.php?m=255&news_id=2198)

<sup>276</sup> [https://www.facebook.com/sakrebul.ge/photos/?tab=album&album\\_id=520187354840313](https://www.facebook.com/sakrebul.ge/photos/?tab=album&album_id=520187354840313)

<sup>277</sup> <https://www.youtube.com/watch?v=H3AiU-JxnAc&feature=youtu.be>

<sup>278</sup> <http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=3735>

<sup>279</sup> <http://www.tzona.org/post/nac-modzraoba-rustavshi-kandidatebs-ramdneime-dgeshi-waradgens>

სა, რომ წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში აკრძალულია,<sup>280</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების აღნიშნულ შენობებში შესვლის შემდეგ შეკრებილ მოსახლეობას პოლიტიკური შინაარსის განცხადებებით მიმართა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ. მიმართვის შემდეგ ლიდერებმა შეკრებილებს დაშლა და მაჟორიტარების ნარდგენის სხვა დროისათვის გადადება შესთავაზეს.

- 2016 წლის 24 ივლისს მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ – „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობაში“ – მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ამომრჩევლებს წარუდგინა გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. შეხვედრაზე გავრცელდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და უკრაინის მოქალაქის, ქალაქ ოდესის გუბერნატორის – მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა, რომლითაც იქ შეკრებილებს მოუწოდებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მხარდაჭერისაკენ. ანალოგიური ტიპისა და შინაარსის დარღვევა მოხდა 2016 წლის 31 ივლისს. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ საჯარო შეხვედრაზე ქ. ბათუმში ამომრჩევლებს წარუდგინეს მაჟორიტარობის კანდიდატები 2016 წლის 8 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო და აჭარის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით. ამავე შეხვედრაზე გავრცელდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ვიდეომიმართვა, რომელიც აშეარად შეიცავდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ მხარდაჭერის მოწოდებას.<sup>281</sup>
- 2016 წლის 26 ივლისს საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქალაქ ოზურგეთში წარადგინა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი არჩილ თალაკვაძე. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ გურიის სხვადასხვა სოფლიდან ჩასული მხარდაჭერები. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოფელ ნიგოითიდან ამავე სოფლის საკრებულოს დეპუტატის თხოვნითა და სოფელ ქვიანის სკოლის დირექტორის თანხმობით, მხარდაჭერების ტრანსპორტირება განხორციელდა სოფელ ქვიანის სკოლის ავტობუსის საშუალებით.<sup>282</sup>
- მიმდინარე წლის 9 სექტემბერს ტელეკომპანია „გურჯაანის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,<sup>283</sup> „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გურჯაანში – დავით სონღულაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ეწვია ქართულ-ფრანგულ სადიაგნოსტიკო ცენტრ „კახეთი-იონის“. შეხვედრის დროს ცენტრის პრეზიდენტმა ერიკ უანტიმ ტელევიზიასთან გააკეთა კომენტარი, რომელიც აშკარა სააგიტაციო მოწოდებებს შეიცავდა.<sup>284</sup>
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში საბავშვო ბალის მშენებლობა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დროშის ფონზე მიმდინარეობდა.<sup>285</sup>
- 2016 წლის 19 სექტემბერს ლანჩხუთში, ჯურულებული გროვენორის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალი საბავშვო ბალის გახსნის ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, რომელიც იმ დროისთვის შვებულებაში იმყოფებოდა და, იმავდროულად, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან „ბალის რამდენიმე აღსაზრდელთან ერთად ლენტი გაჭრა“. აღნიშნული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზეც განთავსდა.<sup>286</sup>
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც განთავსებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ა(ა)იპ, საარჩევნო სააგიტაციო მასალა – „ქართული ოცნების“ სტიკერები შემოხაზული №41-ით – ა(ა)იპ „ტექსერვისის“ (დირექტორი ირაკლი ჩხაიძე) ოთახების კარზე იყო გამოკრული. ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობდა ვიდეოჩანაწერიც.

<sup>280</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-5 ნაწილის ა) პუნქტი.

<sup>281</sup> [http://guriismoambe.com/index.php?m=68&news\\_id=19348](http://guriismoambe.com/index.php?m=68&news_id=19348)

<sup>282</sup> <http://gurjaanity.com/index.php?newsid=882>

<sup>283</sup> <https://www.youtube.com/watch?v=Fak7ZYzsUNI>

<sup>284</sup> საიას 5 სექტემბრის განცხადება №8/38.

<sup>285</sup> <http://www.lanchkhuti.org.ge/index.php/2011-07-25-06-45-33/1814-2016-09-19-10-06-45>

## მუქარის, ზენოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები

## სენაკი

23 აგვისტოს დღის 12 საათზე ქუჩაში დააკავეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები. თავდაპირველად დააკავეს მიხეილ ლუკავა, შემდეგ კი ალექსანდრე ადამია თავის მცირენლოვან ბიძაშვილთან ერთად. როგორც დაკავებულმა საიას წარმომადგენლებთან საუბრისას აღნიშნა, ბიძაშვილის ასაკის დადგენის შემდეგ მცირენლოვანი ჩამოსვეს მანქანიდან, ხოლო დანარჩენი დაკავებულები ჯერ საპატრულო პოლიციაში, შემდეგ კი კრიმინალურ სამსახურში გადაიყვანეს. საბოლოოდ დაკავებულები სენაკის წარკოლოგიურ განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც ახალგაზრდებმა უარი განაცხადეს ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე.<sup>286</sup>

## ზუგდიდი, დიდინები

2016 წლის 1 ოქტომბერს დაახლოებით 21:00 საათზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინებში „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წარმომადგენელს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.<sup>287</sup>

ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სააგიტაციო მასალას არიგებდნენ. დაპირისპირების შედეგად დაზიანდა, „ქართული ოცნების“ სამი წარმომადგენელი. ექიმი მა განაცხადა, რომ ორ მათგანს თავის ტვინის შერყევა, ერთს კი, თავის ზედაპირული ტრავმა აღენიშნებოდა.<sup>288</sup>

„ქართულ ოცნებაში“ განმარტეს, რომ ინციდენტში მონაწილეობას იღებდა სოფელ დიდინების ყოფილი გამგებელი – „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი შტაბის ხელმძღვანელი პაპუნა კუკავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ კახა ქირია და ოპოზიციური პარტიის კიდევ რამდენიმე მხარდამჭერი. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა თენგვიზ გუნავამ სოფელ დიდინებში მომხდარი ინციდენტი შეაფასა, როგორც ცუდი და სამწუხარო ფაქტი, თუმცა, იმავდროულად, განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან უწმანური სიტყვებით მიმართვაზე მათ „ადეკვატური პასუხი მიიღეს“.<sup>289</sup>

იმავე დღეს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შსს-ს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში მოწმის სახით იმყოფებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სოფელ დიდინების ადგილობრივი შტაბის ხელმძღვანელი პაპუნა კუკავა და კახა ქირია, თუმცა მათთან ადვოკატი არ შეუშვეს, რასაც საიას მონიტორიც შეესწრო. შსს-ს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში ადვოკატს განუშმარტეს, რომ აღნიშნული პირები მათთან არ იმყოფებოდნენ, მოგვიანებით კი განუცხადეს, რომ პაპუნა კუკავა და კახა ქირია მოწმის სახით იკითხებოდნენ შსს-ს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს ერთ-ერთ ქვეგანყოფილებაში.

გამოძიება 1 ოქტომბერს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო, რაც ცემას ითვალისწინებს. 2016 წლის 4 ოქტომბერს ბრალი წარედგინათ კახა ქირიასა და პაპუნა კუკავას სსკ-ის 162<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით. ორივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 5000 ლარი. აღნიშნული საქმიდან გამოიყო საქმე ჯერჯერობით დაუდგენელი პირების მიმართ, ხოლო ქირიასა და კუკავას ბრალდების საქმე არსებითად განსახილველად ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა.<sup>290</sup>

## გორი

2016 წლის 2 ოქტომბერს გორის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის ირაკლი იქრუაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლეს. შემთხვევა ქალაქ გორის სადგურის დასახლებაში მოხდა. კერძოდ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად მაშინ, როდესაც ირაკლი იქრუაშვილი მოსახლეობასთან სააგიტაციო შეხვედრას მართავდა, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განხორციელდა მისი მიმართულებით, რის შედეგადაც კიდურების არში დაიჭრა იქრუაშვილის დაცვის წევრი და ასევე ერთი აქტივისტი. ისინი გორის ჰოსტილური მოათავსეს. პოლიცია შემთხვევის ადგილზე დროულად გამოცხადდა. გამოძიება დაიწყო

<sup>286</sup> <https://gyla.ge/ge/mod/newsletter/5>

<sup>287</sup> <https://gyla.ge/ge/post/ganckhadeba-sofel-didinedzshi-momkhdar-incidenttan-dakavshirebit>

<sup>288</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/400000-eqimis-informaciith-sofel-didinedzshi-dashavebul-gogonas-thavis-areshi-miyenebuli-dazianebeis-garda-yelze-natcdevebic-aghenishneba.html?ar=A>

<sup>289</sup> [http://gurianews.com/\\_/left\\_wide/42680\\_66\\_ka/Tengiz\\_gunava\\_ocnebis\\_axalgazrduli\\_organizaciis\\_wevrebis\\_cemis\\_faqtze\\_adekvaturi\\_pasuxi\\_miiRes.html](http://gurianews.com/_/left_wide/42680_66_ka/Tengiz_gunava_ocnebis_axalgazrduli_organizaciis_wevrebis_cemis_faqtze_adekvaturi_pasuxi_miiRes.html)

<sup>290</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

სსკ-ის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლ-საანინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) მუხლებით.

## თბილისი

4 ოქტომბერს, თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გივი თარგამაძის ავტომობილი აფეთქდა. შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა, ხოლო ერთ-ერთი მოქალაქე – მძიმედ.

„პოლიციაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, 1976 წელს დაბადებული პ.ჩ. დააკავა. მოქალაქეს გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების ფაქტაზ დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლით წარუდგინეს ბრალი, 1974 წელს დაბადებულ დ.ხ-ს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა“.<sup>291</sup>

აღნიშნული პირის დაკავების გარდა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩატარა საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებებიც, რის შედეგადაც ამოიღეს ასაფეთქებელი ნივთიერებები, საბრძოლო ვაზნები და იარაღი.

2017 წლის 14 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია, რომ გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქების ერთ-ერთ ეპიზოდზე დაკავებული პ.ჩ. თბილისის საქალაქო სასამართლომ პირობითი მსჯავრის შეფარდების შემდეგ 9 თებერვალს გაათავისუფლა.<sup>292</sup>

## ბორჯომი

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,<sup>294</sup> 2016 წლის 11 აგვისტოს „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წევრის გიორგი გიუაშვილის განცხადებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოს წევრმა ბესიკ ფოფხაძემ თანმხლებ პირებთან ერთად მას ხელი შეუშალა წინასაარჩევნო აგიტაციის განხორციელებაში და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.<sup>295</sup>

საიას მონიტორთან საუბრისას გიორგი გიუაშვილმა ბესიკ ფოფხაძის გარდა დაპირისპირებაში მონაწილე სხვა პირების გვარებიც დაასახელა: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლები. მისი განცხადებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები სისტემატურ თვალთვალსა და მიყურადებას ახორციელებდნენ მასზე. მთავარი პროცესურის განმარტებით, გამოძიება სსკ-ის 125-ე მუხლით მიმდინარეობდა, რაც ცემას გულისხმობს.<sup>296</sup>

## ახალციხე

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეორე ტურის წინ 2016 წლის 27 ოქტომბერს ურაველი-მუსხის გზაზე ადგილი ჰქონდა შესაძლო ძარცვისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობისა და ძალადობის მუქარის ფაქტებს.<sup>297</sup> კერძოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი და პარტიის აქტივისტები მთელი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ საარჩევნო კამპანიას და ხვდებოდნენ მოსახლეობას. „ენმ-ის“ აქტივისტის ნ.ხ-ს განცხადებით, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში მოსახლეობასთან შესახვედრად გადაადგილებისას მათ თეთრი ფერის მსუბუქი ავტომობილი დაჰყვებოდა. აღნიშნული ნ.ხ-მ ვიდეოკამერის მეშვეობით დააფიქსირა, რის შემდეგაც ნ.ხ-ს მანქანას სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის აკაკი მაჭუტაძის მანქანა წამოენია. მანქანისან „კეთილმოწყობის სამსახურის“ ყოფილი უფროსი გიორგი ბალიაშვილი გადმოვიდა, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და კამერა წაიღო.

მოგვიანებით, როგორც „ენმ-ის“ აქტივისტმა აღნიშნა, სოფლიდან დაბრუნებისას ურაველის გზაზე გუბერნატორმა და მისმა თანმხლებმა პირებმა მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა აკაკი მაჭუტაძემ ბრალ-

<sup>291</sup> <https://gyla.ge/ge/post/arasanatavrobo-organizaciebi-gushin-momkhadar-afetqebas-ekhmaurebian>

<sup>292</sup> <http://police.ge/ge/shss-m-sagamodziebo-moqmedebabis-dros-didi-odenobit-ukanono-iaraghi-da-asafetqebeli-nivtireba-amoigho/10105>

<sup>293</sup> <http://rustavi2.com/ka/news/68094>

<sup>294</sup> <http://rustavi2.com/ka/news/53951>

<sup>295</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-tsinsasaarchevno-kampaniashi-agitaciashi-savarauido-khelsheshlisa-da-dzaladobis-faqtebs-ekhmaureba>

<sup>296</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

<sup>297</sup> <http://sknews.ge/index.php?newsid=10528>

დებები უარყო.<sup>298</sup> მომხდარი გიორგი ბალიაშვილმაც უარყო.<sup>299</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძარცვა) აწარმოებდა.<sup>300</sup>

დაზარალებულის მიერ აღნერილი ქმედება და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სისხლის სამართლის კოდექსის 162<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს, რაც გულისხმობს წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რომელსაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ან ძალადობის მუქარას. ჩვენი მოსაზრებით გამოძიება ამ მიმართულებითაც უნდა წარმართულიყო.<sup>301</sup>

## გარდაბანი

2016 წლის 22 აგვისტოს საიას რუსთავის ოფისს გარდაბანში, სოფელ ბირლიკში მცხოვრებმა რაშიდ მუსავემა მიმართა. რაშიდ მუსავე პოლიტიკური პარტია „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო გარდაბნის რაიონში. მისი განცხადებით, გარკვეულმა პირებმა მასზე ზენოლა პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე განახორციელეს. რაშიდ მუსავეის განმარტებით, 18 აგვისტოს უცხო პირებთან ერთად მას შეხვდა ნაცნობი ყოფილი თანაპარტიიელი, რომელმაც საქართველოდან წასვლისა და პოლიტიკური საქმიანობისათვის თავის დანებების სანაცვლოდ გარკვეული თანხა შესთავაზია, ხოლო უარის შემთხვევაში სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრა. მომმართველმა განმარტა, რომ მან უარი განაცხადა აღნიშნულ შემოთავაზებაზე, რის გამოც შეეცადნენ, თავიანთ კუთვნილ ავტომობილში ძალის გამოყენებით ჩაესვათ, თუმცა, გაქცევა მოახერხა.

რაშიდ მუსავემა აღნერილ ფაქტებთან დაკავშირებით განცხადებით რუსთავის რაიონულ პროკურატურას მიმართა. მის ინტერესებს საიას ადვოკატები იცავდნენ.<sup>302</sup> გამოძიების მიერ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

## გარდაბანი

2016 წლის 22 აგვისტოს საიას რუსთავის ოფისს მომართა გარდაბნის რაიონის სოფელ თაზაქენდში მცხოვრებმა ფირახმად გასანოვმა. მან განაცხადა, რომ თაზაქენდის საჯარო სკოლაში მუშაობდა პედაგოგად და ამასთან იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი, მაგრამ ხელმძღვანელ პირებთან გარკვეული უთანხმოების გამო დატოვა პარტია, განეცრიანდა „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიულ მოძრაობაში“ და აქტიურად მონაწილეობდა წინასაარჩევნო პროცესებში. მისი განცხადებით, აღნიშნულის გამო მმართველი პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან მის მიმართ განხორციელდა სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ზენოლა, რათა შეეწყვიტა პარტიის წევრობა.

ფირახმად გასანოვმა აღნერილ ფაქტებთან დაკავშირებით განცხადებით რუსთავის რაიონულ პროკურატურას მიმართა. მის ინტერესებს საიას ადვოკატები იცავენ.<sup>303</sup>

## ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში მცხოვრებმა, სოციალურად დაუცველმა მანანა მინდაძემ საკრებულოს დეპუტატი ილო მამალაძე ამომრჩევლის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. როგორც მინდაძემ განაცხადა, სოფლის დეპუტატმა იმის გამო უსაყვედურა, რომ ის ვერ დაესწრო „ქართული ოცნების“ მაურიტარობის კანდიდატის შეხვედრას მოსახლეობასთან და დაემუქრა, რომ თუ „ქართულ ოცნებას“ არ მისცემდა ხმას, დახმარებას მოუსხსიდნენ. მინდაძემ აღნიშნული ფაქტი საიას ოზურგეთის ოფისის წარმომადგენელთანაც დაადასტურა.<sup>304</sup>

## დედოფლისწყარო

2016 წლის 16 სექტემბერს შუადლის საათებში დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში, დავით აღმაშენებლის ქ. №26-ის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტმა ვარდანუშ ადამიანმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სცემა პოლიტი-

<sup>298</sup> <http://rustavi2.com/ka/news/60059>

<sup>299</sup> <http://sknews.ge/index.php?newsid=10528>

<sup>300</sup> <http://rustavi2.com/ka/news/60074>

<sup>301</sup> <https://gyla.ge/ge/mod/newsletter/6>

<sup>302</sup> <https://gyla.ge/ge/post/zetsolisa-da-muqaradashinebis-faqtebi>

<sup>303</sup> <https://gyla.ge/ge/post/zetsolisa-da-muqaradashinebis-faqtebi>

<sup>304</sup> <https://gyla.ge/ge/post/amomrchevlis-idzuleba>

კური პარტია „ქართული ოცნების“ აქტივისტ ედვარდ ჩარკანდიანს, რომელმაც განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიადგა მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ინციდენტის მიზეზი გახდა წინასაარჩევნო პერიოდში დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნ-აბუჯში მომხდარი შემთხვევა – ედვარდ ჩარკანდიანმა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს მაჟორიტარული დეპუტატის კანდიდატის ირაკლი შიოლაშვილის პლაკატები გააკრა, თუმცა, რამდენიმე საათში პლაკატები ჩამოხეული დახვდა. ვინაიდან მითითებულ მისამართზე იმყოფებოდა ვარდანუშ ადამიანი, ედვარდ ჩარკანდიანმა ჩათვალა, რომ პლაკატები მის მიერ იყო ჩამოხეული და მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ფიზიკური დაპირისპირებისას ვარდანუშ ადამიანმა ედვარდ ჩარკანდიანს სცემა და დაუხია შაისური, რომელზეც გამოსახული იყო „ქართული ოცნების“ ლოგო.

ვარდანუშ ადამიანს ბრალი წარედგინა 2016 წლის 26 სექტემბერს სსკ-ის 125-ე მუხლით, აღკვეთის ლონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო 1000 ლარის ოდენობით. ამჟამად სილნალის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვა. ამ ეტაპზე ხდება ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა.

## ნინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეწლის ფაქტები

## თელავი

2016 წლის 4 აგვისტოს 12:00 საათზე ქალაქ თელავში დაგეგმილი იყო „სახალხო მოძრაობა სოციალ-ისტური საქართველოს“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის დამჯურებელი ყრილობის ჩატარება. ყრილობის მონაწილეებს ღონისძიებაზე მიტანილი პქონდათ დროში, რომლებზეც გამოსახული იყო კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებმაც მათ შესაძლებლობა არ მისცეს, გამოყენებინათ კომუნისტური სიმბოლიკის გამოშხატველი დროში.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შენობასთან, სადაც ყრილობა უნდა ჩატარებულიყო, საპროტესტო აქციი გამართეს მოქალაქეებმა, რომლებიც იყვნენ პოლიტიკური გაერთიანებების: ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ მხარდამჭერები. ტელეკომპანია „პირველის“ ცნობით, „სოციალისტური საქართველოს“ წევრები ქსენოფობიურ განცხადებებს აკეთებდნენ და ამბობდნენ, რომ „ქვეყანა უნდა მართოს ქართველმა და არა – სომეხმა და ებრაელმა.“

აქციის მონაწილეს – რომან ქევხიშვილს ყრილობის ერთ-ერთმა მონაწილემ თემურ ფიფიამ სახეში ხელი გაარტყა, გარდა ამისა, იქ მყოფებმა „სოციალისტური საქართველოს“ წევრებს კვერცხებიც ესროლეს. პოლიციამ თემურ ფიფიამ დააკავა. მას ბრალი 125-ე მუხლით წარუდგინეს, რაც ცემას გულისხმობს. თელავის რაიონულმა სასამართლომ თემურ ფიფიას აღკვეთის ღონისძიების სახით 1000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.<sup>305</sup> თემურ ფიფიამ განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

## დედოფლისწყარო

2016 წლის 11 აგვისტოს, გვიან ღამით, დაახლოებით 02:00 საათზე პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს ოფისის ფანჯრები და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო ბანერი დააზიანეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია ადგილობრივი მედიის საშუალებითაც გავრცელდა.<sup>306</sup> ასევე მედიით გავრცელდა ინფორმაცია,<sup>307</sup> რომ მომხდარზე გამოიძიება დაინტ კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონულმა სამმართველომ სისხლის სამართლის კოდექსს 187-ე მუხლის საფუძველზე, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა თავდასხმის სავარაუდო მონაწილეებიც დაასახელეს. ფაქტზე გამოძიება დაინტ.<sup>308</sup>

## ყვარელი

2016 წლის 24 აგვისტოს ღამის საათებში ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – გიორგი ბოტკოველის საარჩევნო ბანერი დააზიანეს. ბანერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორის – მერი გულიაშვილის კერძო საცხოვრებელი სახლის კედელზე იყო დამაგრებული. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,<sup>309</sup> ბანერი ცეცხლსასროლი იარაღით იყო დაზიანებული.

პროცესურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულ ფაქტზე დაინტ გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით არ დადასტურდა დაზიანების მიყენება ცეცხლსასროლი იარაღით. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ზიანი 150 ლარს ზევით არ იყო, 2016 წლის 29 სექტემბერს საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო<sup>310</sup>.

## ზუგდიდი

2016 წლის 5 სექტემბერს ზუგდიდის რაიონ სოფელ ჯიხაშვარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის – სანდრა რულოვსის ამომრჩევლებთან შეხვედრისას ინციდენტი მოხდა. რამდენიმე პირი ხმაურით შეიჭრა იმ ადგილას, სადაც შეხვედრა ტარდებოდა.

<sup>305</sup> <https://gyla.ge/ge/post/saia-batumsa-da-telavshi-momkhdar-incidentebs-ekhmaureba>

<sup>306</sup> <http://ick.ge/rubrics/politics/29888-i.html>

<sup>307</sup> <http://www.speqtri.ge/politika/article/24746-dedoflistsyaros-qnacionaluri-modzraobisq-ofiss-minebi-chaumskhvries>

<sup>308</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

<sup>309</sup> <http://www.speqtri.ge/politika/article/24884-qnacionalebisq-banners-shildashi-savaraudod-iaraghi-samjer-esroles>

<sup>310</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ლელა ქებურიას განმარტებით, მაჟორიტარული კანდიდატის – სანდრა რულოვსის მოსახლეობასთან წინასარჩევნო შეხვედრის ჩაშლას ცდილობდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტები და მხარდამჭერები: ბექა თოდუა, ბერდია კუკავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი, თენგო აბულაძე, გიორგი ჭითანავა, ლევან დავითაია და ვაჟა ლურნეა. <sup>311</sup>

## ზუგდიდი

2016 წლის 12 აგვისტოს დაახლოებით დილის 10 საათისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის თანამშრომლების განცხადებით, ორგანიზაციის მესამე სართულის კარიგატეხილი დახვდათ, ხოლო მეორე სართულის კარს ნაფეხურები ეტყობოდა. შსს-სა და პროკურატურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოიქინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო. <sup>312</sup>

## სენაკი

2016 წლის 1 ოქტომბერს სენაკში სააგიტაციო შეხვედრის დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს – სანდრა რულოვსასა და კობა ნაყოფიას ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს 2004 წლის პოლიციის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა – ია მეტრეველი და მისი თანმხლები პირები სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. ია მეტრეველის განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ავტომანქანა დაუზიანეს. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

## ბათუმი

2016 წლის 3 აგვისტოს დაახლოებით 22:00 საათიდან ქალაქ ბათუმში გადაადგილება დაიწყო მოქალაქეთა ჯგუფმა, რომელიც საზოგადოებას პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდა. მოწოდების ძირითად შინაარსს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში განხორციელებული მოქმედებების გაპროტესტება წარმოადგენდა. მომდევნო დღეს, 4 აგვისტოს, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ ბათუმში მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ჩვენი სამობლო“ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ევროპის მოედანზე შეიკრიბნენ, მოგვიანებით კი, დაახლოებით 13:00 საათზე, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ოფისთან გადაინაცვლეს. აქციის მონაწილეთა მოთხოვნას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის აკრძალვა და მისი წარმომადგენლების დასჯა წარმოადგენდა. მათი მხრიდან არაერთხელ გაფლერდა აღნიშნული პოლიტიკური პარტიისა და მისი მხარდამჭერების შეურაცხმყოფელი ფრაზები. პარტიის ოფისთან იმყოფებოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებიც, რომლებიც, თავის მხრივ, აქციის მონაწილეებს მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი ფრაზებით. აქციის მონაწილეებმა დაწვეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ფეხულა გიულენის ფიტულები. აქციის მონაწილეებსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს შორის დაწყებული სიტყვიერი კამათი მოგვიანებით აქციის მონაწილეების მხრიდან ფიზიკური დაპირისპირების მცდელობაში გადაიზარდა, თუმცა, სამართალდამცავებმა დემონსტრაციებსა და პარტიის მხარდამჭერებს ფიზიკური დაპირისპირების შესაძლებლობა არ მისცეს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად წინასწარ დაანონსებული აქციისა, დასაწყისისთვის პოლიცია შემთხვევის ადგილზე არასაკმარისი რაოდენობით, მხოლოდ ერთი ეკიპაჟით იყო მობილიზებული. სამართალდამცავთა რაოდენობა მხოლოდ მას შემდეგ გაიზარდა, რაც მოქალაქეთა რაოდენობამ საკრძნობლად მოიმატა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინციდენტის დროს დააკავეს პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი სამობლოს“ ერთი წევრი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-173 მუხლების საფუძველზე, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას გულისხმობას. <sup>313</sup> მთავარი პროკურატურის განცხადებით, „აქციის მსვლელობისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე დაკავეს ორგანიზაცია „ჩვენი სამობლოს“ წევრი ირაკლი მახარაძე, რომელსაც ბათუმში საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმა 100 ლარის ოდენობით განესაზღვრა. <sup>314</sup>

<sup>311</sup> <https://gyla.ge/ge/post/khelsheshla-tsina-saarchevo-no-kampanii-gankhorcielebashi-da-dzaladobis-faqtebi>

<sup>312</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

<sup>313</sup> შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა საიას მონიტორი, რომელმაც აქციის ამსახველი ვიდეომასალა მოგვაწოდა, იხ.ლინკი <https://drive.google.com/file/d/0BzKJbf0WSkP8OXBvUTHRNHlyZm8/view>

<sup>314</sup> <http://justice.gov.ge/Ministry/Index/489>

## გორი

2016 წლის 17 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავისმანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ბადრი ბასიშვილსა და მის მხარდამჭერებს, მათივე განმარტებით, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელი შეუშალეს. ბადრი ბასიშვილის განცხადებით, მოსახლეობასთან კარდაკარ შეხვედრის დროს მათ სამი ავტომანქანით აედევნენ კახა მიდელაშვილი, მალაზ მეტრეველი, ასევე, ამირან აზალაძე – „ქართული ოცნების“ კოორდინატორი, ვახტანგ გიუნაშვილი – საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ტატო მეტრეველი – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტი, ლაშა აზალაძე და ნიკა მეტრეველი. მისი თქმით, ზოგიერთი პიროვნება იყო ალკოჰოლური თრობის ქვეშ. ისნით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისგან მოითხოვდნენ, რომ დაეტოვებინათ სოფელი. გამოიძახეს პოლიცია. პოლიციამ აღნიშნული პიროვნებები სიტყვიერად გააფრთხილა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბასიშვილის განცხადებით, სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა არ დატოვეს სოფელი, აღნიშნულმა პიროვნებებმაც არ დატოვეს ტერიტორია.

2016 წლის 20 აგვისტოს სოფელ ხიდისყრში „ნაციონალური მოძრაობის“ სამ აქტივისტს – ნარგიზა ემინოვას, ქეთევან ყველაშვილსა და რობერტ კავთიაშვილს შეურაცხყოფა მიაყენეს და ხელს უმლიდნენ საარჩევნო პლაკატების დარიგებაში. მათი განცხადებით, თამაზ ბაირამოვი მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და ხელს უშლიდა წინასაარჩევნოდ მოსახლეობაში დაერიგებინათ სააგიტაციო მასალები. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განცხადება შეიტანა პოლიციაში თამაზ ბაირამოვის წინააღმდეგ. ჩვენი ინფორმაციით გამოძიება არ დაწყებულა.

## სააგიტაციო მასალის დაზიანება

26 სექტემბრისთვის „თავისუფალი დემოკრატების“ კანდიდატის ვახტანგ ბეჭიტაშვილის პლაკატებს გადააკრეს დამოუკიდებელი კანდიდატის პლაკატები და დააზიანეს.

2016 წლის 28 სექტემბერს კასპში პაატა ბურჭულაძის მაჟორიტარი კანდიდატის მიხეილ ბექაურის განცხადებით, მის საცხოვრებელ სახლთან და „გირჩის“ ოფისის გარე ფასადზე მისი პლაკატები ჩამოხიეს.

2016 წლის 17 სექტემბერს ხაშურში, სააკაძის ქუჩაზე, პაატა ბურჭულაძის მაჟორიტარობის კანდიდატის გიორგი მოსიაშვილის პლაკატს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის ვალერი გელაშვილის პლაკატი გადააკრეს.

## სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

### გორი

2016 წლის 16 ივნისს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის – ილია მეტრეველის გადაწყვეტილებით სამსახურიდან გათავისუფლდა ქალაქ გორის საკრებულოს ხუთი თანამშრომელი.<sup>315</sup> მათ შორის, სამი საშტატო და ორი შტატურებელი მოსამსახურე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტები – სოფიკო ოთინაშვილი, მედეა მახარაძე და ანი პაპელიშვილი გათავისუფლდნენ თანამდებობიდან მოვალეობის არაერთგზის არაჯეროვანი შესარულების გამო, ხოლო საკრებულოს ხარჯების დაზოგვის მიზნით შრომითი ხელშეკრულებები შეწყდა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თანამშრომელთან დავით გუდაძესთან და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თანამშრომელთან გიორგი აფციაურთან.

აღსანიშნავია, რომ ბრძანებებში სამსახურიდან გათავისუფლების მითითებული საფუძვლები შეუსაბამო იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-10 თავის მოთხოვნებთან. ასევე, დაცული არ ყოფილა ამავე კანონის 108-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.<sup>316</sup>

საკრებულოს თავმჯდომარემ მომდევნო დღეს, 17 ივნისს, ძალადაკარგულად გამოაცხადა წინა დღეს გამოცემული საკუთარი ბრძანებები, თუმცა თანამშრომლები სამსახურში არ აღუდგენია. მან განმარტა, რომ მხოლოდ პოლიტიკური კონსულტაციების შემდეგ შეიცვალა აზრი.<sup>317</sup> გათავისუფლებულმა პირებმა 2016 წლის 15 ივლისს სარჩელი შეიტანეს გორის რაიონულ სასამართლოში. საია წარმოადგენდა გათავისუფლებულ პირთა ინტერესებს სასამართლოში.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ილია მეტრეველმა სამსახურიდან ასევე გაათავისუფლა საკრებულოს აპარატის უფროსი ზაზა ნასყიდაშვილი იმ არგუმენტით, რომ თითქოს ზაზა ნასყიდაშვილი თანამშრომლებს აიძულებდა 2016 წლის 31 ივლისს „ქართული ოცნების“ ყრილობაზე მისვლას. საიას მონიტორინგთან საუბარში ზაზა ნასყიდაშვილმა უარყო იძულების ფაქტი და განმარტა, რომ მისი მხრიდან თანამშრომელთა იძულებას ადგილი არ ჰქონია.<sup>318</sup>

2016 წლის 5 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ილია მეტრეველი საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადააყენა. მისი ადგილი დროებით დაიკავა მისმა მოადგილემ ზურაბ როსებაშვილმა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბათილად ცნეს სადავო ადმინისტრაციული აქტები და მოსარჩელეები აღადგინეს დაკავებულ თანამდებობებზე.

### ტყიბული

ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის სკოლის დირექტორი მაია კუზნეცოვა 2016 წლის 21 ივნისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რასაც საფუძვლად აუდიტის დასკვნა დაედო. მაია კუზნეცოვა თვლის, რომ მისი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მოხდა – მან გამგებელთან შეთანხმების შემდეგ კულტურის სახლის დარბაზი ქირავნობის ხელშეკრულებით გადასცა პაატა ბურჭულაძის „განვითარების ფონდს“, რომელმაც დარბაზში ტყიბულის მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. გამგებელმა კი ამ სახის შეთანხმების ფაქტი უარყო.

### ფოთი

2016 წლის 6 სექტემბერს ქალაქ ფოთის მერის ირაკლი კაკულიას ბრძანების საფუძველზე სამსახურიდან დაითხოვეს თვითმმართველ ქალაქ ფოთის ა(ა)იპ „სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებ-

<sup>315</sup> <http://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/2825-qalaqgorissakrebulosthavjdomarem5thanamshromeligaanthavisufla>

<sup>316</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>317</sup> <http://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/2838-qalaqissakrebuloshiimpichmentidasakadrocylilebebiaghargankhorciela> დავით გუდამეტე თანამდებობაზე აღადგინეს მხოლოდ 2016 წლის 4 სექტემბერს, გორის საკრებულოს ახალი თავმჯდომარის პირობებში.

<sup>318</sup> 5 სექტემბერს ქალაქ გორის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ როსებაშვილმა ილია მეტრეველის ბრძანება ბათილად ცნო.

ლო დაწესებულების – საბრძოლო ხელოვნებათა სკოლის“ დირექტორი ელგუჯა მიგრატია. ელგუჯა მიგრატიას სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა შიდა აუდიტის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბრძოლო ხელოვნებათა სკოლის დირექტორის მიერ ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას. ელგუჯა მიგრატია აღნიშნულ თანამდებობაზე 2014 წლის 15 სექტემბრიდან მუშაობდა. მისი მოსაზრებით, ის გაათავისუფლეს საარჩევნო ბლოკის „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ დიად მხარდაჭერის შემდეგ.<sup>319</sup>

## სენაკი

2016 წლის 30 სექტემბერს და 3 ოქტომბერს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სამსახურიდან გაათავისუფლა ეკატერინე გაბრავა – ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დირექტორი და მურმან არჩილია – სენაკის მუნიციპალიტეტის ამბულატორიული მომსახურებისა და მზრუნველობამოქალებულთა ცენტრის დირექტორი. გაბრავასა და არჩილიას სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი იდენტურია. კერძოდ, ორივე პირი შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე დაითხოვეს სამსახურიდან. აღნიშნული დასკვნის თანახმად, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელების მხრიდან ადგილი ჰქონდა დაკისრებული ვალდებულების დარღვევასა და უფლებამოსილების არაჯეროვან შესრულებას. ეკატერინე გაბრავა მის გათავისუფლებას მისი მეუღლის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. ეკატერინე გაბრავას მეუღლე მამუკა მესხიშვილი საარჩევნო ბლოკის „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ საორგანიზაციო საკითხების ხელმძღვანელია და აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა. რაც შეეხება მურმან არჩილიას, თავისივე განცხადებით, მან სენაკის მუნიციპალიტეტიდან მიღებული დავალების შემდეგ შეადგინა „ქართული ოცნების“ კანდიდატის მხარდამჭერთა სია, თუმცა, მიუხედავად ამ ფაქტისა, დაკავებული თანამდებობიდან მაინც გაათავისუფლეს. მურმან არჩილია თავის გათავისუფლებას უკავშირებდა ახლო მეგობრის პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც საარჩევნო ბლოკის – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ სენაკის მაურიტარი კანდიდატი იყო.<sup>320</sup>

## წყალტუბო

2016 წლის 29 აგვისტოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლდა ბადრი ონიანი, რომელიც პ/გ „ეროვნული ფორუმის“ წევრი იყო. საიას მონიტორთან საუბარში ონიანი განმარტავს, რომ სამსახურიდან პოლიტიკური კუთვნილების გამო გაათავისუფლეს.

<sup>319</sup> <https://gyla.ge/ge/post/savaraudod-politikuri-nishnit-samsakhuridan-gatavisuflebis-faqtebi>

<sup>320</sup> <https://gyla.ge/ge/post/savaraudod-politikuri-nishnit-samsakhuridan-gatavisuflebis-faqtebi>